1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

1959

ლიტერატურული კრებული

ქართული

ალმანახი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის აჭარის განყოფილების ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

7777

შინაარსი

ლ. გელაძე—ლენინი (ლექსი) 3

პ. რურუა—ახალი ლექსები 4

გ. სალუქვაძე—სიტყვა ქართული, რა სუფთა არის..., შენი ხმის ყღერა..., სანაპირზე, ისევ... (ლექსები) . . 5

შ. შუბლაძე—ქარის დამარცხება (ლექსი) 8

ი. რურუა—დაუმცხრალი გრძნობა, ღიმილი (მოთხრობები) 9

ჯ. ჯაყელი—აჭარული ბალადები . . . 16

მ. გოგრგილაძე—უცნობი ქალიშვილი (მოთხრობა) 19

ს. არლუნელი—შენ გაგიმარჯოს, ბებერა-შვილო! დაკარგული საფლავი (ლექსები) 23

გ. სანადირაძე—ღვთისავარი (მოთხრობა) 25

ვლ. სეიდიშვილი—ზღვა და ბავშვი, შეხვედრა, ძველად (ლექსები) . . . 28

ნ. მოდებაძე—მოქიშპენი (მოთხრობა) . 30

ვ. გოგოლაშვილი—ზღვისპირას მაღალი გორაკი რომაა, მე შენი გაცნობა... (ლექსები) 34

ლ. ქადიძე—მესხეთი დარჩა მესხეთად (ლექსი) 35

ი. ჯორბენაძე—მე შენმა ძალამ დამავიყაცა (ლექსი) 36

გ. სალუქვაძე—ჰეი, მთებო (ლექსი) . . 37

ფედერიკო გარსია ლორკა—იდილია, ხეები, ცეკვა (ლექსები, თარგმნა ფრ. ხა[illegible] ვაშმა) . . . . . .

2

1959

მარტი
აპრილი

აჭარის სახელმწიფო გამომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი

პ. მალკოვი—მოგონებანი დიდ ბელადზე 40

დ ლ ე ე ბ ი დ ა ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი

დ. ხოზრევანიძე—ხიხაძირი და ხიხაძირელები 52
ი. ცერცვაძე—უკვდავია მათი სახელი . 55

კ რ ი ტ ი კ ა დ ა პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

დ. ნაცვალაძე—ნესტორ მალაზონიას ლირიკა 58
ნ. ნიუარაძე—შთამაგონებელი ციფრები 62
ვლ. ჭანტურია—მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა პოლიტექნიკურ სწავლებაში 66

ა ჭ ა რ ი ს წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ

მ. გეგეჭკორი—თავისუფლებისათვის მებრძოლი ქალი 70

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი კ ა ლ ე ნ დ ა რ ი

ნ. პაიჭაძე—ეგნატე ნინოშვილი ბათუმში 73

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

ვლ. შარაშიძე-მთავარია თანამედროვეობა 79

ს პ ო რ ტ ი

ალ. დავითაშვილი—ბორის ფროლოვი 85

წ ი გ ნ ი ს თ ა რ ო

ჯ. შარაშიძე—ფრიდონ ხალვაშის „სიმღერა შენზე“ 88
ს. გოლძვაძე—აჭარაში სახალხო განათლების ისტორიის შესახებ . . 89
ა. სურგულაძე—„საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელო და აჭარის ისტორიის ზოგიერთი საკითხი 91

ს ა ტ ი რ ა დ ა ი უ მ ო რ ი

ვ. ნაზარიშვილი—როგორ მივატოვე პაპიროსის წევა 93

...ა ქ ტ ო რ ი შოთა ქურიძე
...ციო კ ო ლ ე გ ი ა:
...ნი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ მდივანი),
... ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

...ითი: ბათუმი, გორკის ქ. № 1, ტელეფონები — 14-06, 13-35.

ვ. ი. ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან გელაძე

ლენინი

იგი მოვიდა როგორც აპრილი
და ხულოს მთებშიც შეიგრძნო მიწამ,
გამართა კაცი წელში გახრილი,
სამშობლოც მისცა,
საყანეც მისცა,
სინათლეც მისცა,
სიმღერაც მისცა.
ყველა ბინაში შევიდა ღიმით
და ყველა კაცმა აიდგა ენა,
ყველა ჩონგურზე აყღერდა სიმი,
ყველა ოჯახში გაისმა „ნანა“.
ის დაიბადა, როგორც აპრილი
და გაზაფხულით სამყარო მორთო,
მთებს მიაფინა სხივთა არილი,
გათბა ჭიუხში ბალახი ლორთქო,
გათბა მშრომელის ძვალმსხვილი ტანი,
თქვა, არ გამოხტე მკერდიდან გულო,
ოიმმა შეამკო თუში თუ სვანი,
ქართულ რუკაზე ელვარებს ხულოც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარმენ რურუა

ახალი ლექსები

დღეს გაზაფხულმა შემოაღო ფართოდ კარები
და მისმა მოსვლამ გული სხივით გამიმზიანა.
გატყდა ზამთარი სუსხიანი, დადგა დარები,
სკდება კვირტები და ხასხასებს მინდვრად რძიანა.
მზე იღიმება, ლურჯი ზეცა დაჰყურებს მიწას,
ფრინველთა გუნდი დანავარდობს გახარებული.
რა კურთხეული ქვეყანაა ეს საქართველო,
რა თვალწარმტაცი, რა ძვირფასი, რა დიდებული!
კდემამოსილი ყვავილები იღიმებიან,
მაღალი მთები ამართულან სილაჟვარდეში.
მშვენიერება იბადება ცისფერთვალება
ამ ჰაეროვან გაზაფხულის დღის სიცხადეში!

* * *

ვიცი, ამოვა მთვარე ამეღამ,
უკვე აენთო ზოდიაქონი.
ბულბული სტვენს და ბაღს ახმიანებს,
ჩერდება მგზავრი ამის გამგონი.
ვარდს გაზაფხულმა გაუხსნა ბაგე,
მიწამ შეწირა ზეცას მადლობა,
ვის შეუძლია არ განიცადოს
ამ ღამეების იდუმალობა.

* * *

ყვავილებს წვიმამ დაბანა პირი,
მოდის, თენდება მაისის დილა.
მოწმენდილია ცა უნაპირო,
არსად არა ჩანს ღრუბელის ფთილა.
ზეცა გაბრწყინდა აღმოსავლეთით
და გრძნობ სიამეს ფრინველთა ხმაში,
ნიავის სუნთქვით შეტოკებულმა
ვერხვის ფოთლებმა შემოკრეს ტაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი საღუქვაძე

სიტყვა ქართული

რაც რუსთველურად,
ქართულად ითქვა,
გაუხუნარად ახლაც იტყვიან.
ქართველს არა აქვს ლიტონი სიტყვა,
ქართველის სიტყვა მარგალიტია.
ხშირად მომხვდური გვედგა კარებთან —
ქართველის მარჯვე მარჯვენა ჭრიდა,
ომში მარჯვენას ატრიალებდა,
პურის ყანასაც მარჯვენით მკიდა.
მარჯვენა ჰქონდა თავის სარჩენად.
ვაჟკაცის მკლავიც, მკერდიც თვალს მოსწონს —
შიტომაც ვამბობთ —
შეგრჩეს მარჯვენა!
მიტომაც ვამბობთ,
გაგიმარჯოსო.
გაშლილ მინდვრებზე ლურჯად რომ ჩანან,
როგორ იქნება თვალი არ დაგრჩეს?
ისე ერთხელაც გაჰხედავ ყანას,
ქება არ უთხრა გლეხკაცის მარჯვენს?
ხვავი ექნება თავთავს ორწილი
და შთაგონების წყაროც ეგ არის.
ვხედავ:
ჯეჯილი გადაქოჩრილი
მზეს ეგებება ცერზე შემდგარი.
წამოჩიტულა, წამომართულა,
მეც მიმაკუთვნა გლეხთა მარაქას.
მის ფესვს და ღეროს ვლოცავ ქართულად:
ნურც დაგლვვია ხვავი, ბარაქა!
ჯეჯილო, ვაჟა გემახსოვრება,
ხორბლის თავთავით ლექსი მოხატა...

ფშაველას მწარე. ჰქონდა ცხოვრება
და ჭირნახულიც თვითონ მოჰყავდა.
ვაჟკაცს აქებდა მხარბეჭადლიანს,
ია ბავშვივით გაიტაცებდა
და რა მარჯვენა ჰქონდა მადლიანს —
კენჭს მარგალიტის მძივად აქცევდა.
მზეს შეუნთებდა სიტყვას ბინდიანს,
რომ შთაებერა სიცოცხლის ძალა,
თვითონაც, როგორც ბრძენი მინდია,
აჟღურტულებდა ქართულად ბალახს.
მეც ვუვლი ვაჟას სიტყვის ნამყენებს,
მეც ჩაუქრობი ცეცხლი მედება...
მე უსიმღეროდ რა დამაყენებს,
ტოლებში ვალი არ დამედება;
მარჯვენა, ლექსის გამომხატველი,
შეძლებს მცირედი კვალის დარჩენას,
გადაიკითხავს ლაღი ქართველი,
არ დამიძრახოს იქნებ მარჯვენა.

* * *

რა სუფთა არის ლაჟვარდი!
ტალღა მოღელავს წყნარად.
ზღვაზე ნიავი ნავარდობს
ჩვენი ოცნების დარად.
შორს ლურჯი ნავი დაცურავს,
მზეში ელვარებს აფრა...
ბავშვობის დღენი წასულან,
დაგვშორებიან სწრაფად.
მაგ შენი თვალის ნათელი
ვისთვის ინახავს სითბოს?
ახლაც ვერ გითხარ სათქმელი,
იქნებ მიმიხვდე თვითონ.

* * *

შენი ხმის ჟღერა მე მახსოვს კარგად,
გულში წკრიალებს ყველა აკორდი.
არც ერთი სიტყვა არ დამიკარგავს,
შენ გატაცებით ლაპარაკობდი.
მე ძლივს ვაბამდი სიტყვაზე სიტყვას,
ვწითლდებოდი და მებმოდა ენა.
ვფიქრობდი, ერთად გვამყოფა დიდხანს,
იქნება ასე ფიქრობდი შენაც...
მაგნოლიებში ცელქობდა ქარი,
ჩვენი სიტყვების ჩუმად მპარავი.
სთქვი, რომ სიყვარულს დაუხშე კარი
და რომ არ გიყვარს ქვეყნად არავინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ მარწმუნებდი. რომ ვერასოდეს
და ვერაფერი შენს გულს ვერ შესცვლის,
მაგრამ არ გითქვამს, ჩვენ რაღა მოგვდის,
რად გვეკიდება ლოყებზე ცეცხლი.

სანაპიროზე

ზღვაში წაიქცა სინათლის სვეტი,
წაიქცა, მაგრამ არ ჩაიძირა.
შენ ასე კარგი იდექ ჩემს გვერდით
სანაპიროზე — შავი ზღვის პირას.
სინათლის სვეტი არ ჩაიძირა...
ჩვენ მასთან ისე ახლოს მივედით!
სანაპიროზე — შავი ზღვის პირას
შენ ზღვისფერ თვალებს აციმციმებდი.
ალერსიანი მოჰქროდა ქარი,
ჰყვაოდი, ვარდი გესხა ყელამდი.
ზღვა იყო მშვიდი,
ზღვა იყო წყნარი
და მე ვღელავდი.
წითელი ვარდი გეკეთა თმაში,
ვფიქრობდი, რატომ მადარდებ ხშირად?
სინათლის სვეტი წაიქცა ზღვაში,
წაიქცა, მაგრამ არ ჩაიძირა.

* * *

ისევ მესამე სართული,
ისევ ნაცნობი ფანჯრები,
დამდაგავს ჰანგი ქართული
და დიდხანს ვეღარ დავცხრები.
ქერა ასულთა დობილი —
ლარნაკში ჰყვავის მიმოზა
და მხიბლავს შენი პროფილი,
დახრილი პიანინოსთან.
შენით ვიყავი დამტკბარი,
შენი ღიმილით გამთბარი...
იქნებ ეს იყო ზღაპარი,
თეთრი აპრილის ზღაპარი.
თითქოს იყო და არც იყო...
ვის უცქერ ზღვისფერ თვალებით?

სადა ხარ, ჩემო მარიხო,
სადა ხარ, რად მემალები?
ვეღარ გადავრჩი უვნებლად,
გული ბავშვისა მქონია —
მაისი მიიწურება,
მე კვლავ აპრილი მგონია.
ნეტავ, შენკენ რომ არ მიშვებს,
ბედი არის თუ განგება?
დაჰკარ თოვლისფერ კლავიშებს,
შემძრან ქართულმა ჰანგებმა.
სიმღერას ქარი მომიტანს,
შენს სურნელს — იასამანი,
და შენი უნახაობა
აღარ მექნება სანანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა შუბლაძე

ქარის დამარცხება

ხეთა კენწეროს წივილით არწევს,
ველზე გრიალით დაქროლავს ქარი.
სიმინდის ყანა დაწვა მიწაზე, —
ვერსად ვერ ნახა თავშესაფარი.
ბაღს შემოაცვდა მწვანე თავშალი,
ყვავილებს დაბლა ჩამოეთოვათ.
ხემ ადამიანს მიაპყრო თვალი,
ხემ ადამიანს შველა შესთხოვა.
ქარს გაუშლია საომრად აფრა
და აფთარივით მძვინვარებს ველად.
ადამიანმა ტყე დარგო საფრად,
ტოტებდალეწილ ბაღს მიეშველა.
ველზე რომ დადგა ქარსაცავები
კუნთებჯანიერ ჯარისკაცებად,
უფრო მრისხანედ და გაავებით
ტყემ იგრძნო მკერდზე ქარის დაცემა.
მაგრამ დასრულდა დიდი გამოცდა,
არ გადიღუნა მუხლში მუხნარი.
ეტკინა გული ღრუბელს საოცრად,
ატირდა, როგორც ჭირისუფალი.
ატირდა იგი და შავი კუპრით
შეღება ზეცა, არ დაახანა.
ცრემლი დასცვივდა ძირს ღაპა-ღუპით,
გამოაცოცხლა ბაღი და ყანა.
ო, არ ელოდა ქარი სრულებით,
თუ ცის ტირილი მიწას უხარის.
ჩაილუღლუღა: „ჩანს, ვიღუპები,
ცრემლებს ზეცისკენ მიჰყავს მუხნარი!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია აუჩაუა

ბოლოდროინდელი ქორწილი

ბებერი ვერხვის ფოთლებში დატრიალებული ნიავი ვერცხლისფერ ნიაღვრად წამოვიდა და ჭიშკრის ღრიჭოში ჩატოვებული ლურჯი კონვერტი ეზოში გადაფრიალდა.

რამდენჯერაც არ დაიხარა დეიდა სალომე, ყოველთვის ხელიდან დაუსხლტა.

ოდის კიბესთან მიუსწრო ძლივს.

სული მოიბრუნა და ათრთოლებული ხელებით გახსნა.

დაუძახა მეზობლის გოგოს.

— საიდანაა?

— ქარ... ქართიდან მეთქი... თბილისიდან.

— ვინ უნდა იყოს აწი, ა?

— „ძვირფასო ძღვიბი!“ — დაიწყო გოგონამ კითხვა.

— დედა, ჩემი ბავშვობის სახელი!

გოგონამ წერილიანი ხელი უკმაყოფილოდ აიქნია და ისევ გაიმეორა:

— „ძვირფასო ძღვიბი!“

— გადავირიე და აგია, ა!

— „ჩემი წერილი თქვენთვის, ალბათ, დიდი სუ... სიუ... სიურ-პრიზი იქნება“.

— რაიო, გულიკო, რაი?!

— სუპრიზიო... რა ვიცი, ასე კი წერია და... „იქნებ ცოცხლად არც კი გეგულები... კარგი ორმოცდაათი წელია, მგონი, ერთმანეთი არ გვინახავს.“

— გოგო, არ მეტყვი ვინაა?

გოგონამ წერილი შეატრიალა.

— „შენი... შენი“... ვერ ამევიკითხე და რა ვქნა.

— მერე, მერე!

— „ადამიანი რომ მოხუცდება, თურმე გული უფრო... უფრო... უსათუოდება. ჩემი თავისთვის ვერ მიმიტევებია, აქამდე რომ ვერ გავიხსენე ჩემი ბავშვობის მეგობარი, ჩემთან ერთად შეზრდილი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კოკი, კოკი, მისი ჭირიმე! — წამოიძახა დეიდა სალომემ და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

— „განა მართლა არ გამხსენებიხარ? — განაგრძო გოგონამ, როცა მოხუცი მოლზე წამოჯდა და ცოტათი დამშვიდდა. — ცხოვრებამ ისე ჩამითრია თავის ორმო... ორომტრიალში, ერთხელაც ვერ მოვიცალე ჩემთვის... ახლა ყველაფერი მოთავებული მაქვს“...

— ჩემი სიკვდილი, ჩემი! — კვნესოდა სალომე, ნელ-ნელა ირწეოდა და დამჭკნარ ლოყებზე ჩამოდენილ ცრემლს თავშლის კალთით იწმენდდა.

— „თურმე ყველაფერს მოესწრება ადამიანი. შენც ხომ არ დაბერდი, გოგო!.. შენ და სიბერე?.. ნეტავ თუ შეგრჩა ძველებური დაუდეგარი ხასიათი და სითამამე?!.. გახსოვს, საწყალი ივანე რომ მოვიდა შენს გადმოსანახულებლად? ძლივს ჩამოგიყვანეს საქანელადან... ნეტავ ის ცაცხვი კიდევ თუ დგას იქ?.. ორ წუთსაც ვერ გაგაჩერეს შენს მომავალ ქმართან. ისევ გავარდი და მდინარეში გადაეშვი საბანაოდ... სულ ბავშვი იყავი“..

— ჩემი ცოდვა ჰქონდეს, ჩემი! — წამოიძახა დეიდა სალომემ და შეშფოთებით მიიხედ-მოიხედა.

— „ახლა, თურმე, ბადიშისშვილიც გყოლია... თქვენებური კაცი გაესინჯა ამას წინათ ჩემთან და იმან მიამბო ყველაფერი... მართლა ავადმყოფობ, ძღვიბი?.. რა იქნება, ერთი ჩამოხვიდე. ჩემგან დაწყებული, მთელი ოჯახი ექიმებითაა სავსე... არავის შეაწუხებ, ნუ გეშინია... ჩემი დედაბერი ძალიან კარგი გულისაა. ყველა გიცნობს, იმდენი მილაპარაკია შენს ონავრობებზე... წინასწარ მიდებეშე ოღონდ. სადგურში დაგხვდებით. ვინიცობაა ვერ გიცნოთ ან აგცდეთ, მოგნება არ გაგიჭირდება. ტაქსის შოფერს ჩემი სახელი და გვარიც რომ უთხრა, პირდაპირ სახლში მოგიყვანს.

იცოდე, გელით, ძღვიბი. აუცილებლად ჩამოდი“...

დეიდა სალომე ცრემლად იღვრება. რაღაც უხერხულობას გრძნობს, უცხო თვალი რომ შეჰყურებს.

— შედი, შვილო, ბაღში... ატამი დაკრიფე...

გახევებული, ბებრული ხელი მსუბუქად დასცურავს მაღალ ბალახში, თითქოს რაღაც დაკარგულს ეძებსო. ხანდისხან ხელისგულს პატარა თავთავები ელამუნებიან და მთელ ტანს საამო, ჟრუანტელისმომგვრელი სითბო უვლის.

თვალი მოავლო ჩამავალი მზით გაშუქებულ ეზოს.

მზის წითელი ატლასი, თითქოს ვიღაცის უხილავი ხელი ჩაფრენიაო, ზევით მიცოცავს და მისი ნაფლეთები ბოლოს ორღობის გასწვრივ ჩარიგებულ კოპიტებს-ღა შერჩათ. ხეების ტანზე, აქა-იქ, ხავსის გრძელი ბოწოწოები გამდნარ ოქროსავით ელვარებს.

ორღობეში უკვე ბინდი ჩამოწოლილა.

კოპიტები ზედმეტად ხშირი, ერთმანეთთან მეტისმეტად მიჯრილი ეჩვენა სალომეს. მათ ტევრში მზერა ვეღარ ატანდა, თითქოს მის წინაშე ცოცხალი ხეების მწკრივი კი არ იყო, არამედ ყრუ და ბნელი კედელი.

უცბად ეს ეზო, სადაც მთელი თავისი სიცოცხლე დააღამა, საოცრად ვიწროდ და უკაცრიელად ეჩვენა. გაუკვირდა კიდეც, რატომ აქამდე ვერ შევნიშნეო ეს.

თვალები ახლა ერთმანეთზე გადადებულ ფეხებს დააშტერა.

წვეტიანი კალოშის ცხვირზე რაღაც თეთრი ლაქა შენიშნა.

ფეხი გააქანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი ლაქა ალაპლაპდა.

„პეპელა!“ — წაეპოტინა კიდეც. მაგრამ ფარფატა მწერი თვალსა და ხელშუა გაქრა.

სახეზე წყნარმა ღიმილმა გადაუარა.

გულის სიღრმეშიც თითქოს რაღაც შეირხა, იმ პეპელასავით მსუბუქ-ფრთიანი და დაუდეგარი. შეირხა და გაიწია გასაფრენად, გასანავარდებლად.

შემდეგ ყრუ ტკივილმა გაჰკრა.

ხელები მკერდზე მოიფათურა. შემდეგ ტანს ჩააყოლა.

დაბუქებულ ფეხებს სრესა დაუწყო. ორ-სამგან თითები კაბის კალთაში გაებლანდა.

— ნანა! ამით სად უნდა წავიდე, მე ბედდამწვარი!

დიდხანს იჯდა ასე, ფიქრებთან განმარტოებული.

სიგრილემ გამოაფხიზლა.

თავზე დაბრჭყვიალებდა აგვისტოს ზეცა.

კონვერტი მოძებნა. ცვრისაგან გალუმპული, აფუებულიყო.

მკლავი გადაუსვა და ფრთხილად უბეში შეინახა.

* * *

მეორე დილით ვაჟიშვილებისათვის გასაგზავნ წერილებს კარნახობდა გულიკოს.

— შვილო თეიმურაზ, მოგიკითხავს შენი დედა სალომე-თქვა... სულ კარგად მეყოლე შენი ძვირფასი ცოლ-შვილით-თქვა...

— მერე?

— მე თუ მიკითხავთ, ვარ გვარიანად. მარა უკეთესად კი უნდა იყოს ორი ვაჟკაცისა და სამი ქალიშვილის გამზრდელი დედა-თქვა... ასე მიწერე აგი!.. ბიჭო, რავა თლათ ამაღეთ ხელი... ცოლ-შვილში თქვენს მეტი არავინ შესულა თუ რაი. ცალი თვალით მაინც გამოიხედეთ დედისაკენ. ერთი გამონაცვალი კაბა გაგიჭირდათ ჩემთვის?!. მარტო თქვენ რომ დადიოდეთ გამოფარფაშებული, მაგი არაა საქმე... ამ სიბერეში გინდათ დამაწყებიოთ ბაზარში კვერცხის გაყიდვა?.. თქვენი სირცხვილი იქნება-თქვა, ჩემი კი არა... მინდა ერთი...

ხმაში მოულოდნელად გაუბედაობა გამოკრთა:

— არა, მაგი წაშალე... ექიმთან ვერ მივსულვარ-თქვა... შენ უნდა გთხოვო, აბა ვის. უმცროსი შვილი ხარ, უფრო გეთამამები-თქვა.

— მორჩა?

— რავა სული ამოგდის გოგო!!.. ისე, ვენახს კარგი პირი უჩანს-თქვა, აგიც მიწერე... ცოტა შეწამლვა რომ დამიგვიანდა, იმან თუ არ უწია... ჯერ შაბი ვერ ვიშოვე დროზე, მერე მაშინა... სულ კარგად იყავით-თქვა... მომიკითხე სიყვარულით და პირზე კოცნით ჩემი რძალი ნაზიკო, შვილიშვილები დათუნა და მზია... ის საწყალი გოგოც მომიკითხე, რა ქვია იმას, მარუსია...

— გწერს შენი დედა...

— მაცალე გულიკო, კიდევ მაქვს რაცხა შესათვალი... ჩემს რძალს ნაზიას მიწერე მეტი იმოძრაოს, საქმე აკეთოს, თუ უნდა კარგი მშობიარობა ექნეს... მე რომ თეიმურაზზე მოვლოგინდი, იმის წინა დღეს სარეცხი გავფინე-თქვა... აბა, ახლა წამიკითხე!

ყურადღებით უსმენდა.

— კაი გოგო ხარ. ახლა აიღე მეორე ქაღალდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე წერილიც იმავე შინაარსის იყო თითქმის, ოღონდ უფროს შვილს ფეხსაცმელს თხოვდა.

წერილები, ალბათ, გულიკოს საფოსტო ყუთშიც არ ექნებოდა ჩაგდებული, ახალი დარდი რომ გაუჩნდა: მთელი ჩემი სიცოცხლე არაფერი მითხოვია შვილებისათვის და რაღა ახლა შევაწუხეო... წერილების კილოც მკაცრად ეჩვენებოდა... ისიც ამფოთებდა — ვაი თუ გულიკომ თეიმურაზის წერილი კოტეს კონვერტში ჩასდო, კოტესი კიდევ თეიმურაზისაში. ხომ გაიგეს ძმებმა ღედის სამდურავი ურთიერთზეო.

ბოლოს, ყველაფერი ეს მოლოდინის გრძნობაში გადაიზარდა.

გავიდა აგვისტო, ილევა სექტემბერი...

პასუხი არსაიდან ჩანს.

ზის და ტირის ჩუმად.

ტანი თუ აუფუსფუსდა, ოხრავს:

— ძუძუ მექავება, მიწადასაყარი... ხომ კარგად მყევხართ, შვილებო?!

რჩება კიდევ ერთი იმედი: რთველი. რძლები მაინც ჩამოვლენ, ვაჟიშვილები თუ არა, თავიანთი წილი ღვინოს წასაღებად.

შვილებზე დარდმა გაანელა სიყრმის მეგობრის ხილვის სურვილი.

სულ კი ვერა.

გულის კუნჭულში ჩამარხული ხმა ხანდისხან ცოცხლდება, ჩიტივით ფრთხიალებს და გასაფრენად მიიწევს.

უკვე ორი კვირაა ვისვენებ ჩვენიანებთან, შინაურულ ვითარებაში.

ვერცერთი სანატორიუმის კომფორტი ვერ შეცვლის აქაური გარემოს მყუდროებას, ვერავითარი პედანტური რეჟიმი და განრიგი — შეუზღუდავი ნება-სურვილის შეგრძნობას.

მიტომ თუ გამოვჯანსაღდი ასე უცებ.

და როგორც ყველა მოკეთებულ ადამიანს ჩვევია, საოცრად გამიმძაფრდა სიხარულისა და სიამის გრძნობა, რაღაც იდუმალი ინტერესი გარემოსადმი, უცნობი ადამიანებისადმი.

ყველაზე უწინ თავი შემაყვარა ფაქიზად მოვლილმა ეზომ ხეხილის პატარა ბაღით, იზაბელას დაბურული ტალავერით, რომლის ჩრდილშიც დგას ჩემი შეზლონგი.

პირდაპირ, სახლსა და მესერს შუა, გაწოლილა ვიწრო, მოკირწყლული გზა, რომლის ორივე მხარეს მზრუნველ ხელს თვალწარმტაცი ყვავილნარი ვაუშენებია გაზონებში.

ხელმარცხნივ, სახლის ფასადის გასწვრივ, ჩარიგებულია ყვავილების დედოფლის — მაისის ვარდის ბუჩქები. მათ ეკლიან, ლორთქო ტოტებზე ჩახჩახებენ მზით აფუებული სურნელოვანი ყვავილები. კიჭა-კიჭა კოკრებს მორცხვი ღიმილით გახსნიათ მოპუწკული ბაგეები და ღია ფანჯრებში ცნობისმოყვარეობით იცქირებიან.

თითქოს მეფურად განმარტოებულ ვარდის ჯიშებზე მოპირდაპირე გაზონში თავი ერთად მოუყრიათ სხვა ყვავილებს. რაკი სურნელებით ვერ ეთანაბრებიან ტოლებიან მეტოქეს, ზოგი ცარიელი ბიბინითა და ახოვანებით იწონებს თავს, ზოგი კიდევ მიმქრალი სინაზით, მიბნედილობით. ღობეზე ნებიერად მისვენებულან თავქოჩორა ჰორტენზიები და გეორგინები, ყელყარყარა გლადიოლუსები, რძისფერი კალა გახამებული საყელოთი. იქვე, მათ ფერხთქვეშ, მორიდებით ნაბავს თვალებს გულჩიორა მიხაკი, ფერმიბნედილი ორქიდეა, ტურფა ირისი...

ამ მომხიბლავი ხეივნის ბოლოს, იქ, სადაც მეზობელთან საერთო ღობე იწყება, წყლის ონკანია პატარა აუზით.

ონკანიც საერთოა, ამიტომ აქ მუდამ ჟრიამულია.

განსაკუთრებით ეტანებიან ამ ადგილს ბავშვები. მათ ხომ საოცრად უყვართ ჭყუმპალაობა. ღიმილს ვერ ვიკავებ, როცა მშვენიერ ხუჭუჭა თავებს წყლის გამაგრილებელ ჭავლს შეუშვერენ და სიამით აჭყივლდებიან.

ონკანთან ყოველთვის დგას ორი-სამი ჭიქა, მაგრამ ბავშვები მათ არასოდეს არ ხმარობენ. წყლის დალევა რომ მოუნდებათ, ონკანს ორივე ხელით ააფრინდებიან და წყალს ვარდისფერი ენით სვლეპენ სასაცილოდ. ეტყობა იმდენად სასაცილოდ, რომ ამის შემყურე ფინია ხტუნავს და გაუთავებლად ყავყავებს.

ესეც რომ მოსწყინდებათ, პატარა პეშვებს აივსებენ და ერთმანეთს წუმპავენ. ჰაერში გაბნეული მბზინავი წვეთები იმდენად მათ არ ეცემათ, რამდენადაც ყვავილებს. და ისინიც ამ ადგილას უფრო ხასხასებენ, დაუსრულებლად თავს აქნევენ, თითქოს პატარებს მადლობას უხდიანო.

ამ წყლის ონკანს ვუმადლი, მეზობელი ეზოს ყველა ბინადარს რომ ვიცნობ.

მათ შორის არიან შორეული მხრიდან ჩამოსული დამსვენებლებიც. ამის მიხვედრა არ არის ძნელი. ჩრდილოეთურ იერზე ეტყობათ და იმაზეც, რომ დაუსრულებლად ზღვაზე დადიან, ბაზრიდან ეზიდებიან უამრავ ხილსა და ყვავილებს.

ჩემი მოთხრობა არ მოითხოვს, ყველა ისინი გაგაცნოთ.

მე გიამბობთ მხოლოდ ერთ ქალიშვილზე.

ყოველთვის მწყობრად ჩამოვარცხნილი მისი სვილისფერი სალუქი თმა ქვევითკენ მარაოსავით იშლება და მხრებთან კულულდება, თითქოს იმიტომ, რომ ზედმეტად ცნობისმოყვარე თვალს მოარიდოს პატარა, მრგვალი მხრების სილამაზე. მაგრამ მზერას მაინც ვერ ემალება მათი სინატიფე, რასაც უფრო შეიგრძნობ, ვინემ ხედავ.

ღრმად ჩაჭრილი სახიანი ჩითის შილიფი კაბა წელამდე შემოტმასნია მოქნილ ტანს, შემდეგ კი ბიბინით გაშლილა, რაც თეთრი, დაშოლტილი ფეხების მოძრაობას საოცარ სიმსუბუქესა და სინარნარეს აძლევს.

აქამდე არაფერი მითქვამს მისი სახის შესახებ. საგანგებოდ. თუ არა ეს სახე, ამ მოთხრობასაც ვერ დავწერდი.

მაღალ, გადატკეცილ შუბლს ქვემოთ ფართოდ ჩამსხდარი ცისფერი თვალები ჯერ გატყვევებთ თავისი უძირო სიღრმით, შემდეგ კი გაკვირვებთ: ასეთ ცოცხალ, ჰაეროვან არსებას რატომ უნდა ჰქონდეს ასეთი სევდიანი და შეშფოთებული მზერა?

პატარა, აბზეკილი ცხვირის ქიმი შუაში ოდნავ, ძლივს შესამჩნევად ჩა-

ღარულა და ზედ მუდამ ათინათი კიაფობს. თხელი, გამჭვირვალე და მოქნილი ნესტოები გამომწვევად ებერება. ვნებიანად გადაშლილი პატარა ბაგეებიდან ქათქათა, ჯანსაღი კბილების ელვარება გამოსჭვივის.

მთელი ეს სილამაზე, ალბათ, უღიმღამო იქნებოდა, თუ არა ღიმილი, უცნაური, გულის გამთბობი ღიმილი, ლოყებზე პატარა ფოსოებს რომ აჩენს.

პირველად ონკანთან ვნახე. ბოლის ვაზაში ყვავილებს აწყობდა.

ჩვენი თვალები შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს და ქალიშვილს მაშინვე ღიმილი შეასკდა სახეზე.

ვერც კი მოვასწარი საპასუხო ღიმილის შეგებება, რომ სახე მოეწკურა.

მეტი აღარ გამოუხედნია, მაგრამ მის მღელვარებას აშკარად ამჟღავნებდა ნესტოების მოუსვენარი მოძრაობა, მოკუმული ტუჩების იდუმალი კრთომა. ტანის რხევამაც გასცა, როცა ჩქარი ნაბიჯებით სახლისაკენ გაემართა.

თვალი დავხუჭე და იგი ისევ ისე ცოცხლად წარმომიდგა, უფრო მისი მომხიბლავი, განუმეორებელი ღიმილით განათებული სახე.

„ჯიოკონდას ღიმილი“ — გავიფიქრე მე.

ამ აღმოჩენის ჭეშმარიტებაში მისი ყოველი ნახვის შემდეგ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი.

შევატყვე, საქმე მარტო ღიმილის მომხიბვლელობის დადგენას არ ეხებოდა. ვინ არ იცის, რამდენი რამ შეუძლია ერთი შეხედვით ყოვლად უწყინარ და მშვიდ ღიმილს.

პირდაპირ გეტყვით: დავკარგე უდრტვინელი სიმშვიდე.

ერთბაშად განუხორციელებელ ფანტაზიად მეჩვენა რისიმე დაწერა, მიუტევებელ სისულელედ — სახლიდან ამდენი წიგნების წამოღება, ზედმეტად გულმხურვალედ — საცოლისათვის მიცემული აღთქმა...

ისე ნუ გამიგებთ, რაიმე ანგარება ჩამსახოდეს გულში.

უბრალოდ მოუსვენარი გავხდი.

მოუთმენლად ველოდი ყოველ გათენებას, რომ ჩემს საყვარელ შეზლონგში მომეკალათებინა.

გულს მიღამებდა მწუხრის მოახლოება.

ჩავჯდებოდი თუ არა შეზლონგში, ისიც დაბარებულივით გამოჩნდებოდა. ისევ და ისევ ონკანთან, ისევ და ისევ ყვავილებით, ისევ და ისევ თავისი განუმეორებელი, მომაჯადოებელი ღიმილით.

საპასუხო ღიმილი ყოველთვის ყეყეჩურ მდგომარეობაში მაგდებდა: ქალიშვილს უმალ სახე მოექუფრებოდა, ნათელ თვალებში სხივი უქრებოდა.

ეს იყო სიხარულისა და მწუხარების, შუქისა და ჩრდილის საოცარი ცვალებადობა, არავითარ კანონზომიერებას რომ არ ემორჩილებოდა.

„თუ ჩემი ყურადღება სწყინს, რატომ მიღიმის ასე გამომწვევად?!. თუ უხარია, რატომ ასე ეღრუბლება სახე?!. რა გულუბრყვილო ვარ!.. ჩვეულებრივი თამაშია, ქალური თამაში... მაინც საიდან უნდა ჰქონდეს ამდენი ცბიერება სრულიად ნორჩ ქალიშვილს... ბოლოს და ბოლოს ეს სრულებით არაქალურია, დაუფარავად და გამომწვევად უძღვნიდე ღიმილს უცნობ მამაკაცს...“

და თითქოს იმიტომ, მისი გარეგნული სინაზისათვის შეუფერებელი ქცევით გამოწვეული შთაბეჭდილება რომ შემენელებინა, მტკიცედ გადავწყვიტე გავცნობოდი.

ერთხელ, როცა თავისი უცნაური თბილი ღიმილით კვლავ გამაბრუა, ჩვე-

ულებისამებრ სახლში კი არ შებრუნდა, არამედ ჭიშკარი გამოაღო და გზის პირას გაჩერდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული შემიქანდა, მაგრამ რისი ვაქკაცი ვიქნებოდი, ასეთი მოულოდნელი და თამამი გამოწვევა არ მიმეღო.

წიგნი დავკეცე, ჭიშკარი გამოვაღე და მივუახლოვდი.

— ჩვენს მშვენიერ მეზობელს სალამი! — დავიწყე მე, რაკი უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე.

მან თვალები მოწკურა და შეშფოთებით შემომხედა.

—პირველად ხართ ჩვენს ქალაქში?

ისევ დუმილი.

კიდევ რაღაცის თქმა დავაპირე, რომ ღიმილმა და წყრომამ ერთად გადაუარა სახეზე. ვარდის კოკორი, აქამდე ტუჩებზე რომ ჰქონდა მიდებული, ჩემს ფეხებთან დააგდო და ჭიშკარში სირბილით შევარდა.

მხრები ავიჩეჩე.

ასე მაწვალა მისმა უცნაურმა ღიმილმა მთელი ორი კვირა, არც მომკლა, არც მომარჩინა.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. და აი ერთ საღამოს ზურგს უკან მესმის უჩვეულოდ მსუბუქი, ფრთხილი ფეხის ხმა.

ვიგრძენი ის იყო.

მოვიხედე.

ტუჩებზე გაუბედავი, თითქმის შესაბრალისი ღიმილი დასთამაშებდა. თვალებში ისეთი ღრმა სევდა ჩაღვროდა, შევძრწუნდი.

— თქვენ წერთ? — მოულოდნელად შემეკითხა ის.

— დიახ, დიახ! — დაბნეულად ვუპასუხე მე და ფეხზე წამოვიჭერი.

ქალიშვილი შეზლონგის საზურგეს დაეყრდნო, წინ გადაიხარა და ჩემს ნაწერს დააცქერდა.

ვერ გეტყვით, ამ წუთში რა იხატებოდა მის სახეზე, რადგან იგი წინ გადმოსრიალებულ თმებს დაეფარა. ერთი კია, მისი ქცევა აშკარა უზრდელობად ჩავთვალე.

უცებ ისევ გასწორდა და მისი თვალები ვეღარ ვიცანი, შიგ ახლა საოცარი სითბო, სინათლე და კიდევ რაღაც, მუდარის მსგავსი იხატებოდა.

— მაშასადამე, თქვენ წერთ, არა?

— აკი მოგახსენეთ... როგორ გითხრათ..

— მაშინ რატომ დუმდით აქამდე? — უცებ ხმაში წყრომა გაისმა. — თქვენ ასე იცით!.. შემდეგ მისამართი გავიწყდებათ!

გავშრი.

— მე... მე..

მან რაღაც აუწერელი სიძულვილით შემომხედა და გაიქცა, სწორედ ისე, როგორც მაშინ.

— საწყალი გოგო! — შემომესმა გაოგნებულს.

— ვინ საწყალი, დეიდა?!

— აი ის... რა ლამაზია, რა კარგი..

ტანმა რაღაც ცუდი მიაზრა, შუბლი დამეცვარა.

— მშობლები გადაჰყვნენ, ვერაფერი უშველეს. — დეიდა ფანჯრიდან გადმოიხარა და ხმადაბლა დაუმატა, — სიყვარულის მსხვერპლიაო, ამბობენ.

დეიდასთვის მეტი არაფერი მიკითხავს.

ან რა საჭირო იყო.

ტკივილისაგან შეკუმშული გული თვითონ კითხულობდა: ნუთუ სიყვარულს შეუძლია ასე დასაჯოს ადამიანი? დასაჯოს ისე, რომ არ წაართვას თავისი ძლიერების ყველაზე სახოვანი ბეჭედი — მომჯადოებელი ღიმილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ჯაყელი

აჭარული გალადეგი

1. მგზავრი გვიანი

ბორბალო მთაზე, მწვერვალის ახლოს,
შევჩერდი, როგორც მგზავრი გვიანი.
მინდა ნაცნობი მეცხვარე ვნახო, —
ნადირმა ხომ არ მისცა ზიანი,
ზამთარმა ხომ არ დაუდგა სკამი,
ან დარდმა ხომ არ მოხვია მწუხრი.
იქნებ ჩანჩქერსაც შეერთო შლამი,
იქნებ წაერთვა მინდიას მუხლი.
მიველ, გათავდა ბილიკი ვიწრო
და დამელია მწვერვალიც აქვე.
ხევმა ჩანჩქერი უბიდან იძრო
და გადმოჰკიდა უფსკრულში თავქვე.
კარებს მოადგა ქალი მტირალი,
ტიტველა ბალღი უსწრებდა წინა.
წამწამს ნამავდა ცრემლი ტიალი,
როგორც მაისის ჟუჟუნა წვიმა.
სთქვა, მოჰპარაო ცხვარი ნადირმა...
ვერძის დაკარგვა ლამის გადარევს,
მხეცის შეპყრობა მოიწადინა
და შეერია ცხრა მთის ჯაგნარებს.
— აჰა, წაიღე პაპას ფრანგული
თოფი და ასი საწყაო დენთი,
თუ დაეცა და შეუდრკა გული,
უშველე, ძნელი არ არის შენთვის.

* * *

ტყეში გაისმა ტეხა-ზრიალი
და მონადირეც მოვლანდე აქვე.
წამოფრენოდა მხეცი ტიალი,

ეჭიდებოდა ნადირი მარჯვედ.
თითქოს თვალთაგან ცეცხლმა იალა:
— დასთმე! — შევძახე გაბოროტებით,
გულში ჩავუსვი დანა პრიალა
და მოვუდუნე ნადირს ტოტები.
შემომიბრუნდა ნაბრძოლი კაცი:
რად დასჭერიო, — მისაყვედურა.
სიტყვა დამიგდო ცივი და მკაცრი
და შეარხია მხრები ვეფხურად.
— ტიალმა ფარას მისცა ზიანი,
ამიტომ ვიყავ შეპყრობის მწადი!
კვლავ დაიჩოქა კაცი ზვიადი
და დაუმა ჭრილობა ნადირს.
კვლავ მოუსინჯა ტოტზე ბწკალები
და განუტევა ფერდობს ვერხვიანს.
შემდეგ გამიღო გულის კარები,
გაიღიმა და გადამეხვია:
— დე მოუშუშდეს საწყალს იარა
და თუ ქურდობას გაბედავს ისევ,
კვლავ შევიპყრობ და, მოვკლავ კი არა,
წირეხის ბორკილს დავადებ მყისვე.
ასე ვაგემებ, რაა ურჩობა,
რაა ქურდობა, რაა ზიანი,
ვერძი მომპარა ოხერ-ტიალმა,
სადა მყავს ცხვარი მაგის ზიარი —
ეს თქვა და ქუდით შეიშრო ოფლი.
იდგა ვეფხვივით ატოტებული.
შემდეგ მონახა ორლულა თოფი,
სადღაც წყაროზე დატოვებული.

2. მონადირე

იქ რო ტიტველი ქარაფი მოჩანს,
იქ რო სკიანი ციცალა არი,
იქ რო დათვებმა შეჭამეს ყოჩი
და ბერიკაცის ნიკორა ხარი,
იქ დააღამდა...
არასდროს ვალში
არ დარჩენილა ეს ერთი წელი.
ერთიც ესროლა და დენთის კვამლში
გაუჩინარდა დაჭრილი შველი.
იქ დააღამდა...
იღბლის ძაგებით
თითქოს ქვაგული გახდა ყაბული.
ნასხეპ შქერნალში გზების გაგნებით
ნახა ნაცნობი გამოქვაბული.

ეროვნული ბიბლიოთეკა
7777

ქარაფს ახედა. ნაჟურის წვეთი
წვეთდა დაჭრილი შველის ცრემლივით,
წამსვე ნაბადი დააგდო ფერხთით
და იქვე მიწვა მუხლმოცელილი.

* * *

გამთენიისას, ცამ რომ ინათა
და ორწოხებში ჩადგა ნათელი,
ისევ გააწყო თოფი ფილინთა,
მძიმედ წამოდგა ღამენათევი.
და რა შეჰხედა — ეხის[1] მახლობლად
შველს დასეოდნენ დედა-შველები,
თვალთა ნაღვენთმა იწყო გალღობა,
გული უწევდა მისაშველებლად.
— ვაჰმე, დასწყევლოს ტყვია გამჩენმა! —
ნუკრი სტიროდა შესაბრალისად.
ციდან კი სვავი კერძის არჩევანს
გადმოჰყურებდა...
იყო წამწამთა ჩამოხრილობა,
მთების ბუბუნი და შეცოდება.
თითქოს გაყუჩდა წუთით ხეობა
და გაილურსნენ ქვები, ლოდები...
კაცს სინანულის ჩაუდგა ცრემლი
და დაამსხვრია თოფის ფალია:
— ვინც მოგიგონა, ეს ულეველი
ცოდვა-გოდება მისი ბრალია!
ფილინთა ქვაზე გადაამტვრია
და კვლავ მონახა ბილიკი ძველი.
დაღმართს დაადგა დილაადრიან
იქ კი, ქარაფთან, დატოვა შველი.



1. ეხი — ბუნებრივი გამოქვაბული მთებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ გორგიჯანიძე



ულინგი ჯაბეური

ლადი მასპინძელს გამოეთხოვა, ჭიშკარი გამოიკეტა და გზას გაუდგა.

ღვიანი გაზაფხულის თბილი დღე იდგა. სოფელი კაკლების, ხეხილის ამწვანებულ ხეებში იყო ჩაძირული. ქვევით, მხარმარცხნივ, პიტალო ლოდებზე მდინარე მიშხუოდა. უფრო შორს, ფერდობებს ნახირი მოჰფენოდა. თვალსაწიერზე, იქ, სადაც ამ ახმაურებული მდინარის სათავეა, გოდერძის გადასასველელი მოჩანდა. ლადის საბჭოში უთხრეს, რომ მთის საძოვრებზე გარეკილი ცხვარი გოდერძს ხვალ გადაივლიდა. იგი არ ჩქარობდა. იცოდა დანიშნულ ადგილს სამხრობისას მიაღწევდა. ნარკვევი, რომელიც მწყემსებზე ოლქის გაზეთისათვის უნდა დაეწერა, აი ამ სოფლით, იმ ადამიანებით უნდა დაეწყო, რომლებთანაც წუხელ ღამე გაითია.

ლადი გზისპირად, წყაროსთან შეჩერდა, საწვიმარი ლაბადა ქვაზე გადადო. ზურგიდან სამგზავრო ჩანთა მოიხსნა, მათარა ამოიღო და წყლით აავსო. ყინულივით ცივმა წყალმა საამო სიგრილე აგრძნობინა.

ჟრიამული გაისმა, იქეთ მიიხედა. ორღობეებსა და შარაზე სკოლისაკენ მიმავალი ბავშვები გამოჩნდნენ.

მახლობელი სახლის ფიცრული კიბე ახალგაზრდა ქალმა ჩამოათავა. მზის სხივებით აციაგებულ, დაცვარულ ეზოს მისი ნაკვალევი დააჩნდა. პატარა დაღმართი მარდად ჩაირბინა და შარაზე გავიდა. ხევიდან აჭრილმა ნიავმა ვარდისფერი კაბის განიერი კალთა ჯერ ლერწამივით ჩამოქნილ ტანზე შემოასალტა, შემდეგ დაუდევრად შეურხია. ახალგაზრდა ქალმა წიგნების ჩანთა მუხლზე მჭიდროდ მიიკრა, რომ მიძალებული ნიავისაგან თავი დაეცვა.

რაც უფრო ახლოვდებოდა ქალი, მისი უმანკო, მიმზიდველი სახე, კეთილი, ალერსიანი თვალები მით უფრო მომხიბლველი ხდებოდა.

მათარით ხელში ლადი გარინდული იდგა, სუნთქვაშეკრული ელოდა, ვიდრე უცნობი ჩაივლიდა.

ქალი წყაროს გაუსწორდა, ვაჟს გადმოხედა, „დილა მშვიდობისაო!“ ტკბილად ჩაილაპარაკა, პასუხიც მიიღო და მშვიდად, აუჩქარებლად გზა განაგრძო.

შემდეგ პატარა აღმართი, ბორცვი, მოსახვევი და... ქალიც მოეფარა. ბა დაცარიელდა. ლადი მაინც ხედავდა ნარნარით მიმავალ ქალიშვილს, ცოტ ძძივით მოღაღანე მაღალ ყელს, ხვეულებში ჩაწნულ, ორად გადაყრილ დალალებს.

„რა ანგელოზი იყო?“ — ნაღვლიანად გამოელაპარაკა თავისთავს. ბარგი მხარზე გადაიდო და იმ გზას დაადგა, რომელზეც ცოტა ხნის წინათ ქალი გაუჩინარდა.

ბორცვს იქით თეთრადშეფეთქილი ქვის ერთსართულიანი სკოლა გამოჩნდა. პატარა ხეივანსა და სკვერს ბავშვთა ჟრიამული ავსებდა.

განაპირა ოთახის კარი გაიღო და აივანზე ახალგაზრდა ქალი გამოვიდა. ლადის გული შეუფრთხიალდა, ნაბიჯს უკლო. „ის იყო, ის!“ ზარს მიუახლოვდა. სივრცეში ფოლადის წკრიალი გაისმა. ლადი შეჰყურებდა და ყოველ შემოკვრას ითვლიდა: ერთი, ორი, სამი...

ბავშვები ჟრიამულით მიაწყდნენ აივანს.

სანამ ქალი ოთახში დაბრუნდებოდა, ლადიმ მისი წამიერი გამოხედვის დაჭერა მოასწრო.

„მასწავლებელი ყოფილა“. — გზას ფიქრიანად შეჰყვა.

უკან დარჩა სკოლა, სოფელი, ახალგაცნობილი თუ უცნობი მასწავლებელი, რომელსაც რატომღაც ნათელა შეარქვა.

პირველი სამი საათი აჩქარებული მიდიოდა. განვლო ფერდობები, ხევები, ტყეები, საცალფეხო ბილიკები. მაღლობს მაღლობი ცვლიდა, მთას მთა. ჰაერი უფრო გამჭვირვალე გახდა, გულმა აჩქარებით დაუწყო ცემა, მაგრამ ლადისათვის ჰაერიც საკმარისი იყო, სილამაზეც და მხიარულებაც. იგი ნასიამოვნები დარჩა განცდილითა და ნახულით, ცხოველმყოფელი დილითა და უკიდეგანო სივრცეებით.

ნაკადულთან შეჩერდა. დაღლილი იქვე ჩამოჯდა, ბარგი მოიხსნა. ქვევით დასალიერს გადახედა. ჰაუ, სად ამოსულა! აჰა, ბარში ჩაწოლილი ღრუბლებიის ღრუბლებზე მაღლა, იმ მთებზე მაღლა დგას. ქვეყანა რა ვრცელი, რა უსასრულოა. მზის სხივებით აფერადებული დედამიწა ისეა გადასარკული, თითქოს ეს ზეციური, უხვი სინათლე არასოდეს აღარ ჩაქრება, პირქუში წყვდიადი ვერასოდეს ვეღარ დაისადგურებს.

წაიხემსა, შეისვენა და ისევ შეუდგა აღმართს.

გზა გრძელი და ძნელი იყო, ჯერ მხოლოდ ნახევარი ჰქონდა გავლილი, მაგრამ ლადის მაინც არ უჭირდა, დაღლილობას სძლევდა, ჭაბუკური მუხლი არ იქანცებოდა. გული და ფიქრი კი... გულს დარდი ღლის, გონებას — წუხილი და მარტოობა. ლადი არც მარტოდ იყო არც რაიმე სტანჯავდა. მას თან ახლდა ქალიშვილის ნათელი სახე, მისი ხალისიანი გამოხედვა. ეს აჩხრიალებული ნაკადულები, უფსკრულში ჩაკიდული ჩანჩქერები, ლოდებზე მორაკრაკე წყაროები ლადის თითქოს თანაუგრძნობენ. გზაფხულს აქაც გაუმართავს ზეიმი, მწვანედ მობიბინე ფერდობები მაისის ფერად ყვავილებს დაუქარგავთ. ნათელას კაბაზე ასეთი ყვავილები ააფორიაქა ხევიდან ამოვარდნილმა ნიავმა. ასეთი ყვავილები ნათელას მაყვლისფერ დალალებს წყვდიადში მოციმციმე ციცინათელებივით დაშვენდებოდა. ვინ იცის, ახლა იქნებ მასაც აკვიატებია შემთხვევით შეხვედრილ უცხო ჭაბუკზე ფიქრი, დგას აივანზე ყორეშემოვლებულ ეზოში და აღმოსავლეთიდან მის დაბრუნებას, მის გამოჩენას ელოდება...

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარე ამოცურდა სადღაც შორს, ძალიან შორს რუხ-მუქად ჩაწოლილ ღრუბლებ-შუბიდან, თითქოს უფსკრულიდან ამოილალა და მწვერვალზე გოლიათივით წამოჭიმულ ჭაბუკს შეჰღიმა.

ლადი გოდერძის გადასასვლელზე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გამყოფ ქედზე იდგა და გადაჰყურებდა წყვდიადით ჩამძიმებულ, უნაპირო სივრცეებს, მთვარის სხივებით ვერცხლისფრად მოლაპლაპე, თოვლით შებურულ შორეულ მწვერვალებს.

მას არასდროს უნახავს ასე პირსავსე, გაბადრული მნათობი, ასეთი ნაზი, თითქოს მარადიული უმოძრაობით ჩაძირული ქვეყანა. იქ გაზაფხულიც თავისებურია. დაღამებიდან ერთი საათიც არ გასულა და ნაბადი, რომელიც მწყემსებმა წამოახურეს, ცვარნამის მძივებით დაითრთვილა. განთიადი გადმოიფრქვევა თუ არა, გაღვიძებული გარემო ნაირფერად იმოსება. ამწვანებული ფერდობები კალთას ფიანდაზად გიფენენ, ხელგაშლით გეპატიჟებიან... ყველაფერი არაჩვეულებრივია, ლადის განწყობილებაც. აგერ უკვე მესამე დღეა ცისმარე შეჰყურებს ყოველივეს, მოსწონს მზის ჩასვლის წინ ბუნების სევდიანი გამომეტყველება, დაბლა, ხევებში მალულად შემოპარული ნისლი, სუსხიანი ღამე და დაცვარული დილა, კომბლით ხელში მწყემსების მხარიმხარ ყოფნა და გაღმა ფერდობებზე ომახიანი გადაძახილი. მოსწონს ეს ჭრელი და თეთრი ქოფაკები, მუდამ რომ ფხიზლობენ და ბალახით შეტყუებულ ცხვარს ფარიდან მოწყვეტის საშუალებას არ აძლევენ. ამ თავისებურ, მკაცრ, მოხეტიალე შრომასა და ცხოვრებაში არის რაღაც მიმზიდველი, მამოძრავებელი. ეს მარტო მოვალეობა არ არის, ეს სიყვარულია, რომელიც ადამიანს ძალ-ღონეს მატებს, მხნეობითა და რწმენით ავსებს...

სიყვარული! — და უღელტეხილზე მდგომი ლადი ამოცურებულ მთვარეს უღიმის. ოცნებას გზას უხსნის. მანძილი და ღამე ხელს ვერ უშლის ხედავდეს მას, ვინც მისთვის უკვე გაორებულია. იქაც დარჩა და აქაც არის, ლადისთან სულ ახლოს. ვაჟს ესმის მისი გულისცემა, ვარდისფერი კაბის შრიალი, გრძნობს მისი თვალების თბილ, საამო შუქს. ეს რა არის, სიყვარულია თუ გატაცება... მაგრამ არა, ეს რაღაც უფრო მეტია, მაცოცხლებელი, მამოძრავებელი.

ლადიმ შეასრულა დავალება. ხვალ განთიადისას მწყემსები გოდერძს ვასცილდებიან, თვითონ უკან დაბრუნდება, ნაცნობ მასპინძელთან ღამეს გაათევს. ისინი ხომ მეზობლები არიან. ალბათ, ნათელამ უკვე იცის წყაროსთან შემთხვევით შეხვედრილი ჭაბუკის ვინაობა. ქალური გაუბედაობა და კდემამოსილება დასძლევს? მაშინ ლადი ნარკვევს ქალაქში გაგზავნის, თვითონ სოფელში დარჩება და...

ბანაკში ძაღლები ფხიზლობდნენ. ცხვრები ხშირად ფშვინავდნენ. სადღაც ხევში მდინარე მარადისობას უძღეროდა.

ლადი კარავში ფეხაკრეფით შევიდა და ნაბადში გახვეული კუთხეში მიწვა.

* * *

ქვევით, მთის ძირას გამოჩნდა ნაცნობი სურათები, სკოლის შენობა, ყავრით დახურული სახლები, კაკლის ხეები, პატარა ეზოები, თასმასავით დაგრეხილი შარა. ლადის ვერც წარმოედგინა, ასე თუ ააღელვებდა სოფლის დანახვა, სადაც მხოლოდ ერთი ღამე გაათია. იგი შედგა და დაფიქრდა. არა,

სახლებს, გარემოს არ აუღელვებია. ის იმ ადამიანთან მიახლოების შეგრძნებამ ააფორიაქა, რომელსაც სამი დღის წინათ წააწყდა და... მაგრამ სოფელში არის კი ისეთი, როგორადაც ლადის ეჩვენება? იქნებ სხვას არც მოეწონოს. არა, არა, იგი განსაკუთრებულია, თამამად შეიძლება ითქვას, უნაკლოა.

სკოლა დუმილით შეხვდა. ოთახები გამოკეტილი იყო, ეზო დაცარიელებული. ზარი კი... ზარი წკრიალებდა, კისკისებდა, მაგრამ მისი ხმა მხოლოდ ლადის ესმოდა, ლადი განიცდიდა. დაღმართს დაჰყვა, ბორცვი უკან ჩამოიტოვა. არ სწყუროდა, წყაროსთან მაინც შეჩერდა. ჩანთა მოიხსნა, ლოდზე ჩამოჯდა.

აი, ის სახლი, ის ეზო. არავინ ჩანს, მოუთმენლად არავინ იცქირება. ლადი კი მოვიდა. ნატვრა და ნახვის სურვილი ძლევს. რამდენი რამ აქვს სათქმელი და გადასაწყვეტი.

ლოდინი. იქნებ სახლში არც არის.

უხალისოდ წამოდგა, შარაზე გავიდა.

აი, მისი ჭიშკარი. იმ დილით ეს დაღმართი სირბილით ჩამოათავა. რა ბედნიერება იქნება, ახლაც, თუნდაც უმიზეზოდ ეზოში გამოჩნდეს, მაშინ კი...

ანგარიშმიუცემლად ყორეს გადაევლო, სახლისაკენ გაემართა.

ჩამავალი მზის ოქროსფერი სხივებით განათებულ ოთახში საოცარი მყუდროება და სიმშვიდე სუფევდა. ქალი, რომელსაც ლადი ყველაზე სათუთი ფიქრებისა და სურვილების მოზიარედ თვლიდა, ფანჯარასთან იჯდა, წიგნს კითხულობდა.

ლადი შუა კარებში გახევებულიყო და ვერ გადაეწყვიტა რა ექნა. მისალმებოდა, გასცნობოდა, ყოველივე აეხსნა, თუ უსიტყვოდ უკან გაბრუნებულიყო?

...ლადი ქალაქში სამი დღის შემდეგ დაბრუნდა. დაბრუნდა მხიარული, ბედნიერებით აღსავსე. გულის ჯიბით ლამაზი ქალიშვილის სურათს ატარებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანე ალღუნელი

შენ გაგიმარჯოს, ბებერაშვილო!

რუმინეთის ქალაქ სტალინში შევხვდი ოთარ ბებერაშვილს, რომელიც ორმოც წელზე მეტია რუმინეთში ცხოვრობს. აქვე დაცოლშვილებულა. მისი დედ-მამა წინათ სტამბოლიდან გადმოხვეწილა აქ. ქართული კიდევ სცოდნია.

ძმაო, სტალინის მიწის ნაშობო,
ქალაქ სტალინის ქუჩაზე მხვდები,
მოკითხვას გითვლის შენი სამშობლო
და წინაპართა ბებერი ძვლები.
შეგხვდი, გიცანი კაცი ქართველი,
მშობლიურ სიტყვის სიომ დაბერა
და დედაენის დიდი ნათელი
უცხო მიწამაც ვერ დააბერა.
თურქის ბრჭყალიდან გამოღწეული
შენი დედ-მამა დასახლდა ბრაშოვს.[1]
უცხოეთს იყავ გამომწყვდეული,
იქნებ თბილისი აღარც კი გახსოვს.
ბებერაშვილო, ნუთუ ბერდები,
დედა-მდინარე არ გახსოვს მტკვარი?
ნუთუ არ გახსოვს მცხეთის კედლები
და ბებრისციხე ამაყად მდგარი?
საით გაგტყორცნა ბედმა მაცდურმა,
როგორც მდინარის ტალღამ ნაფოტი!
მე რა ვიცოდი, აქეთკენ თურმე
შენს საძებნელად მოვისწრაფოდი...
ცხოვრების გზაზე სად დაგიღამდა,
რომელ შარაზე შენთვის გაწვიმდა...
შენ ხომ თბილისის ზეცა გიყვარდა
და უწმინდესი ჩვენი მთაწმინდა!

1 ქ. სტალინის ძველი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...დღეს უმღერ ახალ ცხოვრების ვარსკვლავს,
ბედნიერება რომ გაპოვნინა
და სხვებთან ერთად ამბობ: — ტრაიასკა
რეპუბლიკა პოპულარა რომინა![2]
შე შავგვრემანო, ულვაშაშლილო,
ქართული სიტყვა კიდევ გეღირსა,
შენ გაგიმარჯოს, ბებერაშვილო,
დილაც მშვიდობის, ღამეც ნებისა!

დაკარგული საფლავი

ქ. იასში ვნახე ბესიკის საფლავის ლოდი.

ავაქღერე რითმა — ლექსის დესპანი
და ბესიკის საძებნელად მოველი,
სადღაც ახლოს სატრფოსავით მკვნესარი
მეგულება შენდობისა მთხოველი.
ვნახე ლოდი... ეს ბესიკი როდია,
ეს ხომ მარტო ცარიელი ლოდია,
რომლის ქვეშაც გასწორდება ყოველი...
მე ბესიკის სანახავად მოველი.
ჩემთვის მაინც ძვირფასია ეს ლოდი,
მე მის ნახვას რა ხანია ველოდი,
ზედ გვირგვინი დავდე, მისთვის მოველი...
წევს იასში შენდობისა მთხოველი.
...იქნებ ფეხი შენს საფლავს დავაკარე,
იგრძნეს ძვლებმა და შენდობას მოელი,
იქნებ ცრემლი იმ მიწას დავაყარე,
რის საძებნად შორი გზიდან მოველი!
ეჰ, ვინ მითხრას, რომელ კუნჭულს ებარე,
სად დაგეცა ცრემლი, დარდის მთოველი.
სადღაც ახლოს, საფლავს შინა მდებარე
წევხარ ჩუმად — შენდობისა მთხოველი...

1 გაუმარჯოს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სანაძირაძე

ღვთისავარა

ლოდინში დრო ზანტად მიდის და ღვთისავარას ყოველი დღე საშინლად გრძელი ეჩვენებოდა. მაგრამ როცა შვილიშვილის ხმა გაიგონა, მაშინვე დაავიწყდა ლოდინის წლები და ბერიკაცი ღიმილით შეეგება ბიჭს.

— ასე უნდა? ეს გასწავლეს, გამზრდელი დაივიწყო? მოტრიალდი, აბა, შეგხედო.

ბერიკაცი სახელგანთქმული მონადირე იყო. მთელი თავისი სიცოცხლე ზღვაზე გაეტარებინა და მიუხედავად ცოლის ბუზღუნისა — ბავშვი ხომ არა ხარ, დროა ძვლები დაასვენოო, — სულ არ ფიქრობდა „ძვლების დასვენებას“. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ მოხუცს ცოტა კიდეც ეტოშა შვილიშვილის ფერმკრთალი სახე.

— ერიჰა, — ამოიოხრა მან, — წელზე მოვხვიე ხელი და ძვლებმა ტკაცანი დაუწყეს. სიარულიც სხვანაირი უსწავლია თითქოს. იიჰ! გაგონილა კაცის ამდენი კოხტაობა?!... მაგას ბადის ამოკემსვაც დაავიწყდებოდა.

რა გამოეპარებოდა ბერიკაცის თვალს?

არაფერი.

მეორე დილით შვილიშვილმა მამისეული თოფი ჩამოიღო, ლულებს გაუხედა. მოხუცს იმედი მიეცა. ამღვრეულ თვალებში, თითქოს ჩამქრალი კერა გადაჩხრიკესო, ნაპერწკლები აუციმციმდა, „ვაითუ მოსწყინდა და იმიტომ მიუწევს გული სანადიროდ?“ — გაუელვა მაშინვე და ეს ფიქრი არ იქნა და ვერ მოიცილა. მისი აზრით, ქალაქი ადამიანს საოცრად აზარმაცებს, ხასიათს უცვლის. იქნებ მალხაზსაც ასე მოუვიდა. ასე იყო თუ ისე, ბერიკაცმა შვილიშვილს ხათრი ვერ გაუტეხა და ვაზნების დატენას შეუდგა.

იმ ღამეს ქარიშხალი ამოვარდა. ირმის რქებივით გაიტოტა ელვა. კოკისპირულმა წვიმამ შხუილით გადაუარა სოფელს. მაგრამ ცისკრისას ღელვამ შესამჩნევად იკლო, ღრუბლები გაიფანტნენ და ახალამოსული მზის შუქზე ნაცრისფერი ზღვა ქანცდალეულ ავაზასავით ასვენებდა სხეულს.

ღვთისავარმა ჩიბუხი გააბოლა, მობრუნდა, მძიმედ გაიარა დერეფანში და შვილიშვილი გააღვიძა.

— ადექი, თუ წასასვლელი ვართ, ამაზე უკეთეს დროს ვერ ვიხელთებთ, ფრინველს თოვლივით მოაყრის.

მალხაზი ნახევრადშიშველი შეუდგა ონკანს და, როცა ცივი წყალი მოხვდა ტანზე, ფრუტუნი დაიწყო. მოხუცს ეწყინა. „წამხდარა, ძმაო, შენი საქმე, ცივ წყალსაც თუ ვერ უძლებ. მეთევზედ არასოდეს აღარ ივარგებ“.

დრო არ დაუკარგავთ. სახელდახელოდ ისაუზმეს, გადაიკიდეს თოფები და ბილიკს გაუდგნენ. ქვევით ნავი უცდიდათ. ტალღები საოცრად ლაპლაპებდნენ და თვალი რომ არ მოეჭრა, მალხაზი კიჩოზე მოთავსდა. ზღვა იყო მშვიდი და ნაპირის მსუბუქმა ქარმა სწრაფად გაბერა აფრა. პატარა ნავი გედივით გასრიალდა.

როცა დანიშნულ ადგილს მიაღწიეს, უამრავი ფრინველი მოწყდა მიწას და გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო. მხოლოდ თოლიები არ დამფრთხალან, ისინი ისევ უშფოთველად ტრიალებდნენ ჰაერში.

ღვთისავარი ნაპირზე გადავიდა და ნავი კლდის გამონაშვერზე მიაბა.

— დაფრთხნენ, — თქვა მალხაზმა, — მერე და რამდენი იყო!?

— არაფერია, — დაამშვიდა მოხუცმა, — ახალი გუნდი გადმოივლის.

მოხუცი ძველი ჩვეულების თანახმად მიწაზე დამჯდარ ფრინველს არ ესროდა. სამაგიეროდ თითო გასროლით ორზე ნაკლებს არასდროს არ ჩამოაგდებდა. მალხაზი ასიოდე ნაბიჯით დასცილდა, რათა ბერიკაციისათვის არ შეეშალა ხელი, და ღვთისავარს ძალიან ხშირად ესმოდა, როგორ გრიალებდა მისი თოფი.

ფრინველთა სულ უფრო მეტი და მეტი გუნდი აწყდებოდა კუნძულს. მოფრინდნენ შავი ჩვამები, ბატები. თეთრგულა და ნამგალფრთიანი კაირები, იხვები...

შუადღისას ქარმა იმძლავრა, მერე ქოჩორა ტალღები ათამაშდნენ და ბერიკაცმა იგრძნო, რომ წყალმა მატება იწყო. ამინდი იცვლებოდა. ღვთისავარმა ნავისაკენ გაიჩქარა. მერე, როცა ნავის აშვებას აპირებდა და შვილიშვილისათვის უნდა დაეძახნა, მოულოდნელად უცნაური აზრი აეკვიატა.

„რა იქნება, რომ გამოვცადო, ა? იქნებ...“ და აღარ დაამთავრა, თოკს ფრთხილად, შეუშვა ხელი. ნავი სწრაფად გასრიალდა ტალღებზე.

— მალხაზ!

ნადირობით აღგზნებულმა ჭაბუკმა ბაბუას მიაშურა. მოხუცმა ადროვა, ადროვა და როცა ახლოს მივიდა, ნაღვლიანად უთხრა: — ნავი, მალხაზ?... ხედავ ნავს?

მალხაზმა გაიხედა და გაფითრდა.

— რა უნდა ვქნათ, ბაბუ?

ღვთისავარი დუმდა. იგი მზად იყო იმწამშივე გაეხადა ტანზე და ნავს გამოდგომოდა, მაგრამ აი, შვილიშვილი... რას იზამდა იგი?

დრო გადიოდა და ნავი თანდათან მიჰქონდა დინებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაღაც უნდა ეღონათ, მაგრამ რა?

— გაიხადე, — თქვა მოხუცმა...

მალხაზმა თვალი მოავლო აქოჩრილ ტალღებს და ჩუმად გამოცრა:

— იქნებ მოვიცადოთ, ა? ბინდისას სეინერები გამოივლიან...

— მიდი, მიდი! — ააჩქარა ბერიკაცმა, — მე, ძმაო, ორი დღის სიცოცხლე დამრჩა.

შვილიშვილმა გაიხადა ჩექმები, გადაიძრო საწვიმარი და წყალთან მივიდა. ჩაუშვა მარცხენა ფეხი და სწრაფად ამოსწია. სახე დაემანჭა. ღვთისავარს მოეჩვენა, რომ მალხაზი ორჭოფობდა. ეგონა დაიწყებდა მტკიცებას, დაუცადონ სხვა მეთევზეებს...

ჭაბუკმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და გასცურა.

ბერიკაცი ჩიბუხს სწევდა და ხანდახან, როცა ტალღა გადაეფარებოდა შვილიშვილს, წარბებს მოჭმუხნიდა, მოუსვენრობა იპყრობდა. მაგრამ წყლის ზედაპირზე ისევ გამოჩნდებოდა მალხაზის ხუჭუჭა თავი და ღვთისავარი შვებით ამოისუნთქავდა.

— მიაღწევს, უსათუოდ მიაღწევს...

როცა ჭაბუკმა ნავი გამოაბრუნა, ღვთისავარმა ქუდით შეუმშრალა ტანი და ზელა დაუწყო. ჭაბუკი თრთოდა.

— ტფუ, საშინელი წყალია. მეგონა, მთელ ტანს მიხეხავდნენ. ძალა წამერთო.

— ზღვა ამ დროს ყოველთვის ულმობელია, — დაეთანხმა ღვთისავარი და შვილიშვილს მოსიყვარულე თვალებით გადაჰხედა. — აფრას აღარ გავშლით, შენ დაჯდები ნიჩბებთან.

ბერიკაცი უხერხულად გრძნობდა თავს, რადგან უხეშად მოეპყრა შვილიშვილს.

„რაც არ უნდა იყოს, მალხაზი სტუდენტია, კაცობაში ახლად გადადგა ფეხი“.

მას უნდოდა ჭაბუკისათვის საალერსო რამ ეთქვა, შეექო კიდევაც, მაგრამ საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა.

— ეს კუნძული კი არა ნამდვილი შფოთისთავია, — განგებ თქვა ღვთისავარმა, — მონადირისათვის ამაზე საშინელი ხაფანგი არც იქნება სადმე.

ნანადირევი ნავზე დადეს და მოწყდნენ ნაპირს.

— ბაბუ, — თქვა შვილიშვილმა, — შენ ტყუილად გაჯავრდი. რა გეგონა, არ გავცურავდი?

— აბა რა ვიცი, — წაიბუზღუნა ღვთისავარმა, მერე მობრუნდა და შენიშნა, რომ ნისლი წვებოდა.

ნავი საშინლად ქანაობდა.

ბერიკაცმა ცას აჰხედა.

— ფრინველი კი როგორ მოდის! ხვალ ამინდი დაწყნარდება და ისევ შეიძლება ნადირობა, შენ რას იტყვი, ა?

მალხაზს გაეღიმა.

თოლიები ისევ გუნდ-გუნდად დასტრიალებდნენ კუნძულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ სეიდიშვილი

ზღვა და ბავშვი

დედას ყოველდღე მოჰყვება ბავშვი,
გახედავს ზღვაზე თუ არა სივრცეს,
გაიბუტება და უხმოდ ისევ
დაუშვებს ხელებს ჰაერში გაშლილს.
დღესაც მოვიდა, აღფრთოვანებულს
არ დაუშვია პაწია ხელი.
შორს, ჰორიზონტზე ცას დავანებულს
ნემსის წვერივით კაწრავდა გემი.

შეხვედრა

შენ ერთხელ მოხვედი
ზღვის სანაპიროზე
და კრძალვით მოსტაცე
სინაზე მიმოზებს...
შემდეგ კი წახველი,
დაგკარგე კინაღამ...
შენს თვალთა სილურჯეს
ვრცელი ზღვა ინახავს.
ტალღები მოდიან,
მიდიან ისევე.
მათ ყოფნას მეტყველებს
კენჭების სისველე.
მზე იყო, ჩავიდა
ზღვის ფართო უბეში,
წავიდა, დასტოვა
სითბო და ნუგეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველად

ძველად ჩვენს უბანს მეთევზეთა უბანს ეძახდნენ...
ჩვენ კი — ბავშვები, რეჯების უბანს.
ბაბუა იყო ხან დურგალი, ხანაც მეწაღე,
მაგრამ მეთევზედ რჩებოდა მუდამ.
მზიან დღეს ქსოვდა დაგლეჯილ ბადეს...
საღამოისით მარტოკა ზღვაში
გავიდოდა და ბავშვების გულში
დაბრუნებამდე ტოვებდა დარდებს.
ძველად ამ უბანს მეთევზეთა უბანს ეძახდნენ,
დღეს ეძახიან რეჯების უბანს.
ბაბუა იყო ხან დურგალი, ხანაც მეწაღე,
მაგრამ მეთევზედ რჩებოდა მუდამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ მოდებაძე

მოჯიმები

ბიჭები ხევის პირას თევზაობენ.

მდინარე ღრმაა. სლიპ ნაპირებში ნელა, მდორედ მოედინება, თითქოს არც იძვრისო. ცოტას რომ გაივლის, კალთებს ფართოდ შლის და უფსკრულში ეშვება.

გაღმა ფერდობს შქერისა და იელის ბუჩქები ასდევს. შუა წელზე ბილიკი მიიკლაკნება.

— მზე ჩადის, — სინანულით თქვა შაქრომ და კამკამა წყლის სიღრმეში ჩაშვებულ ანკესს დააკვირდა, მერე ფრთხილად მოზიდა.

ნიკოს ხმა არ გაუცია. ახლა იმას ნატრობენ, ერთი თევზი მაინც დაგვაჭერინაო.

შაქრომ ანკესზე წამოგებული სატყუარა შეასწორა და წყალში ჩაუშვა.

ნიკომაც მას მიბაძა.

ერთი საათი გავიდა. ბიჭები სდუმან. სახეზე ერთი ნაკვთიც არ უკრთით, თითქოს შეურიგდნენ იმ აზრს, რომ დღეს თევზს ვეღარ დაიჭერენ. მოუთმენლად დასცქერიან ტივტივებს, ხანაც თანაგრძნობით გადახედავენ ერთმანეთს.

— გაგვიცუდდა თევზაობა, — ამბობს შაქრო.

— გულს ნუ გაიტეხ, — ამხნევებს ნიკო.

მზე უკვე თვალსაწიერზე დაფენილ მღვრიე ღრუბლებში იძირება.

ხევში საღამოს მყუდროება ჩამოწვა. მხოლოდ მდინარის ხმაური ისმის. გადმოშვერილ რცხილის ტოტებს ნიავი არხევს. ანაზდად შაქრო ხმელ ფოთოლს დააკვირდა, რომელიც ზემოდან ფარფატით დაეშვა, დაეცა მდინარეს და გაჰყვა წყლის დინებას. ფოთოლი ნელა, უხმოდ მიცურავდა ანკესებს შორის.

მის გვერდით კენჭი ჩავარდა. წყალზე წრეები მოიხაზა, მაგრამ ბიჭები არ შერხეულან.

კენჭი ისევ ჩამოვარდა.

— ვიღაცა ანგლობს, — თქვა ნიკომ.

— ვინ იქნება? — მშვიდად იკითხა შაქრომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე ფერდობს გახედეს, მაგრამ ვერაფერი შენიშნეს. შქერისა და იელის ბუჩქები ჩვეულებრივ ირხეოდნენ.

— ხომ არ გვეჩვენება? — თქვა ნიკომ და ანკესი ამოსწია. სველი თოკიდან წყლის წვეთები ცვიოდა.

— ვინც უნდა, ის იყოს. ერთი თევზი მაინც დაგვაჭერინა, ხელცარიელი როგორ წავიდეთ!

წყლის მდორე ზედაპირზე ისევ იხაზება წრეები.

შაქრომ ფერდობს თვალი მოავლო. მის პირდაპირ ბუჩქები შეირხა. მერე იქიდან ქალიშვილის კისკისი მოისმა.

— ციცინო! — წამოიძახა შაქრომ.

— ციცინო! — ჩურჩულებს ნიკო.

ციცინო მათი თანაკლასელი იყო. საშუალო სკოლა შარშან დაამთავრეს. ერთხელ ბიჭები საკლასო ოთახში რომ საუბრობდნენ, შაქროს წამოცდა, რა კარგი გოგოაო ციცინო. ნიკომ მერხზე მჯდომ გოგონას ქურდულად გახედა და ისიც დაემოწმა, კარგიაო, მაგრამ გულმა რეჩხი უყო და გაწითლდა.

იმ დღიდან ბიჭები ერიდებიან ციცინოს სახელის ხსენებას.

ციცინო შქერისა და იელის ბუჩქებს გამოეყო. ჩითის უმკლავებო კაბა ეცვა. ოდნავ გამხდარ მკლავებზე მზეს ფერი გადაეკრა.

— თევზაობთ? — იკითხა ციცინომ.

— ვთევზაობთ, ვთევზაობთ! — ერთდროულად ასძახეს ქალიშვილს და ერთმანეთს მიაშტერდნენ. წყალში ჩაშვებული ანკესი სულ დაავიწყდათ და ვეღარ ამჩნევენ, როგორ მიაქვს დინებას ტივტივები.

„როგორ გალამაზებულა“, — გაიფიქრა შაქრომ და ნიკო შეათვალიერა. „ციცინო მას უყურებს“, — ანაზდად გაკენწლა ეჭვმა.

— როგორ ხარ, ციცინო? — იკითხა ნიკომ, ქალიშვილის მზერას ვეღარ გაუძლო და თავი დაღუნა. ახლა ოდნავ ამღვრეული თვალებით ტივტივას დაეცქერდა. მდინარის ჩხრიალში თითქოს ქალიშვილის სუნთქვა ესმის.

— თევზი არ დაგიჭერიათ? — იკითხა ციცინომ.

— არა, — მიუგეს ბიჭებმა, — მერე ერთიმეორეს შეხედეს, — უთუოდ დავიჭერთო, — დააიმედეს ცნობისმოყვარე ქალიშვილი.

— ცუდად თევზაობთ, — უსაყვედურა ციცინომ.

ბიჭები შეიშმუშნენ.

„დახე, ნიკოს გაუცინა“, — გაიფიქრა შაქრომ და დაიბნა. ხელიდან ანკესის ჯოხი გაუვარდა. ქვებში რომ არ გაჩხერილიყო, ალბათ, მდინარე წაიღებდა.

ნიკო ლოდზე დადგა. გამარჯვებულის იერით გახედა ტივტივას.

„ნეტა წაეღო წყალს“, — გაიფიქრა მან და მაშინვე შიშით შეხედა შაქროს, ნაფიქრალს ხომ არ მიმიხვდაო.

— ჰა, ჰა, ჰა! — იცინის ციცინო, — ამდენ ხანს ერთი თევზი როგორ ვერ დაიჭირეთ.

შაქრო შეიშმუშნა. უცებ მოეჩვენა, თითქოს მის ანკესს დიდი თევზი მიეტანა. სიხარულისაგან გააჟრჟოლა.

ნიკო ისევ ლოდზე დგას. — თევზო, — ეუბნება იგი, — წამოეგე რა, ერთხელ ამოგიყვან, შენს თავს დავანახვებ აი, იმ ქალიშვილს, კეკლუცად რომ იყურება, და გაგიშვებ, გეფიცები, გაგიშვებ!

ანკესი მოზიდა. სატყუარი შესცვალა და ისროლა. ანკესი გაღმა ნაპირთან დაეცა. ნელა მოსწია — არ მოჰყვა. ისევ მოსწია და თასმა გაწყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაქროს თვალებიდან ღიმილი გამოკრთა.

— რა მოგვიდა, ბიჭო, გაწყდა?

— რატომ ვარ ასე უბედური, — ბოღმა მოაწვა ნიკოს ყელში, — რა ოხრობამ გაწყვიტა...

— ჰა, ჰა, ჰა! — იცინის ციცინო, ესეც შენი თევზაობა. მგონი დაჭერილიც გაგექცევა.

— რამ გაგიწყვიტა, ბიჭო? — ისევ ჰკითხა შაქრომ, მაგრამ არ შეუხედავს, შეშინდა, ღიმილი არ შემატყოსო.

— ვერც შენ დაიჭერ თევზს, შაქრო, — გადმოსძახა ციცინომ.

„ჰმ, მასაც დასცინა“ — გამხნევდა ნიკო.

ციცინო შეტრიალდა.

— მიდიხარ? — წამოიძახა ნიკომ.

შაქროს სახეზე გაკვირვება ეხატება.

— კარგად გნახეთ,—გადმოსძახა ციცინომ, ბიჭებს ხელი დაუქნია და იელის ბუჩქებს მიეფარა.

ნიკომ ანკესის ჯოხი მდინარეში ჩააგდო და ლოდიდან ნაპირზე გადმოხტა. გადმოშვერილი რცხილის ტოტები ხელით გადასწია და შაქროსთან ჩავიდა.

— შენ მაინც დაიჭირე.

— დანავსული ვართ, — მიუგო შაქრომ და წამოდგა. ქვემოთ მდინარის ნაპირას მორზე ჩამოჯდა, — ვცდი ბედს, შეიძლება გაგვიმართლოს.

— აი იქ ჩააგდე ანკესი, მარცხნივ, — ურჩია ნიკომ.

— ჩამოდი, ორივემ ვითევზაოთ!

— არა, არა, შენ ცადე ბედი.

— სულერთი არის, რომელიც დავიჭერთ, ჩამოდი, — სთხოვა შაქრომ. უცებ გაახსენდა, წეღან დამცინავად რომ უყურებდა და შერცხვა.

— აი იქ აჯობებს, — უთხრა ნიკომ და ანკესის ჯოხზე ხელი მოუკიდა. ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ტივტივა შეირხა. მიუახლოვდა სლიპ ნაპირს. მერე ანკესის თოკის დაწევაც იგრძნეს.

— მგონი არის! — სიხარულით წამოიძახა ნიკომ.

— ნუ ღელავ! — მიუგო შაქრომ და თვალები დაძაბა.

— მოემზადე! — წამოიძახა ნიკომ, მაგრამ ხმა გაუწყდა, როცა ტივტივა გასწორდა და ნელა მიჰყვა წყლის დინებას.

— წავიდა! — ხელი ჩაიქნია შაქრომ.

— დავაყოვნეთ, სწრაფად უნდა ამოგვეგდო ანკესი.

— მოიცა! — დაიყვირა შაქრომ, — შეხედე... შეხედე!..

ტივტივა წყალში ირხეოდა, მერე იგი ჩაიძირა, მაგრამ ისევ გასწორდა, მიჰყვა წყლის დინებას. ის იყო ბიჭებმა ანკესის ამოგდება დააპირეს, რომ ისევ შექანდა ტივტივა და მერე ნელა იწყო ჩაძირვა.

— მოსწი! — ერთდროულად დაიძახეს და არც კი შეუნიშნავთ, თუ როგორ ამოაგდეს თევზი.

— რამოდენაა! — პირი დააღო ნიკომ.

მან თევზი თოკზე წამოაგო და მაღლა ასწია. გაბრწყინებული თვალებით უყურებდა. ქვემოდან შაქრომაც ამოხედა.

„ნეტავ სად არის ციცინო“, — გაიფიქრა ანაზდად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ჩასული იყო. შორს, ცის დასალიერთან, შეფერადებული ღრუბლები მოჩანდა.

ხევში სიბნელე იწვა.

ბიჭები წამოდგნენ.

— რაღას ვუცდით, წავიდეთ, — თქვა ნიკომ და ჯოხი მხარზე გაიდო.

გზაზე გავიდნენ. მალე ორღობეებში შევიდოდნენ. უკან, ღამის ბინდში მდინარე ვერცხლისფრად მოჩანდა. გაღმა ფერდობზე შეფენილი სახლების სახურავებს ხეებს შორის ამოეყოთ თავი.

— გახედე, მგონი ციცინო მოდის, — თქვა ნიკომ.

— ციცინო? — ყრუდ წარმოთქვა შაქრომ და მიიხედა.

ქალიშვილი ბილიკს მოჰყვება. სრული, ნაოჭებიანი კაბის ქვედატანი ფეხებზე ეხვევა. ოდნავ აწეწილი თმა შუბლზე აყრია, შავ გადაშოლტილ წარბს ნახევრად ფარავს.

ბიჭები შუაგზაზე შეჩერდნენ. ნიკო ციცინოსკენ მიბრუნდა. ციცინო ფერდობზე ჩამოდის.

შაქრომ შემპარავად შეავლო თვალი, მოთმინება თანდათან ეკარგება. სწყინს, თევზი ნიკოს რომ მიაქვს. ახლოს მიიწია ნიკოსკენ. მერე ხელი გააცურა და წაეტანა კიდეც, მაგრამ ნებისყოფა არ ეყო. უფრო ახლოს მივიდა, მხარი მხარზე მიადო და თევზის ჩამოსართმევად მოემზადა.

— აქეთ, აქეთ! — უძახის ნიკო ციცინოს. — მერე ფეხის წვერზე აიწია, უკეთ დავენახვებიო, მაგრამ ქვას წამოსდო ფეხი, წაიფორხილა და კინაღამ გაიშოტა... თუმცა თავი შეიმაგრა, მაგრამ ცალ ფეხს ვეღარ დგამდა მიწაზე. კოპი ეტკინა, სახე ეღრიჯებოდა, ცრემლი მოადგა თვალზე.

— მომეცი ჯოხი, მე წამოვიღებ — იშოვა მიზეზი შაქრომ.

— არა, მეც კარგად მიჭირავს... — კბილების კაწკაწით მიუგო ნიკომ.

— მოიტა-მეთქი, — ხმას აუწია შაქრომ, — ხომ ხედავ ფეხი გტკივა.

— მომეშვი, — შეუტია ნიკომ.

ციცინომ ფერდობი ჩამოირბინა, ხტუნვით გამოვიდა ბონდზე. ბიჭებს რომ უახლოვდებოდა, გული საგულეს არ ჰქონდა. ღელავდა, მაგრამ რატომ?..

— მომეშვი-მეთქი! — დაუყვირა ნიკომ.

შაქრო მიწვდა ძმაკაცის მხარზე გადებულ ჯოხს. დასწია მთელი ძალით, მაგრამ ამაოდ. ნიკო ორივე ხელით ჩაბღაუჭებოდა.

ერთმანეთს შეუბღვირეს.

— ჰა, ჰა, ჰა, — იცინის ციცინო, — ერთი თევზი ძლივს დაგიჭერიათ და ვეღარ გაიყავით?

ციცინომ ბიჭებს გვერდით ჩაუარა, სიცილს ვერ იკავებდა.

— საით ციცინო? — ერთხმად ჰკითხეს ბიჭებმა.

ციცინომ მხოლოდ ხელი დაუქნია და ფერდობს მიეფარა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოგოლაშვილი

ზღვისპირას მაღალი გორაკი რომაა

ბაქანთან მაღალი გორაკი რომაა,
იქ ხშირად ვისხედით, ვეტრფოდით მომავალს.
გორაკზე ყვითელი ბუჩქნარი რომაა,
იმ ყვითელ ბუჩქნარში სულ შემოდგომაა.
დრომ მახსოვრობიდან არ გადაგვიშალა,
დაბლა რომ ზღვაა და ზღვისპირა ქვიშაა.
ქვიშაზე დადიან ქალები, ბალღები,
შრი-შრია, შრი-შრია... შრიალებს ტალღები.
მზე ჩადის, ტალღები ფრთებს მკერდზე ახლიან,
ის, ასე გვგონია, ძალიან ახლოა.
მიდიან ტალღებზე შემართულ თავებით
და იკარგებიან მზის გულში ნავები.
მზე უკვე ჩავიდა, ზღვისპირად ღამეა,
ახლა საოცნებო რამდენი რამეა.
ჩვენც ვზივართ, ოცნებით ვაშენებთ მომავალს,
ზღვისპირას მაღალი გორაკი რომაა.

* * *

მე შენი გაცნობა მახსოვს
ბათუმის პატარა ბაღთან,
მღელვარე შავი ზღვის ახლოს
ვარდების სინათლე მახლდა.
საღამო ბოლავდა ზღვაში,
ზღვა იდგა — ვეება კალო.
ან მე რა ვიცოდი მაშინ,
ან შენ რა იცოდი, ქალო...

ცა იყო საოცრად მყუდრო,
ისევ იმ სინათლეს ველი, —
ზამბახის ფურცელზე უფრო
თეთრი და პატარა ხელი.
გემი რომ გავიდა ზღვაში,
ზღვა დარჩა — ვეება კალო...
ან მე რა ვიცოდი მაშინ,
ან შენ რა იცოდი, ქალო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ქადიძე

მესხეთი დარჩა მესხეთად

მტერს ჩემი ჩანთქმა ეწადა,
მესხი დავუხვდი მესხურად,
ძილშიც აბჯარი მესხა და
თავზე ჩაფხუტი მეხურა;
სისხლის მორევში ვიწექი,
დამბაჩის ტარზე მეძინა,
ძაღლურ სიცოცხლეს ყოველთვის
კაცად სიკვდილი მერჩივნა.
წყურვილით ვეღარ ვდგებოდი,
შიმშილით მიწა მითხრია,
მაგრამ მტერს მტრულად ვხვდებოდი,
ხმალი ძირს არ დამიხრია.
სიკვდილს ვეძებდი ბრძოლაში,
სიცოცხლე აღარ მინდოდა,
როცა ვხედავდი, რომ მტერი
აკვნის ჩვილსაც არ ინდობდა.
სიცოცხლე რაღად მინდოდა,
ვინდ მტერს მოვეკალ ცოფიანს,
თუკი მესხეთის მიწაზე
ვერვის ვნახავდი ჩოხიანს,
თუკი მესხეთის მიწაზე
არ დარჩებოდა ბალახიც...
მაგრამ ვერ გადამაჯიშეს,
დღეს მნახეთ, როგორ გავნახლდი.
გაზაფხულივით აყვავდა
მტრისგან ნათელი მესხეთიც,
დიდი რუსთველის აკვანი
და ფუძე ქართულ ლექსების.

იოსებ ჯორბენაძე

მე შენმა ძალამ დამავაჟკაცა

კ ო მ კ ა ვ შ ი რ ს

შენს სადიდებელს რას იტყვის ენა,
ან რომელ სიტყვის ძალას მივენდო,
დაუდეგარო სიცოცხლის დენავ,
დედა-სამშობლოს ტკბილო იმედო!..
მე დღეს ღიმილი მხიბლავს
ვარსკვლავთა
და სიყვარული დაუცხრომელი,
მე კომკავშირმა ბრძოლა მასწავლა,
როგორც სიბრძნე და მადლი
ცხოვრების.
მე გაზაფხულის შუქმა დამთოვა,
სულში შეიკრა ძალა მთებური.
მიყვარს ჩანჩქერის მოვარდნა
შფოთით,
როგორც სიცოცხლე აზავთებული.
დე, მუდამ ენთოს ეს მზე კაშკაშა,
ვულს სიხარულის ხმით რომ
ამღერებს,
მე კომკავშირმა დამავაჟკაცა,
ათასი წელიც ვერ დამაბერებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული საღუქვაძე

ჰეი, მთებო

მე ქალი ვარ, მკლავით სუსტი,
მაგრამ არა შესაბრალი,
დროის გრიგალს გამოვუსხლტი,
მკერდით მომაქვს ქარიშხალი.

ჰეი, მთებო, მთაკაცებო,
არ გეგონოთ სუსტი ქალი,
ზღვაში ერთი წვეთი ვარ და
ცეცხლის ერთი ნაპერწკალი —

ქეთევანის ქართულ მკერდზე
შაჰის შანთით ვერნათალი.
ჰეი, მთებო, მთაკაცებო,
არ გეგონოთ სუსტი ქალი!

თუ დამჭირდა გრიგალს დავფლეთ,
ზღვაც რა იყოს ბობოქარი.
წყნეთელს ვეტყვი: მხარქებულო,
მომაწოდე შენი ხმალი.
ჰეი, მთებო, მთაკაცებო,
არ გეგონოთ სუსტი ქალი.

სანთელივით დავენთები,
გადვიქცევი ცეცხლის ალად,
საქართველოს სიყვარულში
ჩავიფერფლო ნაღვერდალად.
არა, მთებო, მთაკაცებო,
არ მიგულოთ უძლურ ქალად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფედერიკო გარსია ლორკა

იდილია

მაშინ რატომღაც შენ შემთხვევით
მეკითხებოდი:
რად ღელავს გული,
გაზაფხული როცა შემოდის,

ჩემი თავი კი სიყვარულის აზრით იწვება
და, როგორც ნაძვი,
ტრფობის ფიქრით ის იწიწვება.
და მე მაჩვენებს ათასი თითი
ოცნების გზები საითაც მიდის.
მაგრამ ვერ გეტყვი, საოცნებოვ,
სივრცეს რად ვუმზერ,
ანდა, მდინარე ასე რატომ
ქუხს გაზაფხულზე.
მე სიტყვას მხოლოდ პასუხად მივცემ
შენი თვალების ნისლიან სივრცეს.

მოდი, იცეკვე ჩემთან...
რატომ გინდა ვიწვალო.
ეჰ, რა კარგია გაზაფხულზე
ფოთლის სიმწვანე.

როგორც იფშვნება თავთავები
საწისქვილედა,
შენს შეკითხვაზე ჩემი აზრიც
ისე იფშვნება.

ოჰ, საყვარელო, იქნებ ახლა
თავად შემოთვლი,
რად ღელავს გული,
გაზაფხული როცა შემოდის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხეები

ხეებო,
თქვენ ხართ ისრები, ალბათ,
ლაქვარდებიდან ჩამოცვენილი.
ვისმა ჯარებმა, ან ვარსკვლავებმა
ესროლეს მიწას.
თქვენ ჩიტებივით რატომ ჭიკჭიკებთ,
რა ლტოლვა ღელავს
თქვენს მკლავებში,
ციურ თვალებში.
ხეებო,
მიწის სიღრმეებს მიწვდით
ფესვების ხელით,
იქა ძევს ჩემი მდუღარე გულიც.

ცეკვა

სევილიური ქუჩის სიღრმეში
კარმენი ისევ ცეკვობს ანთებით,
ისევ იმნაირ ველური ეშხით
და, სამწუხაროდ, ჭაღარა თმებით.
ქალიშვილებო, ჩაიარეთ!
ნუ აღებთ კარებს...
ერიდეთ თვალებს!
მიმოგრეხილი თმებში გველივით
ყვითელი შუქი ჩრდილს დაწურვია,
სატრფოს გარეშე ქვეყნად ვერ ივლის,
კარმენს სხვაგვარი ღელვა სწყურია.
ქალიშვილებო, ჩაიარეთ!
ნუ აღებთ კარებს...
ერიდეთ თვალებს!
ქუჩის სიღრმენიც ფიქრებს ისევენ,
მძინარ შენობებს აკრთობს ვნებები,
ანდალუზიის გულში ისევე
ხეტიალობენ მოგონებები.
ქალიშვილებო, ჩაიარეთ!
ნუ აღებთ კარებს...
ერიდეთ თვალებს!

თარგმნა ფრიდონ ხალვაშმ.

პავლე მაღკოვი

მოგონებანი დიდ გელადზე

კრემლის კომენდანტის ჩანაწერებიდან

როცა მოსკოვს ჩამოვედი, ვლადიმერ ილიას-ძე ჯერ კიდევ საბჭოების პირველ სახლში („ნაციონალში") ცხოვრობდა, სადაც მთავრობის გადმოსვლის შემდეგ მოთავსდა. იქედან კრემლში ყოველდღე ფეხით მიდიოდა. კაპლანის თავდასხმამდე ილიჩი ყველგან მარტო დადიოდა და ყოველთვის იმის წინააღმდეგი იყო, რომ მას მცველები გაჰყოლოდნენ.

მხოლოდ თავდასხმის შემდეგ გახდა იგი იძულებული, დამორჩილებოდა ამხანაგების რჩევას და თანხმობა განცხადებინა დაცვის ორგანიზაციაზე, თუმცა შემდეგაც ხანდახან უგამცილებლოდ გაიპარებოდა ხოლმე.

მოსკოვში მთავრობის გადმოსვლიდან ორი კვირის შემდეგ, 1918 წლის მარტის ბოლოს, ვლადიმერ ილიას-ძე საბჭოების პირველი სახლიდან კრემლში გადმოვიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კრემლში გადმოვიდნენ აგრეთვე სვერდლოვი, ავანესოვი, დემიან ბედნი და ზოგიერთი სხვა ამხანაგი.

პირველად ვლადიმერ ილიას-ძემ საკუთარი პატარა, ოროთახიანი ბინა დაიკავა კავალერსკის კორპუსში, შემდეგ კი სასამართლო დადგენილებათა სახლში, სახკომსაბჭოს შენობაში გადავიდა. მისი ბინა აქაც ვიწრო იყო, იგი ოთხი პატარა ოთახისაგან შედგებოდა. ბინა განსაკუთრებული მოწყობილობით არ გამოირჩეოდა, პირიქით, ძველიდან იყო აღდგენილი. სამაგიეროდ მას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ახლოს იყო ილიჩის სამუშაო კაბინეტთან, რომელთანაც ვიწრო დერეფანი აერთიანებდა. ეს ბინა წესრიგზე მე და ბონჩ-ბრუევიჩმა მოვიყვანეთ: შევათეთრეთ კედლები (შპალერი არც კი გაგვიკრავს), დავალაგეთ ავეჯი. ავეჯეულობიდან შევარჩიეთ ყველაზე აუცილებელი, რადგან ვიცოდით, რომ ილიჩი არავითარ ზედმეტობას არ დაუშვებდა. დავდგით ორი უბრალო რკინის ლოგინი, ერთი ილიჩისა და მეორე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულისათვის, ორი საწერი და ერთი სასადილო, სრულიად პატარა მაგიდები. სასადილოში კედელთან დავდგით ხის პატარა ეტაჟერი, წინა ოთახში — რამდენიმე წიგნის კარადა და ექვსი სკამი — აი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ბინის მთელი მოწყობილობა.

ილიჩის კაბინეტი იქვე იყო სახკომსაბჭოსა და ცაკის შენობაში, მესამე

სართულზე, როგორც ვთქვით, ბინის მახლობლად. კაბინეტს ჰქონდა სამი კარი. ერთი, რომელიც ილიჩის საწერი მაგიდის მარჯვნივ იყო, გადიოდა დერეფანში და კაბინეტებსა და მისაღებ ოთახს ბინასთან აკავშირებდა. ამ კარებში გუშაგი იდგა. არავის, გარდა ილიჩისა, ამ კარებში შესვლა არ შეეძლო. გუშაგს ჰქონდა მკაცრი განკარგულება: გარდა ლენინისა, არავინ არ გაეშვა ამ კარებში, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი. მეორე კარი, რომელიც მაგიდის პირდაპირ იყო, გადიოდა მისაღებში, სადაც მუშაობდნენ ლიდია ალექსანდრეს ასული ფოტიევა და სახკომსაბჭოს სხვა მდივნები.

ყველა შემომსვლელი — იყო იგი სახალხო კომისარი თუ რიგითი მუშა, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი თუ გლეხი, სარდალი თუ მეცნიერი, ვინც არ უნდა ყოფილიყო და რა პოსტიც არ უნდა სჭეროდა, ლენინთან მოხვდებოდა მხოლოდ მისაღები ოთახის გავლით. ეს იყო დადგენილი წესი, თითქმის გამოუკლებლივ ყველასათვის და იგი უყოყმანოდ სრულდებოდა. მხოლოდ ორი კაცი, რომელთაც ეს წესი არ ეხებოდათ, შედიოდა ლენინთან სხვა გზით, მისაღების გვერდის ავლით, როცა ეს საჭირო იყო. ესენი იყვნენ იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი და ფელიქს ედმუნდის-ძე ძერჟინსკი.

იაკობ მიხეილის-ძე და ფელიქს ედმუნდის-ძე სარგებლობდნენ მესამე პატარა კარით, რომელიც საწერ მაგიდასთან იყო, ილიჩის ზურგს უკან. ეს კარი გადიოდა პატარა ოთახში, სადაც აპარატურა იდგა. აპარატურაში ჩართული იყო ეგრეთწოდებული კრემლის ზედა კომუტატორი. რომლის აპარატები იდგა ცენტრალური კომიტეტის წევრ სახკომების კაბინეტებში და ზოგიერთი მათგანის(არა ყველას) ბინებში, აგრეთვე ზოგიერთ დაწესებულებაში: ვჩკ-ში, სამხედრო-რევოლუციურ საბჭოში, კრემლის კომენდატურაში. იმ მებრძოლთა რაზმის ავტოგარაჟში, რომელიც ცაკ-ს ემსახურებოდა. იყო და ეს.

აპარატურასთან დღითა და ღამით იდგნენ მორიგეები და აქედან ილიჩთან შეღწევა ყოვლად შეუძლებელი იყო.

მე ვლადიმერ ილიას-ძეს მუდამ ვხვდებოდი. იგი ხან დავალებას მაძლევდა, ხან მიმითითებდა კრემლში წესრიგის თაობაზე (მისი ხელი ყველგან ტრიალებდა!), ხან კიდევ მივაცილებდი კრემლიდან გასვლისას.

ილიჩის თავმდაბლობა, მისი განსაკუთრებული უბრალოება და პირად ცხოვრებაში მცირედით დაკმაყოფილება, მისი სპარტანული ცხოვრება ცნობილია ყველასა და თვითეულისათვის.

ეს უბრალოება ილიჩის თვისებაა და მასში არ იყო არავითარი მოჩვენებითი და საგანგებო. მისთვის ბუნებრივად უცხო იყო მისწრაფება ყოველგვარი ზედმეტობისაკენ.

არასდროს არავისთან ვლადიმერ ილიას-ძე არ დაუშვებდა ძმაბიჭობის მსგავს რამეს. ვინც არ უნდა ყოფილიყო — სახკომი, თუ რიგითი მუშა ან გლეხი, ლენინი ელაპარაკებოდა ერთნაირად, არავის რაიმე უპირატესობას არ აძლევდა. მაგრამ მთელი მისი სახე, ლაპარაკის მანერა, მისი სიმართლის შეუვალი დამაჯერებლობა იპყრობდა მის ყოველ თანამოსაუბრეს. და ყველა, ვისაც კი ილიჩთან უსაუბრია, გრძნობდა, რომ ლენინი უბრალო, მოკვდავი კი არა, იგი არაჩვეულებრივი ადამიანია.

საოცარია, რომ ილიჩი ყოფაცხოვრებაში მეტად მცირედით კმაყოფილდებოდა. ბინა ჰქონდა ცივი, შეშით თბებოდა, შეშა კი არ ყოფნიდა. შეშა კრემლში საერთოდ ჭირდა. მაგრამ არასდროს არც ვლადიმერ ილიას-ძეს, არც ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ერთი სიტყვაც, ერთი საყვედურიც კი არ წამოცდენიათ, თუმცა იყინებოდნენ.

მე ეს არ ვიცოდი, სანამ სიტყვა არ ჩამომიგდო საშამ, ქალმა, რომელიც ულიანოვების ოჯახში ცხოვრობდა. იგი მომელაპარაკა და იქვე გამაფრთხილა: ოღონდ, თუ ღმერთი გწამთ, არ გამცეთ, პავლე დიმიტრის-ძევ, თორემ გაიგებენ ვლადიმერ ილიას-ძე ან ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მომდგებიან...

ასეთი ამბავი იყო პროდუქტებზეც. იკვებებოდა ილიჩი ცუდად. ხორცზე და კარაქზე რომ არაფერი ვთქვათ, ხშირად არ ჰქონდა ჩაი, შაქარი. ბურღული.

სადილს იღებდა სასადილოდან, მაგრამ ეს სადილი კი არა, საშინელება იყო. მაკავე სუფი, ფეტვის ფაფა, ერთ დროს იყო ლორი. წითელი ხიზილალა და მეტი არაფერი. ხანდახან კი ესეც არ ჰქონდათ. მე ყოველთვის მქონდა პროდუქტების ერთგვარი რეზერვი გადაუდებელი საჭიროებისათვის — თუ ვინმე ავად გახდებოდა, ან მოულოდნელად ჩამოვიდოდა, ან სასწრაფოდ მიემგზავრებოდა, განა ცოტა იყო ასეთი შემთხვევა! და არასოდეს, არც ლენინს, არც ვინმე მის მახლობელს ჩემთვის არ მოუმართავს პროდუქტებისათვის. მე თვითონ ვცდილობდი მიმეტანა ცოტაოდენი სურსათი ილიჩის ბინაზე და ყოველთვის საქმე ერთი დიდი დავიდარაბით თავდებოდა.

მხოლოდ მაშინ, როცა ვლადიმერ ილიას-ძეს კუჭის ავადმყოფობა დაეწყო და საშამ რისკი გასწია ეთხოვა ჩემთვის თავნაფქვი ბურღული, ჩვენ გადავწყვიტეთ ეშმაკობა გვეხმარა.

მე და საშამ მოვილაპარაკეთ, რომ ის დილდილობით მოვიდოდა ჩემთან და წაიღებდა ილიჩისათვის აუცილებელ რამეებს და ამის შესახებ არაფერს იტყოდა. მაგრამ ჩვენი ეშმაკობა ბოლოს მაინც გამოაშკარავდა, და ნაშინ გადავწყვიტე „შეთქმულებაში“ ჩამეთრია მარიამ ილიას ასული, რომელიც ილიჩის ოჯახში ცხოვრობდა.

ხანგრძლივი დავის შემდეგ მარიამ ილიას ასული დამეთანხმა, რომ დაეთანხმა, როცა რამე დასჭირდებოდა — და მართლაც მირეკავდა, მაგრამ თვეში ერთჯერ ან ორჯერ, შეტად არა.

რამდენჯერ ყოფილა, რომ ლენინისათვის მიუტანიათ ან გამოუგზავნიათ ამანათები სხვადასხვანაირი პროდუქტებით. აგზავნიდნენ ამხანაგები, მოჰქონდათ დელეგატებს რუსეთის სოფლებიდან. მაგრამ ილიჩი არასოდეს თავისთვის არაფერს არ იტოვებდა და ყველაფერს სკოლებისა და საბავშვო სახლების ბავშვებისათვის გადასცემდა.

ასე, მაგალითად, როცა ჩვენმა ჯარებმა როსტოვი აიღეს, მოსკოვში ჩამოვიდა სიმონ მიხეილის-ძე ბუდიონი და ბევრი საჩუქარი ჩამოიტანა.

შემოდის ჩემთან კომენდატურაში და მეკითხება — როგორ გადასცეს მოსაკითხი, პირველი ცხენოსანი დივიზიის მებრძოლებმა ილიჩთან რომ გამოატანეს.

— ამაზე ადვილი რაღაა? — ვუპასუხე, — მოიტათ, გეთაყვა და მე გადავცემ.

სიმონ მიხეილის-ძე გაბრაზდა:

— მადლობას გწირავთ რჩევისათვის, მაგრამ მასეთი დახმარება მე არ მჭირდება. გადაცემით მეც როგორმე გადავცემ.

არ ვიცი როგორ, მაგრამ სიმონ მიხეილის-ძეს იმავე დღეს გადაეცა ილიჩისათვის ყველაფერი, რაც ჩამოეტანა, და როცა ბრუნდებოდა, საგანგებოდ შემოიხედა კომენდატურაში და მომაყვედრა:

— როგორმე უთქვენოდაც, ამხანაგო კომენდანტო! ყველაფერი უთქვენოდაც გადაეცა ილიჩს, როგორმე!

კარგი, თუ გადაეცა, მით უკეთესი.

მეორე დილას მირეკავს ილიჩი: მოდით, გეთაყვა, ჩემთან, ბინაზე.

მივედი.

— გუშინ ჩემთან იყო ამხანაგი ბუდიონი. შესანიშნავი ამხანაგი! აი პროდუქტები შემოზიდა, — ვლადიმერ ილიჩმა უხერხულად გაიღიმა, — ეს

კარგია, ძალიან კარგია. ახლა წაიღეთ, გეთაყვა, ეს პროდუქტები და გადაეცით საბავშვო სახლს, ბავშვებისათვის.

ახლა, როგორ იცვამდა ვლადიმერ ილიას-ძე! ვფიქრობ, რომ მას ჰქონდა მხოლოდ ერთი კოსტიუმი. ძალიან სუფთა, ფაქიზი, ყოველთვის აკურატულად გაუთოებული (უფაქიზოს ვლადიმერ ილიას-ძე საერთოდ ვერაფერს ვერ იტანდა), მაგრამ უკვე საკმაოდ გაცვეთილი, და, ნუღარ იტყვით, ისიც მხოლოდ ერთი. შესაძლებელია, ჰქონდა მეორეც, მაგრამ მესამე აღარა.

შეიკრიბნენ ერთხელ იაკობ მიხეილის-ძე და ფელიქს ედმუნდის-ძე და გადაწყვიტეს, ილიჩს ახალი კოსტიუმი შეეუკეროთო. გამომიძახეს და დამავალეს: მეშოვნა ქსოვილი და მიმეყვანა თერძი. — ოღონდაც, — ამბობენ, — ილიჩთან ამის შესახებ ერთი სიტყვაც არ დაგცდესო. რომ გაიგოს — უარს იტყვის, საჭიროა მოულოდნელად დავესხათო.

ვიშოვე ქსოვილი, მოვძებნე თერძი. ვურეკავ იაკობ მიხეილის-ძეს:

— ყველაფერი მზადაა.

— კარგი, — მიპასუხეს, — დაელოდე განკარგულებას.

ვზივარ კომენდატურაში, ვღელავ. თერძი ჩემთანაა. მან არაფერი არ იცის.

გავიდა ორმოცი წუთი, იაკობ მიხეილის-ძე რეკავს:

— მე და ფელიქსი მივდივართ ახლა ილიჩთან. წამოიყვანე შენი თერძი და ათი წუთის შემდეგ იქ მოდით. თერძი გააფრთხილე, რომ კი შემოვა, ჯანჯლობის გარეშე. ხელად საქმეს შეუდგეს.

მხოლოდ მაშინ ვუთხარი თერძს, რომ მან კოსტიუმი უნდა შეუკეროს ლენინს.

ზუსტად ათი წუთის შემდეგ მე და თერძი მივედით ილიჩის ბინაზე. იყო, დაახლოებით, საღამოს ექვსი საათი. ამ დროს ვლადიმერ ილიას-ძე, ჩვეულებრივად, გამოდიოდა კაბინეტიდან და ორ საათს შინ რჩებოდა.

როდესაც ჩვენ შევედით, ვლადიმერ ილიას-ძე, იაკობ მიხეილის-ძე და ფელიქს ედმუნდის-ძე სასადილო ოთახში იყვნენ და მხიარულად ლაპარაკობდნენ. სვერდლოვი და ძერჟინსკი ისხდნენ მაგიდის ახლოს, ხოლო ვლადიმერ ილიას-ძე ოთახში ბოლთას სცემდა. ცერი ჟილეტის ამონაჭერში გაეყარა და ლაღად იცინოდა.

ჩვენ რომ დაგვინახა, ვლადიმერ ილიას-ძე შედგა, გაოცებულმა დაგვიწყო მზერა ხან მე, ხან თერძს, მიუბრუნდა სვერდლოვსა და ძერჟინსკის. ისინი მშვიდად ისხდნენ. იაკობ მიხეილის-ძე მაგიდაზე თითებს აკაკუნებდა და ფანჯარაში იცქირებოდა, ხოლო ფელიქს ედმუნდის-ძე ნელა შემობრუნდა, წააგრძელა ხელი მის ზურგთან მდგარი ეტაჟერისაკენ, გამოიღო პირველად ხელში მოხვედრილი წიგნი და ფურცვლა დაუწყო.

თერძი, რომელიც ჩემს უკან მძიმედ სუნთქავდა, ტკეპნიდა ერთ ადგილს, ფეხს ფეხზე იდგამდა.

— აბა, რას ნიშნავს ყოველივე ეს? — ილიჩმა პირველმა დაარღვია გაჭიანურებული მყუდროება და მომმართა მე.

არ ვიცოდი, რითი დამეწყო, გაუბედავად წავედგი წინ ნაბიჯი და კინაღამ გავიყოლე უკვე ილაჯგაწყვეტილი თერძი. აქ ჩვენი ხსნა იაკობ მიხეილის-ძემ იკისრა:

— როგორც ჩანს, ამხანაგმა მალკოვმა თერძი მოიყვანა, რომ ზომა აიღოს. მე ახლა ასეთი შთაბეჭდილება შემექმნა.

— ვისი ზომა და რა ზომა?! — ილიჩს გაბრაზება დაეტყო.

— თქვენი, ვლადიმერ ილიას-ძევ, თქვენი! — ჩაება ფელიქს ედმუნდის-ძეც.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, — გააწყვეტინა ილიჩმა, — რა არის ეს, შეთქმულებას მიწყობთ?

— როგორც გენებოთ, — დინჯად განაგრძო ფელიქს ედმუნდის-ძემ, —

შეთქმულებები კი, როგორც ცნობილია, ჩემი სპეციალობაა.

ყველამ გადაიხარხარა. ვლადიმერ ილიას-ძემ გაიღიმა და ხელი ჩაიქნია.

— რა გაეწყობა! თქვენ თქვენი გაიტანეთ.

თერძმა სასწრაფოდ აიღო ზომა და რამდენიმე დღის შემდეგ ილიჩის კოსტიუმი მზად იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის უზარმაზარი სახელმწიფო საქმეებით იყო დაკავებული, ილიჩს მხედველობიდან არც წვრილმანი რჩებოდა. ამავე დროს ყოველ წვრილმანს იგი სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით უყურებდა, შეეძლო პატარაში შეენიშნა დიდი.

როგორღაც კრემლში შეშა მიზიდეს და დიდი სასახლის პირდაპირ დააწყვეს. შეშა, როგორც ვთქვი, ძლიერ ჭირდა და წინასწარ თანდათანობით უნდა მოგვემარაგებინა. გავიდა რამდენიმე ხანი და ილიჩი რეკავს.

— ამხანაგო მალკოვ, შეშა კრემლში თქვენი განკარგულებით შემოზიდეს? —ხმაზე შევატყვე, რაღაც არაა კარგად საქმე, მაგრამ ვერ მივხვდი, რა მოხდა.

— დიახ, ვლადიმერ ილიას-ძევ, — ჩემი მითითებით. ზამთრისათვის უნდა მოვიმარაგოთ...

— რა მოვიმარაგოთ? შეშა? თქვენ კი რა მოგიტანეს? ნახეთ?

— ვნახე, რა თქმა უნდა, შეშა...

— შეშა! მერე რანაირი შეშაა ეს! შპალები მოგიზიდეს თქვენ, საუკეთესო რკინიგზის შპალები. ჩვენ მთელ ქვეყანაში ტრანსპორტი უნდა აღვადგინოთ, თვითეული რელსი, თვითეული შპალი აღრიცხვაზე უნდა იყოს, და თქვენ კი შპალები ღუმელში უნდა დაწვათ? არა, უნდა დაუფიქრდეთ ამას. დაუყოვნებლივ, გესმით, დაუყოვნებლივ გაბრუნეთ უკან შპალები საჭიროებისამებრ და წარმომიდგინეთ თავგამოლაყებულები, რომლებიც შეშის მაგივრად შპალებს აგზავნიან. ჩვენ იმათ სამაგალითოდ დავსჯით.

რა თქმა უნდა, მომიხდა კრემლიდან შპალების გაზიდვა და კრემლიდან ... უშეშოდ, სანამ იგი ხელახლა არ მოვამარაგეთ.

ხოლო იმათ, ვინც შპალები გამოგზავნა, მართლაც მაგრად მოხვდათ.

ერთხელ სახკომსაბჭოს შენობას თოვლავდნენ. უცებ რეკავს ვლადიმერ ილიას-ძე:

— ნუთუ შეიძლება თოვლის ასე გადმოყრა? თოვლს ისინი პირდაპირ მავთულებს აყრიან. დაწყვეტენ მათ და მერე უნდა აღვადგინოთ. ვარგა მერე ეს? გააფრთხილოთ უნდა ამხანაგები, რომ აღარ განმეორდეს ასეთი უმსგავსოება. დაუყოვნებლივ მიიღეთ ზომები.

უაღრესი ყურადღებით, მთელი გულითადი მზრუნველობით ეკიდებოდა ილიჩი მშრომელთა საჭიროებებს, შეუნელებლად ცდილობდა იმ ძნელ პირობებში როგორმე გაეუმჯობესებინა მუშებისა და გლეხების პირობები.

ერთხელ, როგორღაც მასთან კაბინეტში იმ დროს მოვხვდი, როცა მოსკოვის გუბერნიის კომისრის თანაშემწეს ელაპარაკებოდა ტელეფონით. აღშფოთებული ტონით, მთელი მრისხანებით ვლადიმერ ილიას-ძემ უბრძანა კომისრის თანაშემწეს — იმავე დღეს უზრუნველეყო მოსკოვის მუშები პურით.

— მიიღეთ მხედველობაში, შევამოწმებ, პირადად შევამოწმებ. არ შეასრულებთ — წახვალთ სასამართლოში. იცოდეთ ეს!

რამდენი იყო ასეთი შემთხვევა, ასეთი მაგალითი! განა ყველა დაგამახსოვრდება, ყველას ჩამოთვლი?

1918-1919 წლებში დროდადრო ელექტროენერგია წყდებოდა და ხანდახან კრემლის შენობები საშინელ სიბნელეში რჩებოდა.

ერთხელ სინათლე სწორედ მაშინ ჩაქრა, როცა ვლადიმერ ილიას-ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული შინ ბრუნდებოდნენ. მიაღწიეს მათ თავი-

ანთ ბინამდე, მაგრამ სიბნელეში ისინი გუშაგმა ვერ იცნო და სახლში არ შეუშვა. რამდენიც არ არწმუნეს, არა და არა, არ შეუშვა გუშაგმა. კიდევ კარგი, რომ გუშაგი დათანხმდა — დაერეკა ყარაულის უფროსისათვის. ყარაულის უფროსმა მომახსენა და გავიქეცი, თან წავიღე რამდენიმე მსხვილი სანთელი, რომლებიც კრემლის ერთ-ერთი მონასტრიდან მქონდა წამოღებული. მივირბინე. ორივენი დგანან გუშაგთან ახლოს და იცინიან. უნდა, დამეწყო გუშაგის გინება, რომ ილიჩი გადამეღობა:

— როგორ შეიძლება, როგორ შეიძლება, ამხანაგო მალკოვ, რა დიდი ცოდვაა, თუ ამხანაგმა ვერ გვიცნო. მით უმეტეს ასეთ სიბნელეში. მაგრამ თქვენ რომ გუშაგებს სანთლებით მოამარაგებდეთ, ყოველი შემთხვევისათვის, აი ეს უკეთესი იქნებოდა, იფიქრეთ ამაზე.

ერთხელ, 1918 წლის ზაფხულში, მე, დემიან ბედნი და სკვორცოვი (სტეპანოვი) სათევზაოდ წავედით. მაგრამ არ იკითხავთ, როგორ ვთევზაობდით? ლაღუმებით. ვაფეთქებდით. თევზი, რა თქმა უნდა, კაი ბლომად ვიშოვეთ. სახლში რომ დავბრუნდით, ნაწილი თევზი მე ვლადიმერ ილიას-ძესთან წავიღე. დავურიგე ზოგიერთ ამხანაგსაც.

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს თევზის დატოვება არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა, სანამ არ დავარწმუნე, რომ არ მიყიდია, მე დავიჭირე. მაშინ აიღო.

გავიდა ერთი დღე და გაიგო ეს ვლადიმერ ილიას-ძემ. ურეკავს ილიჩი დემიან .ბედნის.

— რა, თქვენ და მალკოვმა სხვა ვერაფერი მოიფიქრეთ? თქვენ საზიზღარი ბრაკონიერები ხართ, ორივენი ციხეში უნდა ჩაგსვან ამისათვის!

დემიანი, როგორც ცნობილია, ენამოსწრებული იყო და შეეხუმრა ლენინს:

— ვლადიმერ ილიას-ძევ, ახლა თქვენც ჩვენი მოზიარე არა ხართ? ის ნალაღუმარი თევზები თქვენც ხომ ჭამეთ? მალკოვმა ყველაზე ადრე მიგიტანათ. თქვენ მოგიტანათ.

ლენინი უხერხულობაში ჩავარდა:

— ის თქვენი მალკოვი დიდი მატყუარაა. მას კი არ უთქვამს თევზი როგორ დაიჭირა, და თქვენც და მასაც გარწმუნებთ, რომ თუ ეს კიდევ განმეორდება, მე პირველი მოვითხოვ თქვენს სასტიკ დასჯას.

ვლადიმერ ილიას-ძე თითქმის ყოველდღე სეირნობდა კრემლის ეზოში, უფრო მეტად ტროტუარზე, დიდი სასახლის პირდაპირ, საიდანაც მოსკოვის ხედი იშლება, ან ქვევით, ტაინიცკის ბაღში, სადაც ბუჩქებად ამოზრდილა ველური მცენარეულობა. იგი ხან დღისით სეირნობდა, ხან საღამოთი და ზოგჯერ ღამითაც. ვერ იტანდა, თუ სეირნობისას ხელს უშლიდნენ.

სასეირნოდ ზოგჯერ ვლადიმერ ილიას-ძე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან და მარიამ ილიას ასულთან ერთად ქალაქგარეთაც მიდიოდა კვირაობით.

ქალაქგარეთ გასეირნება მას ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით ბარვიხის რაიონში, მოჟაისკის გზატკეცილით. იგი იქაც, ქალაქგარეთაც, ტოვებდა თანამგზავრებს და, როგორც კრემლის ეზოში, მარტო სეირნობდა,

ქალაქგარეთ გასვლისას ილიჩის გაცილება მე მევალებოდა. სვერდლოვის მითითებით, სპეციალურად გამომიყვეს სწრაფმავალი ავტომობილი, მაგრამ იმით იშვიათად ვსარგებლობდი. თუკი შემთხვევა მექნებოდა ილიჩის ყარაული ვყოფილიყავი და მარტოდ არ გამეშვა, იგი არასდროს ცალკე მანქანის წაყვანის ნებას არ მაძლევდა და ყოველთვის მაიძულებდა მის მანქანაში ჩავმჯდარიყავი.

1919 წლის გაზაფხულზე ვლადიმერ ილიას-ძე რამდენჯერმე უყარაულოდ წავიდა. მორიგეები ვერც კი მოასწრებდნენ თავმოყრას, რომ გაიპარებოდა. მეც არაფერს არ მატყობინებდა. მაშინ უკიდურეს ზომას მივმართე: გა-

ვეცი ბრძანება — შემდგომ კვირადღეს მაცხოვრის ჭიშკარში არ გაეშვათ ილიჩის მანქანა, თუ კი მე არ ვეხლებოდი. გავეცი ასეთი განკარგულება, ვზივარ კომენდატურაში და ვფიქრობ რა მოხდება.

ასე, დილის ათი საათი იქნებოდა, კომენდატურას ილიჩის მანქანა მოადგა. მანქანაში არიან: თვითონ ის, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მარიამ ილიას ასული. გამოვვარდი გარეთ. ვლადიმერ ილიას-ძემ გაიღო მანქანის კარი და ტროტუარზე გადმოვიდა. მისი სახე არც სიბრაზეს გამოხატავდა, არც დაბნეულობას, არც დამნაშავედ გამოიყურებოდა. უცებ მან მკაცრად მომმართა:

— თუ ღმერთი გწამთ, ამხანაგო მალკოვ, ამიხსენით რაშია საქმე? გუშაგი კრემლიდან არ მიშვებს. ვინ აწყობს ამ უმსგავსოებას, ვისი ოინებია ეს?

— ვლადიმერ ილიას-ძევ, ნება მომეცით მოგახსენოთ. ეს ოინები კი არაა, რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს გადაწყვეტილებაა: არ გაგიშვან კრემლიდან დაცვის გარეშე. ახლა კი უკან გამოგყვებით და აუცილებლად გაგიშვებენ.

— ჰმ, ჰმ! ორგბიუროს გადაწყვეტილება! ერთი ეს მიბრძანეთ, ორგბიუროს გადაწყვეტილებაში ვინ ჩაწერა გუშაგებმა სახკომსაბჭოს თავმჯდომარე დააკაონ კრემლის ჭიშკართანო? ეს ორგბიუროს დადგენილება კი არა, თვითმმართველობაა!

— მაპატიეთ, ვლადიმერ ილიას-ძევ, მაგრამ...

— არა, ვერ გაპატიებ. ამ თვითმმართველობისათვის თქვენ სასტიკად დაიხჯებით დაუყოვნებლივ. თურმე, მანქანაც გამოუყვიათ, რომ გამომყვნენ და მითვალთვალონ. თვითონვე შეცვალეთ თქვენი უაზრო განკარგულება და ჩამოჯექით ჩემს მანქანაში, როგორც პატიმარი. იქ წამოხვალთ, სადაც მე წაგიყვანთ. ეს თქვენი თვითმმართველობისათვის.

კილოში ბრაზი ეტყობა, თვალები ... უცინის.

— რაღა თქვენ შეგაწუხოთ? ... და მყავს მანქანა, — ვუთხარი და მივუთითე იქვე, ახლოს მდგომ ავტომობილზე, — მე თქვენ ერთი წუთითაც არ დაგაყოვნებთ, თქვენ წაბრძანდით, მე კი უკან გამოგყვებით.

ვლადიმერ ილიას-ძემ დაბეჯითებით გააღო თავისი მანქანის კარი:

— თუ ღმერთი გწამთ, დაჯექით. ვარბენინოთ მეორე მანქანა, ვწვათ სახელმწიფო ბენზინი, ტყუილ-უბრალოდ ვამუშაოთ შოფერი, — ეს, მოკლედ რომ ვთქვათ, სისულელეა. არა, ეს სისულელე როდია, ეს დანაშაულია. ჰო, ჰო, რას მიყურებთ? დიახ, დანაშაულია. ხალხის ფულის ფანტვა დანაშაულია. ჩვენ ამ მანქანაშიც თავისუფლად მოვთავსდებით. ამას გარდა, არ დაგავიწყდეთ, — თქვენ დაპატიმრებული ხართ! წავიდეთ!

ამის შემდეგ რამდენჯერმე ვახლდი ვლადიმერ ილიას-ძეს ქალაქგარეთ, მაგრამ ყოველთვის მისი მანქანით.

იგი ყოველთვის უთვალთვალებდა, თუკი აუცილებელი არ იყო, მანქანა ტყუილ-უბრალოდ არ ემუშავებინათ.

***

მიდიოდნენ დღეები, ვაკაცდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა წყობილება, რომ უეცრად მოულოდნელი უბედურება დაგვატყდა თავს.

1918 წლის 30 აგვისტოს, თეთრგვარდიელ-ესერელი ვირთხების შემოგზავნილი ტერორისტი ქალის კაპლანის მოსყიდული ტყვიით მძიმედ დაიჭრა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ეს მოხდა პარასკევს, პარტიულ დღეს, როცა, ისე როგორც ყოველ პარასკევს, მთელ მოსკოვში ტარდებოდა მიტინგები, სადაც მუშებისა და წითელარმიელების წინაშე მოხსენებით გამოდიოდნენ სახკომები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და სხვა პასუხისმგებელი პირები.

1918 წლის 30 აგვისტო პირქუშად დაიწყო. ლენინგრადიდან მოვიდა სამწუხარო ცნობა, რომ მუშათა კლასის მტრების ტყვიით დაეცა ლენინგრადის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე მოსე სოლომონის-ძე ურიცკი.

ფელიქს ედმუნდის-ძე იმ წუთშივე, როგორც კი ეს ცნობა მოვიდა, ლენინგრადს გაეშურა, რათა გამოძიება პირადად ეწარმოებინა.

ვლადიმერ ილიას-ძე ამ დღეს უნდა გამოსულიყო მიტინგზე ყოფილ მიხელსონის ქარხანაში. ურიცკის მკვლელობის ამბავი რომ გაიგეს, მახლობლები ლენინს ურჩევდნენ მიტინგზე აღარ წასულიყო. მათ დასამშვიდებლად ილიჩმა სადილის წინ კიდევაც თქვა, იქნებ აღარც კი წავიდეო, მაგრამ შემდეგ მანქანა გამოიძახა და წავიდა.

და განა შეეძლო რაიმეს დაეკავებინა ილიჩი, როცა მან იცოდა, რომ მუშები ელოდებოდნენ? ამ დროს კი იმ ქარხნის პროლეტარების მრავალრიცხოვან ტალღაში, რომელიც მის პატივსაცემად ახლა ილიჩის სახელს ატარებს, ერია ერთი მუჭა უბადრუკი ავაზაკები და შავი, მზაკვრული ბოროტება დატრიალდა.

არაფრის ეშვი არ მქონდა, ვმუშაობდი ჩემთვის კომენდატურაში, რომ უცებ ტელეფონმა განგაში ატეხა. მილში გაისმა ყრუ, მილეული ხმა ბონჩ-ბრუევიჩისა:

— სასწრაფოდ ბალიშები, დაუყოვნებლივ. ხუთი-ექვსი ჩვეულებრივი ბალიში... ილიჩი მძიმედ დაჭრილია...

ილიჩი დაჭრილიაო?.. არა! ეს არ შეიძლება, ეს შეუძლებელია.

— ვლადიმერ დიმიტრის-ძევ, თქვენ რას გაჩუმდით? მითხარით, ჭრილობა მომაკვდინებელია? ვლადიმერ დიმიტრის-ძევ?

თითქოს ჩამობნელდა. ტელეფონიც დაჩუმდა. ბონჩ-ბრუევიჩმა დააგდო ყურმილი.

სკამი გვერდზე მივაგდე და კინაღამ ფეხი მოვტეხე უცებ შემოსულ მორიგეს, გამოვვარდი კომენდატურიდან და დიდი სასახლისაკენ გავფრინდი. ... ნიკოლოზ მეორის გარდერობში ეწყო საუკეთესო ბალიშები.

სასახლეში შევვარდი ისე, რომ ხმაც არ გამიცია მსახურთა კითხვებისათვის. ფეხით შევლეწე გარდერობის დაკეტილი კარები, ხელი დავავლე რამდენიმე ბალიშს და ილიჩის ბინისაკენ გავექანე.

დერეფანში, ილიჩის ბინასთან, თავი მოეყარათ სახკომსაბჭოს შეშფოთებულ თანამშრომლებს.

სახეგაქვავებულ გუშაგს კარებთან გამოსასვლელი გადაეღობა და შაშხანა წინ დაეხარა. მე რომ დამინახა, ჯარისკაცი გვერდზე მიდგა და მეც კარებში მდგომ ბონჩ-ბრუევიჩს სწრაფად გადავეცი ბალიშები.

მძიმე, გრძელი წუთები ჩამოდგა. მე ვიდექი მთლად მოშლილი, განძრევაც აღარ შემეძლო. წინ და უკან ადამიანები დარბოდნენ, მე კი გაშტერებული ვიდექი და ვიდექი...

აი, მოირბინა ვერა მიხეილის ასულმა ბონჩ-ბრუევიჩმა, ვლადიმერ დიმიტრის-ძის მეუღლემ, საუკეთესო ბოლშევიკმა ქალმა და გამოცდილმა ექიმმა.

აი, შემოიჭრა იაკობ მიხეილის-ძე სვერდლოვი, უჩვეულოდ მრისხანე და დაღვრემილი სახით, არც არავისათვის შეუხედავს, არც ვინმეს მისალმებია.

დერეფნის ბოლოს ნადექდა კონსტანტინეს ასული გამოჩნდა. ამ წუთში თითქოს მოხუცებულიყო. იგი განსახკომის სხდომაზე იყო და ამ ხუთი წუთის წინ არაფერი არ იცოდა. მწუხარე მდუმარებით ყველამ გზა დაუთმო და სუნთქვაშეკრული ნადექდა კონსტანტინეს ასული, რომელსაც ფეხები აღარ ემორჩილებოდა, კარებში ჩაინთქა.

ბოლოს გამოჩნდნენ ექიმები: როზანოვი, მინცი... დაღამდა, საფრთხე მოახლოვდა. საჭირო იყო ყველაფრის დაზუსტება, დაწვრილებით კი ჯერ არავინ არაფერი არ იცოდა. რამდენად საშიშია ჭრილობა? გადარჩება ილიჩი თუ არა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე დავბრუნდი კომენდატურაში, მაგრამ მუშაობა არ შემეძლო. ხელიდან მივარდებოდა ყველაფერი. ტვინში გამჯდარი იყო მხოლოდ ერთი კითხვა: ნეტა როგორაა ილიჩი ახლა?

ღამემ უძილოდ გაიარა. კრემლში იმ ღამეს ბევ ვინ დაიძინებდა! მე რამდენჯერმე მივედი ილიჩის ბინაზე. კარებთან გუშაგი ისევ გაქვავებული იდგა. ღრმა, სულიერშემხუთავი სიწყნარე მეფობდა. იქ, შუა ოთახში, მიმდინარეობდა სიკვდილთან შეუპოვარი ბრძოლა, ბრძოლა ილიჩის სიცოცხლისათვის. იქ იყვნენ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მარიამ ილიას ასული, პროფესორები და მედიცინის დები.

როგორ მიწდოდა იმ წუთებში მასთან ვყოფილიყავი, რითიმე დავხმარებოდი, რითიმე შემემსუბუქებინა ილიჩის ტანჯვა! მე მგონია, თუნდაც რომ პატარა სარგებლობა მომეტანა, თუნდაც უმნიშვნელოდ შემემსუბუქებინა მისი ტანჯვა, მთელ ჩემს სიცოცხლეს, სისხლის უკანასკნელ წვეთს, უკანასკნელ ამოსუნთქვას გავიღებდი და გინა მარტო მე?

ვლადიმერ ილიას-ძეზე თავდასხმის დღესვე, 1918 წლის 30 აგვისტოს, ი. მ. სვერდლოვის ხელმოწერით გამოქვეყნდა ცნობილი მოწოდება: „ყველას, ყველას, ყველას!“, რომელიც შეუბრალებელ ტერორს უცხადებდა რევოლუციის ყველა მტერს.

ერთი თუ ორი დღის შემდეგ გამოძიძახა ვარლამ ალექსანდრეს-ძე ავანესოვმა:

— დაუყოვნებლივ წადით საგანგებო კომისიაში და წამოიყვანეთ კაპლანის ქალი. იყოლიეთ იგი აქ, კრემლში, საიმედო დაცვის ქვეშ.

და ასე, ბედმა მარგუნა პირისპირ შევხვედროდი იმ უხსენებელს!

გამოვიძახე მანქანა და წავედი ლუბიანკაზე. წამოვიყვანე კაპლანი და მოვიყვანე კრემლში, სადაც მოვათავსე ნახევრად სარდაფულ ოთახში, რომლის კარები სწორედ იაკობ მიხეილის-ძის ბინის ქვეშ მდებარე დერეფანში ფანჯარა დიოდა. ოთახი იყო ფართო და მაღალი. მესერში ჩასმული მისი ფანჯრები იატაკიდან სამი-ოთხ მეტრზე იყო. კარებთან და ფანჯრებთან გუშაგები დავაყენე და განკარგულება გავეცი დამნაშავისათვის თვალი არ მოეცილებინათ. თუმცა ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ მებრძოლები კაპლანს ვერ მომწყვეტსავდნენ. პირიქით, ერთი რამ იყო სამშიში: როგორმე თავი დაეჭირათ და რომელიმეს შუბლი არ გაეხვრიტა მისთვის კარაბინის ტყვიით.

ამიტომ გუშაგებად პირადად მე შევარჩიე კომუნისტები და თვითეული საგანგებოდ გავაფრთხილე.

გავიდა კიდევ ერთი-ორი დღე, ხელახლა გამომიძახა ავანესოვმა და წარმომიდგინა ვჩკ-ას დადგენილება:

კაპლანი დაიხვრიტოს, განაჩენი სისრულეში მოიყვანოს კრემლის კომენდანტმა მალკოვმა.

დახვრიტო ადამიანი, მით უმეტეს ქალი, ადვილი როდია. ეს მძიმე, ძალან მძიმე დავალებაა, მაგრამ მე არასდროს არ მქონია შემთხვევა სისრულეში მომეყვანა ისეთი სამართლიანი განაჩენი, როგორიც ახლა...

— როდის? — მოკლედ ვკითხე ავანესოვს.

ვარლამ ალექსანდრეს-ძეს, მუდამჟამ კეთილს, გულთბილსა და გულისხმიერ ადამიანს, სახეზე ერთი კუნთიც არ შეტოკებია.

— დღესვე, დაუყოვნებლივ.

ბევრი ნაზღაპრევი და ნალაყბევი დადის, თითქოს კაპლანი გადარჩა, თითქოს ლენინმა უკანასკნელ მომენტში შეაცვლევინა განაჩენი.

არიან ისეთებიც, რომელთაც კაპლანი „უნახავთ“—ზოგს ბუტირკაში, ზოგს სოლოვკაში, ზოგს ვორკუტაში და ვინ იცის, კიდევ სად.

ეს ზღაპარი შეთხზეს იმ ობივატელებმა, რომელთა მიზანია დახატონ ლენინი ისეთ-გულუბრყვილოდ, კეთილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცად, რომელსაც შეეძლო მტრისათვის ბოროტება ეპატიებინა. არა! კაპლანი ლენინის პირადი მტერი არ ყოფილა. ის იყო საბჭოთა წყობილების უსაზიზღრესი, პირწავარდნილი მტერი, ჩვენი ქვეყნის ყველა მუშისა და გლეხის მტერი, კაცობრიობის ყველა მშრომელის მტერი და არც არავის უცდია შეერბილებინა მრისხანე განჩინება, არავის არ უცდია დაეცვა კაპლანი სამართლიანი მიზღვევისაგან.

სასიკვდილო განაჩენი კაპლანისათვის არავის არ შეუცვლია. 1918 წლის 3 სექტემბერს აღსრულდა და იგი სისრულეში მოვიყვანე მე, კომუნისტმა, ბალტიის ფლოტის მეზღვაურმა, კრემლის კომენდანტმა, პაველ დიმიტრის-ძე მალკოვმა, — საკუთარი ხელით. და ისტორია რომ განმეორდეს, განმეორდეს იგი ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ, და ჩემი რევოლვერის წინ ისევ იდგეს არსება, რომელმაც ილიჩზე ხელი აღმართა, ჩახმახის გამოსაშლელად ჩემი ხელი ისევე არ აცახცახდება, როგორც არ აცახცახებულა იგი მაშინ.

მეორე დღეს, 1918 წლის 4 სექტემბერს, გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა მოკლე ცნობა:

„გუშინ, ვჩკ-ას დადგენილებით დაიხვრიტა მემარჯვენე ესერი ქალი ფანი როიდი (იგივე კაპლანი), რომელმაც ამხ. ლენინს ესროლა“.

ათეული და ასეული ათასობით მუშები, მილიონობით გლეხები ყოველდღე მოუთმენლად ელოდებოდნენ გაზეთებს. ჩურჩულით კითხულობდნენ ყოველდღიური სამედიცინო ბიულეტენების ძუნწ სტრიქონებს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ჯანმრთელობის შესახებ. ამ ბიულეტენებს კითხულობდნენ დაქექვამდე, კითხულობდნენ ხმამაღლა ქარხნებსა და ფაბრიკებში, საამქროებსა და სახელოსნოებში, პირდაპირ ქუჩებში და სადგურებში, მინდვრებში და ქოხებში.

უზარმაზარი ქვეყანა ცხოვრობდა ერთი აზრით, მილიონობით გულები ფეთქდა ერთი მისწრაფებით: ილიჩ! მშობლიურო! მალე მომჯობინდი! გამოჯანმრთელდი!

და თანდათანობით ბიულეტენები სასიხარულო, სასიამოვნო ხდებოდნენ. საქმე სწორდებოდა. ილიჩი მძიმე ჭრილობის შედეგებს თავს აღწევდა.

ტროიცკის ჭიშკართან დილიდანვე იდგა რიგები. ათობით, ასობით ადამიანი მიისწრაფოდა შესულიყო კრემლში, მისალმებოდა ილიჩს, გადაეცა მისთვის პატარა ბარათები. ათობით და ასობით მიჰქონდათ თაიგულები და თვითეული ცდილობდა პირადად გადაეცა.

გუშაგები ტროიცკის ჭიშკართან მოიქანცნენ, ფეხზე ძლივს იდგნენ, ხმა ჩაეხლიჩათ დილიდან საღამომდე ათასებისათვის იმის ახსნა-განმარტებით, რომ ილიჩი ჯერ კიდევ მთლად გამოჯანმრთელებული არაა, რომ ექიმები მასთან არავის არ უშვებენ, რომ მისი ნახვა ახლა ყოვლად შეუძლებელია...

ყველა რომ შეგვეშვა, ვისაც ილიჩის ნახვა უნდოდა, ეს ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვეძლო, მაგრამ თაიგულები რომ არ მიგვეღო, ეს უკვე შეუძლებელი იყო.

განკარგულება გავეცი მიეღოთ თაიგულები და ზედვე აღენიშნათ მომტანის ვინაობა, შემდეგ კი თაიგულებს ილიჩთან ვგზავნიდით.

გავიდა სექტემბრის პირველი კვირა და, ბოლოს, ნება დამრთეს თვითონ მიმეტანა ილიჩის ბინაზე ჩემი თაიგული. და როცა შევედი სასადილო ოთახში, იგი მთლიანად, თავიდან ბოლომდე გამოტენილი იყო. ყვავილები ეწყო ყველაფერზე—მაგიდებზე, სკამებზე, ფანჯრის რაფებზე.

16 სექტემბერს, ავადმყოფობის შემდეგ პირველად, ილიჩი მონაწილეობდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომაში და იმავე საღამოს თავმჯდომარეობდა სახკომსაბჭოს სხდომას.

ლენინი სამუშაოს დაუბრუნდა!..

იმ დღეებში გაზეთები წერდნენ:

„ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამხ. ლენინის ჯანმრთელობა იმგვარად გაუმჯობესდა, რომ გუშინ, 16 სექტემბერს, ვლადიმერ ილიას-ძე ესწრებოდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხდომას.

ცენტრალური კომიტეტის წევრები, რომლებისთვისაც ილიჩის გამოჩენა მოულოდნელი სასიამოვნო სიურპრიზი იყო, მხურვალედ მიესალმნენ თავიანთ ბელადსა და მასწავლებელს, რომელიც „იძულებითი შესვენების შემდეგ“ საყვარელ სამუშაოს დაუბრუნდა.

მაგრამ ილიჩი აჩქარდა. რამდენიმე დღის შემდეგ იგი უარესად გახდა. აუცილებელი იყო საფუძვლიანი დასვენება. გამომძიახა სვერდლოვმა. მასთან დამხვდა მოსკოვის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარეც, და იაკობ მიხეილის-ძემ ჩვენ ორს მოგვანდო — მოგვეძებნა ქალაქგარეთ შესაფერისი სახლი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ილიჩის დროებით მოთავსება, რომ მას საფუძვლიანად დაესვენა და მომაგრებულიყო.

— მიიღეთ მხედველობაში, — მოგვაგონა იაკობ მიხეილის-ძემ, — ეს დავალება არავინ არ უნდა გაიგოს. არავის არაფერი არ უთხრათ, იმოქმედეთ მხოლოდ თქვენ ორმა და მამყოფეთ საქმის კურსში.

ჩვენ მეორე დღესვე გავემგზავრეთ. ადვილი ამოცანის წინაშე როდი ვიდექით.

მართალია, მოსკოვის ახლოს 1918 წლის შემოდგომაზე ცოტა არ იყო განცალკევებული, უპატრონოდ მიტოვებული სახლები. მდიდრულად მოწყობილი აგარაკები, ვრცელი სასახლეები, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ილიჩი არც ერთ სასახლეში არ შევიდოდა. ამიტომ უნდა გამომძებნა მოხერხებული, შენახული, განცალკევებული, მაგრამ არც ძალიან მდიდრული ბინა.

სააგარაკო ადგილები და განცალკევებული სახლები რომ შემოვიარეთ, ჩვენი არჩევანი შეჩერდა მოსკოვის ყოფილი ქალაქის თავის რაიბოტის მამულზე, გორკაში. სახლი იქ ... წესრიგზე იყო, თუმცა რამდენადმე მოუვლელიც. შედეგი მოვახსენეთ იაკობ მიხეილის-ძეს. მან მოიწონა ჩვენი არჩევანი და დაგვავალა ყველაფერი წესრიგზე მოგვეყვანა, მოგვემზადებინა ბინა ილიჩის ჩამოსასვლელად. მან ხელახლა ხაზი გაუსვა იმას, რომ ყველაფერი პირადად ჩვენ ორს უნდა გაგვეკეთებინა და მკაცრად შეგვენახა საიდუმლო, რომ ვინმე ზედმეტს არ გაეგო ილიჩის მომავალი ადგილსამყოფელი.

ისევ ჩვენ ორი შევუდექით მუშაობას. დავრჩით გორკაში რამდენიმე დღეს. ვისიმე დაუხმარებლად გამოვზიდეთ სახლიდან ყოველგვარი ნაგავი, ჩამოვრეცხეთ და გავწმინდეთ კედლები, იატაკი, ფანჯრები, დავალაგეთ ავეჯი, დავბრუნდით მოსკოვში და მოვახსენეთ სვერდლოვსა და ძერჟინსკის, რომ წასვლა შეიძლება, ყველაფერი მზადაა. ფელიქს ედმუნდის-ძემ გორკას დასაცავად გამოყო ათი ჩეკისტი და ჩამაბარა. ისინი წავიყვანე ადგილზე და მოვათავსე ფლიგელში, სადაც უწინ მმართველი ცხოვრობდა, ხოლო მეორე დღეს ვლადიმერ ილიას-ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული გადავიყვანე. ეს იყო 1918 წლის 24-25 სექტემბერს.

სხვათაშორის, სახლის ერთ ოთახში, მეორე სართულზე ვერაფრით ვერ გავაღე მოჯირის კარი. რამდენჯერაც არ ვცადე, არაფერი არ გამოვიდა. ძალა კი ვეღარ მივატანე, მინები არ ჩამოცვივდეს-მეთქი და ისევ დაკეტილი დავტოვე. რომ ჩავედი იქ ვლადიმერ ილიას-ძესთან ერთად, ვაჩვენე მას ეს კარები. იგი ჩარაზული იყო. ილიჩი მოვიდა, დაათვალიერა, მიაბჯინა მუხლი ერთ ანჯამას, მეორე გამოსწია და კარები გაღო ცალი ხელით. მეორე ჯერ კიდევ შეხვეული ჰქონდა.

მთელ სამ კვირას, რაც ილიჩმა გორკაში დაჰყო, მე ყოველდღე, დღეში

ხან — ორჯერ, ხან — სამჯერაც, მივდიოდი მასთან, თვითონ ვამოწმებდი დაცვას. მიმქონდა ილიჩთან ფოსტაც, გაზეთები, ხანდახან ღამეც მივდიოდი.

ყოველთვის, როცა გორკაში წასვლას დავაპირებდი, შეკვიარდი იაკობ მიხეილის-ძესთან, რომ გამეგო მაბარებდა რაიმეს თუ არა. იაკობ მიხეილის-ძეც მატანდა რამეებს, მაბარებდა ზეპირად ან მატანდა პატარა ბარათებს.

ხანდახან მიმქონდა დოკუმენტები, მასალები.

თვითონ სვერდლოვიც ხშირად დადიოდა გორკაში. ერთხელ იგი მე წავიყვანე, ჩვეულებრივად კი უჩემოდ დადიოდა. მოიცდიდა საათს ან საათნახევარს, რომ ილიჩის მყუდროება არ დაერღვია.

ერთხელ ილიჩთან წავიყვანე სტალინი, რომელიც ის-ის იყო რომელიღაც ფრონტიდან, მგონი ცარიცინიდან დაბრუნდა. სხვა არავინ. უჩემოდ იყვნენ როგორღაც ძერჟინსკი, ბონჩ-ბრუევიჩი. იყო კიდევ ვინმე თუ არა, არ ვიცი, მაგრამ თუ იყო — ძალიან ცოტა, იშვიათად და მცირე ხნით. ბევრი მეკითხებოდა, სადაა ილიჩი? საით წავიდა? მე არაფერს ვამბობდი, გაჩუმებული ვიყავი.

ვლადიმერ ილიჩის გორკაში გადასვლის შემდეგ, ჩვენ კრემლში დავიწყეთ მისი ბინის რემონტი და კეთილმოწყობა. ოქტომბრის შუა რიცხვებში ვლადიმერ ილიჩი თავს გაცილებით უკეთესად გრძნობდა და ხშირად აინტერესებდა — როგორ მიდის ბინის რემონტი, შეეძლება თუ არა მას მოსკოვში ადრე დაბრუნება.

როცა იაკობ მიხეილის-ძეს ვუთხარი, მან გაიცინა და მითხრა:

— გააჭიანურე, გააჭიანურე რემონტი, დაე, დიდხანს დარჩეს ვლადიმერ ილიას-ძე ჰაერზე, დაე, დაისვენოს.

მაგრამ ადვილი როდი იყო ილიჩის დაკავება ქალაქგარეთ.

ლენინს გული მოსკოვისაკენ, სამუშაოსაკენ მიუწევდა.

გორკაში გადასვლიდან სამი კვირის შემდეგ, იქ ჩემი მორიგი ჩასვლისას, ვლადიმერ ილიას-ძე რაღაც განსაკუთრებული, ხაზგასმული მოსიყვარულებით შემხვდა. მაშინვე გავიფიქრე, ეს კარგს არ მოასწავებდა

— აბა, ამხანაგო მალკოვ, მითხარით, როგორაა საქმე, ჩემი ბინის რემონტი მალე დამთავრდება თუ არა?

— იცით რა, ვლადიმერ ილიას-ძევ, საქმე ძნელად მიდის. ხან მასალა არაა, ხან ერთი, ხან მეორე... თვითონ იცით...

— ჰაი, ჰაი! — იქედნურად ჩაიცინა ილიჩმა, — ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ არაა მასალა, ერთი და მეორე, არა?

და უცებ გაბრაზდა:

— დიპლომატი ხართ თქვენ, ამხანაგო მალკოვ, საშინელი! რემონტი კრემლში უკვე ორი დღეა დამთავრებულია, მე ეს გამოვარკვიე (როგორც ჩანს, ბონჩ-ბრუევიჩმა უთხრა, რომელიც ჩემზე წინ წამოვიდა). ხვალვე მოსკოვში ვბრუნდები და სამუშაოდ გავდივარ. დიახ, დიახ, ხვალვე, — სწრაფად შემომაქცია ზურგი და თავის ოთახში შევიდა.

მეორე დღეს იგი მოსკოვს დაბრუნდა.

(ჟურნალი „მოსკვა“, 1958 წ., № 11).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲮᲝᲖᲠᲔᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲮᲘᲮᲐᲫᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲘᲮᲐᲫᲘᲠᲔᲚᲔᲑᲘ

ხიხაძირი — ეს ულამაზესი და უძველესი ქართული სოფელი, გაშენებულია ხიხანის ციხის ძირში. იგი წარმტაცია თავისი ბუნებრივი მრავალფეროვნებით. ამ სოფელს ამშვენებს კლდეებზე აღმართული ისტორიული ძეგლი „ვარდციხე“.

ძველად ხიხაძირი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი იყო. საკმარისია ითქვას, რომ XIII საუკუნის დასაწყისში ხიხაძირმა ჩვენს ქვეყანას მისცა ისეთი სახელმოხვეჭილი მწერალი და მეცნიერი, როგორც აბუსერიძეტბელი იყო.

ხიხაძირს მედიდურად დასცქერის ჩვენი სახელოვანი წარსულის დიდება — ხიხანის ციხე-ქალაქი, რომელიც ადგილობრივ აბუსერიძეებს აუშენებიათ. მის კედლებთან არაერთი დამარცხება უგემიათ თურქ დამპყრობლებს, ირანელებს, რომაელებს, არაბებს, ბიზანტიელებს, მონღოლებს... ხიხანის ციხის კედლები იფარავდა სულთნის თურქეთის ურდოების წინააღმდეგ აჭარის 1814-1815 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უდრეკ მონაწილეებს. აქ დაამთავრა თავისი გმირული სიცოცხლე ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა, აჭარის მკვიდრმა სელიმ ხიმშიაშვილმა.

როცა მტერი ძლევდა ჩვენს საყვარელ თბილისს, მაშინ ქართველობა ხიხანს აფარებდა თავს. იგი მიუვალი ციტადელი იყო.

აჭარის ეს მშვენიერი კუთხე ოსმალთა სამასწლიანი ბატონობის ხანაში დაეცა, გაჩანაგდა. თურქი ასიმილატორები ანადგურებდნენ ქართული მატერიალური კულტურისა და ხუროთმოძღვრების ძვირფას ძეგლებს. მათ მიწასთან გაასწორეს, ნაცარტუტად აქციეს ხიხაძირის ორივე ეკლესია და ქართული ხუროთმოძღვრების სხვა ძვირფასი ძეგლები. მოძალადეები ცდილობდნენ მოესპოთ ქართული ენა, სპობდნენ ქართულ წიგნებს. დამპყრობლებმა ცეცხლითა და მახვილით დანერგეს ისლამის ადათ-წესები.

1870 წელს თურქთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების საკითხებზე სოფელ სხალთაში ისაუბრეს დედა-საქართველოდან წარმოგზავნილმა მოღვაწემ „ცისკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ და შერიფ ხიმშიაშვილმა... შერიფ ხიმშიაშვილს პროგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესულ მოღვაწეობაში ბევრი ხიხაძირელი უჭერდა მხარს. ხიხაძირელი პატრიოტები მუსტაფა გაბაიძე და იუსუფ ბერიძე, მრავალ სიძნელეთა მიუხედავად, რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქვეყნის ინტერესებისათვის თბილისში რამდენჯერმე ახლდნენ შერიფს. ამ ადამიანებს „უანგარო დამსახურების გამო გულმკერდს უმშვენებდათ ერთგულების მედალი.

ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლისა და დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარების მეოხებით 1878 წლის ზაფხულში დედა-საქართველომ კვლავ შეიერთა აჭარა. განთავისუფლებას ზეიმობდა ხიხაძირიც. ახალგაზრდობას წყუროდა სწავლა, ენატრებოდა ქართული წიგნი.

1915 წელს სოფელ თხილვანაში გაიხსნა დაწყებითი სკოლა. ყველა საგანს ქართულ ენაზე ასწავლიდნენ. ეს დიდი მოვლენა იყო. თხილვანის სკოლამ წლინახევრის მანძილზე შემოიკრიბა მოსახლეობა, მოიპოვა ნდობა და სახელი. აჭარელი ახალგაზრდობა ხარბად დაეწაფა ცოდნას. აქ სწავლობდნენ არა მარტო თხილვანელი ბავშვები, არამედ ხიხაძირელი, ბაკოელი და მთისუბნელებიც კი.

მიუხედავად ამისა, ოსმალთა შუასაუკუნეობრივი ტირანიისაგან განთავისუფლების შემდეგაც, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. წელში ვერ გასწორდა ხიხაძირელი.

ძნელია ხიხაძირის რევოლუციამდელი სურათის წარმოდგენა. გლეხი სოფლიდან შორს გარბოდა ლუკმაპურის საძებნელად. ჩადრებში გახვეული, დამცირებული ქალები მოწყვეტილი იყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ნამდვილი ადამიანური ცხოვრება აჭარაში დაიწყო 1921 წლის 18 მარტიდან, როცა ამ მრავალტანჯულ მხარეში ოქტომბრის მზემ შემოანათა. ხალხმა შვება იგრძნო, დაირაზმა პარტიისა და ხელისუფლების გარშემო და დაიწყო ახალი ცხოვრების შენება. დღეს სრულიად გაქრა თურქ ასიძილატორთა ბატონობის კვალი. სასიამოვნოდ ისმის ტკბილი ქართული, იფურჩქნება ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ქართული კულტურა.

1956 წლიდან ხიხაძირში მუშაობს კულტურის სახლი, სისტემატურად იმართება კონცერტები და საღამოები. საინტერესო და მრავალფეროვანია მხატვრული თვითმოქმედი წრეების საქმიანობა. ქორეოგრაფიულ წრეში დაიხვეწა და საყოველთაოდ გაითქვა სახელი ხიხაძირულმა „ხორუმმა“ და „ოჰოი ნანამ“. ხიხაძირელ მოცეკვავეთა ჯგუფმა მაყურებლის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე თბილისში. სასიხარულოა ისიც, რომ აქაური მოცეკვავე ე. ხალვაში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის VI მსოფლიო ფესტივალის მონაწილეა.

1955 წელს სოფელ ხიხაძირში დამთავრდა მძლავრი რადიოკვანძის მშენებლობა. რადიოხაზები გადაიჭიმა კალოთამდე, ვერნებამდე, თხილვანამდე, ფუშრუკაულამდე, ბაკომდე. მშრომელები სისტემატურად იღებენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს, მუშაობს ბიბლიოთეკა. განუწყვეტლივ მდიდრდება მისი წიგნადი ფონდი და უმჯობესდება მკითხველთა მომსახურება.

1938 წლიდან ხიხაძირში არის საშუალო სკოლა. ახლა იგი ყოველმხრივ კეთილმოწყობილია, ჰყავს კვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივი. ამჟამად სკოლაში მუშაობს 20 მასწავლებელი, სწავლობს 300-მდე მოსწავლე.

სკოლას აქვს მასწავლებელთა საერთო საცხოვრებელი, სასპორტო დარბაზი და მოედანი, სასწავლო სახელოსნო და მიწის ნაკვეთი, ბიბლიოთეკა და საკუთარი ჰიდროელექტროსადგური.

ხიხაძირელ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება აფთიაქი და კარგად მოწყობილი საავადმყოფო-სტაციონარი რენტგენის დანადგარით.

ამჟამად ოცდაექვს ხიხაძირელს აქვს უმაღლესი განათლება. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში შევიდა და ამჟამად სწავლობს ოცდაჩვიდმეტი აქაური ახალგაზრდა, რომელთაგან ათი გოგონაა. ამას გარდა, ბევრმა ხიხაძირელმა დაამთავრა საშუალო სკოლა. ისინი წარმატებით მუშაობენ საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში.

ხიხაძირელი მშრომელის კულტურული ცხოვრების მკვეთრ აღმავლობას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ კოლმეურნე ხაშიმ ხალვაშის უმაღლესდამთავრებული შვილი რევაზი სოფელ სკვანის მასწავლებელია. დანარჩენი ოთხი შვილიდან ერთი სწავლობს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, ორი — ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო ყველაზე უმცროსი — ხიხაძირის საშუალო სკოლაში.

ხიხაძირს აქვს ზოოვეტერინარული პუნქტი, სატელეფონო ქსელი, ორი სავაჭრო, სასადილო და ფურნე.

აჭარის საბჭოების პირველ ყრილობაზე ხიხაძირელი დელეგატი ამბობდა: „აჭარის მშრომელები, რაკი ერთხელ შედგეს ფენი ისტორიის ახალ საფეხურზე, უკან აღარ დაიხევენ და გასწევენ წინ, ბრწყინვალე მომავლისაკენ“. და მართლაც, ვინ შეაჩერებს საბჭოთა ადამიანების წინსვლას კომუნიზმის მწვერვალებისაკენ?!

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ მაღალმთიანი რაიონების ეკონომიური და კულტურული ცხოვრების შემდგომი აღმავლობისათვის. ამ ზრუნვით გარემოსილი ხიხაძირელები თვალსაჩინო წვლილს შეიტანენ შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებაში, კომუნიზმის მშენებლობის საყოველთაო-სახალხო საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასონ ცერცვაძე

უკვდავია მათი სახელი

ვინ იცის, რამდენმა საბჭოთა ადამიანმა გამოიჩინა არნახული გმირობა დიდი სამამულო ომის წლებში! მართალია, ბევრი მათგანის მამაცობა და ვაჟკაცური საქციელი საყოველთაოდ გახდა ცნობილი, მაგრამ ბევრისა შესასწავლი და გამოსამზეურებელია. ჯერ კიდევ ძლიერ ცოტა ვიცით, კერძოდ, ქობულეთელი ვაჟკაცის აბდულ მემედის-ძე წულუკიძის შესახებ, თუმცა მან ბრძოლის ველზე არაერთხელ ასახელა მშობლიური ხალხი და პირნათლად მოიხადა თავისი მხედრული ვალი საყვარელი მამულის წინაშე.

აბდულ მემედის-ძე წულუკიძე დაიბადა 1912 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში. აქვე დაამთავრა შვიდწლიანი სკოლა და მუშაობა დაიწყო ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში. ეს საწარმო აბდულისთვის ახალი სკოლა გახდა. ნიჭიერი ახალგაზრდა სწრაფად ეუფლებოდა არჩეულ პროფესიას და მალე საამქროს უფროსად დააწინაურეს. აქვე მიიღეს იგი ლენინური კომკავშირის რიგებში. თავდადებული შრომითა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით ა. მ. წულუკიძემ ისე გამოიჩინა თავი, რომ ქარხნის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა იგი მიავლინეს ბათუმის პარტიულ სკოლაში.

პარტიული სკოლის დამთავრების შემდეგ ა. მ. წულუკიძე მუშაობდა ვაჭრობის სისტემაში, მშრომელთა დეპუტატების ქობულეთის რაიონული საბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორად, ღეღვას სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, მუხაესტატის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ, ბობოყვათის ციტრუსების ქარხნის დირექტორად. ბოლოს, მშობლიური სოფლის კოლმეურნეებმა იგი აირჩიეს თავიანთი სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარედ. ეს პასუხსაგები პოსტი ეჭირა ა. მ. წულუკიძეს, როცა დაიწყო დიდი სამამულო ომი. სხვა პატრიოტებთან ერთად მალე ისიც გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში და 1941 წლის სექტემბრიდან დაღუპვამდე ებრძოდა მომხდურ მტერს.

* * *

1942 წელს ქართული დივიზიის ერთ-ერთ პოლკში პოლიტხელად დაინიშნა

ოცდაათი წლის ვაჟკაცი აბდულ წულუკიძე. აქედან მოკიდებული მისი ბიოგრაფია განუყოფელად დაუკავშირდა მშობლიური დივიზიის საბრძოლო საქმიანობას.

პირველი საბრძოლო ნათლობა ქართულმა დივიზიამ აგვისტოში მიიღო თერგის ნაპირებზე. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მთელი დივიზიიდან მტერს პირველი შეხვდა ლეიტენანტ ა. წულუკიძის განაყოფი და სახელოვნადაც შეასრულა დავალება. მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. დივიზიას და, მაშასადამე, ა. წულუკიძის განაყოფსაც ელოდა ახალ-ახალი მძიმე ბრძოლები,

ერთხელ კაპიტან ნიკა ამირიძის განაყოფს, სადაც ა. წულუკიძეც ირიცხებოდა, დივიზიის სარდლობამ ფრიად პასუხსაგები დავალება მისცა. კაპიტანი ამირიძე გამოცდილი ოფიცერი იყო, მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში და წმიდა გიორგის ოთხივე ხარისხის ორდენი დაიმსახურა. თმაშევერცხლილ კაპიტანს დიდად უყვარდა აბდულ წულუკიძე, ახარებდა მისი სიმამაცე, წინდახედულობა, ორგანიზატორული უნარი, მებრძოლების გაწვრთნილობა, დისციპლინა და ხშირად „პატარა ბაგრატიონსაც“ კი ეძახდა. ამიტომ იყო, რომ ნიკა ამირიძე არასოდეს არ იცილებდა საყვარელ პოლიტხელს.

და მართლაც, ა. წულუკიძე მშვენიერი ოფიცერი იყო, მისი განაყოფი კი მოწინავე. სწორად ამ განაყოფის მებრძოლმა მესანგრე ჩარგეიშვილმა ჩაიდინა საარაკო გმირობა, რომელიც ასე ბრწყინვალედ გადმოგვცა მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ნარკვევში „თერგის ყორღანებში“. ჩარგეიშვილს ასაფეთქებელი დარჩა გერმანელთა მიერ ჩაწყობილი უკანასკნელი ნაღმები, როცა მოულოდნელად ეაიჭრა. ამ დროს დაიწყო ქართველების იერიშიც. „და მაშინ, — გადმოგვცემს კ. ლორთქიფანიძე, — ბრძოლის გადამწყვეტ წუთში, ოცდარვა წლის ვაჟკაცი ძიხვდა, რომ მთელი ძისი ცხოვრებელილი ცხოვრება, მთელი მისი ოცდარვა წელი ამ ერთი წუთის მოსამზადებელი წლები იყო, და იგი ვაჟკაცურად შეხვდა ამ წუთს: სასიკვდილო წრეში მყოფმა თოკი მოზიდა, ნაღმებზე აფეთქდა და ამხანაგებს გზა გაუკვალა... აბდულა წულუკიძემ ჯერ კიდევ ცოცხალს მოუსწრო“.

ასე ბრძოლით მიიწევდა წინ ქართული დივიზია და მტერს ზედიზედ აგებდა არაერთი გამანადგურებელი დარტყმა.

დადგა 1943 წელი. სექტემბერში ქართული დივიზია შეუდგა ანაპის განთავისუფლებისათვის ბრძოლას. 29 სექტემბრის ოთხ საათზე მან მიიღო შეტევის ბრძანება. ბრძოლის წინ ბატალიონის მეთაურის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში აბდულ წულუკიძემ ჩამოუარა მებრძოლებს, გაამხნევა და აღაფრთოვანა ისინი. ქართველი ვაჟკაცები ქარიშხალივით ეკვეთნენ მტერს. ერთ-ერთი შეტაკების დროს ძნიმედ დაიჭრა ბატალიონის მეთაური პავლე სარალიძე. მაშინ ბატალიონის მეთაურობა კაპიტანმა აბდულ წულუკიძემ იკისრა, მებრძოლები კვლავ გაადაიყვანა იერიშზე და ხელჩართულ ბრძოლაში გაანადგურა ვერაგი მტერი.

9 ოქტომბერს ჩვენმა ნაწილებმა საბოლოოდ გაანადგურეს მტრის დაჯგუფება და მთლიანად გაათავისუფლეს ტამანის ნახევარკუნძული. იმავე დღეს უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ბრძანებით ქართული დივიზიის მთელ პირად შემადგენლობას გამოეცხადა მადლობა, ამასთან დივიზიას მიენიჭა „ანაპის“ სახელწოდება.

1944 წლის დამდეგს ანაპის დივიზია ქერჩის მისადგომებს მიუახლოვდა. დივიზიის გაზეთი „სამშობლოს დამცველი“ 4 იანვარს ამის გამო წერდა:

„შენ უკვე ქერჩის მისადგომებთან დგახარ. მალე შეხვდები მტერს პირის-

პირ. მაშ მოემზადე, გასინჯე შაშხანა, ავტომატი, ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი, ქვემეხი. მოემზადე გადამწყვეტი ბრძოლისათვის! შენი დარტყმა უნდა იყოს ძლიერი, გამანადგურებელი, რომ ფაშისტმა მხეცმა ზეზე წამოდგომა ვეღარ მოახერხოს.

მთელი საბჭოთა ხალხი შენ გიცნობს, როგორც ქართველი ხალხის გამოჩენილი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის, სამძისი არაგველის, ცხრა ძმა ხერხეულიძის ღირსეულ შთამომავალს და მემკვიდრეს. მაშ შენც არ უღალატო მათს საბრძოლო ტრადიციებს, დასცხე მტერს, არ დაინდო, თავი გაუჩეჩქვე ფაშისტ ქვეწარმავალს. წინ, — შშობლიური ყირიმის გასათავისუფლებლად!"

საბრძოლო ოპერაციის წინ კაპიტანმა ა. წულუკიძემ შეკრიბა ბატალიონის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, აგიტატორები და აუხსნა მათ ბატალიონის წინაშე მდგომი ამოცანები.

—ამხანაგებო, ხომ გახსოვთ საზეიმო აღთქმა, რომელიც ქართველ ხალხს მივეცით. ჩვენ ვიმყოფებით გადამწყვეტი ბრძოლის მიჯნაზე. 1944 წელი გამარჯვების წელი უნდა გახდეს. განუმარტეთ ყველას, რომ ყირიმის მიწაწყალზე სასტიკი შური უნდა ვიძიოთ გერმანელებზე მთელი იმ სისხლისათვის, რომელიც აქ დაიღვარა. ქართველი ხალხი ვერ აპატიებს გერმანელ ფაშისტებს ამ სისხლს.

ბატალიონის მეომრებმა მთელ დივიზიასთან ერთად ბრწყინვალედ შეასრულეს დავალება, მაგრამ დაკარგეს საყვარელი მეთაური. აი როგორ მოხდა ეს.

ქერჩის მისადგომებთან ა. წულუკიძის ბატალიონი იბრძოდა ერთ-ერთი მაღლობისათვის. მტერი ხშირად გადმოდიოდა კონტრიერიშზე, მაგრამ ამაოდ — ბოლოსდაბოლოს მისი წინააღმდეგობა გატეხილ იქნა და საბჭოთა მეომრებმა დაიკავეს ხელსაყრელი ზღუდე.

გათენდა 28 იანვარი. დილიდანვე გაჩაღდა სასტიკი სისხლისმღვრელი ბრძოლა. ბატალიონის მეთაურმა ა. წულუკიძემ ორი მძიმე ჭრილობა მიიღო და ბრძოლის ველზე გარდაიცვალა. მამაცი ოფიცრის დაკარგვამ ყველას ძლიერ დაწყვიტა გული.

ამავე დღეს გაიმართა პარტბიუროს სხდომა. სხდომამ თავის დადგენილებაში ჩასწერა: „კაპიტან აბდულ წულუკიძის გმირული დაღუპვა ბრძოლის ველზე მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაციის უდიდესი დანაკლისია. განემარტოს ყველას, რომ ორგზის ორდენოსანმა კაპიტანმა ა. წულუკიძემ მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე შესწირა სამშობლოს თავისუფლებას".

პარტბიუროს გადაწყვეტილებით ყველა ქვეგანაყოფში ჩატარდა საუბრები აბდულ წულუკიძის ცხოვრებისა და საბრძოლო გზის შესახებ, ხოლო მის ცხედართან მებრძოლებმა ერთსულოვანი ფიცი დასდეს, რომ სასტიკად იძიებდნენ შურს გერმანელ ფაშისტებზე საყვარელი მეთაურისათვის. ეს ფიცი მათ ბრწყინვალედ შეასრულეს. 1944 წლის 12 მაისს ყირიმი მთლიანად გაწმენდილ იქნა ფაშისტი ოკუპანტებისაგან. ყირიმში კვლავ ლაღად აფრიალდა წითელი დროშა. ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს კაპიტან აბდულ წულუკიძის მებრძოლმა ამხანაგებმა.

მამაცი ქართველი ოფიცრის აბდულ მემედის-ძე წულუკიძის სახელოვანი საბრძოლო საქმეები აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს ახალ-ახალი გმირობისათვის უსაზღვროდ საყვარელი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ და სადიდებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ნაცვალაძე

ნესტორ მალაზონიას ლირიკა

ქართველი საბჭოთა მკითხველი კარგად იცნობს მხცოვანი პოეტის ნესტორ მალაზონიას პატრიოტული მგზნებარებით გამთბარ ლექსებსა და პოემებს. ათობით წელია იგი დაუღალავად და უანგაროდ ემსახურება მშრომელ ხალხს, თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დიდ საქმეში. მადლიერმა ხალხმა, პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასეს პოეტის ღვაწლი — ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით, რომელიც შარშან გაიმართა მოსკოვში, ნესტორ მალაზონია დაჯილდოებულ იქნა „სპატიო ნიშნის“ ორდენით.

პირველი ლექსი, რომელსაც „ფანტაზია“ ერქვა, ნესტორ მალაზონიამ გამოაქვეყნა 1921 წელს ოზურგეთის (ახლანდელი მახარაძე) გაზეთ „გურიის კომუნარში“. იმავე წელს ივივე ლექსი დაიბეჭდა თბილისში, გაზეთ „ტრიბუნაში“, რომელმაც რამდენიმე ხნის შემდეგ თავის ფურცლებზე კვლავ მოათავსა პოეტის მინიატურა „ფურცლები დღიურიდან“. აქედან მოკიდებული ნესტორ მალაზონიას ლექსები, და პოემები სისტემატურად იბეჭდება როგორც ადგილობრივ, ისე თბილისის ჟურნალ-გაზეთებში და გამოდის ცალკე წიგნებადაც. ნესტორ მალაზონიას მრავალი წლის შემოქმედებითი მუშაობის ერთგვარ ანგარიშად უნდა მივიჩნიოთ მისი „ლექსები და პოემები“, რომელიც აპარის სახელგამმა გამოსცა 1955 წელს.

თავისი პოეტური კredo ნესტორ მალაზონიამ გადმოგვცა ლექსში „სამშობლოს“.

მიყვარს ამ ქვეყნის კვამლიც, ნაკარიც,
ნათელი მზე და გაზაფხულება, —
მოკვდეს იმ ლექსის ყველა მარცვალი,
სამშობლოს რომ არ ემსახურება!
ხალხის ამაგი დამყვება ვალად,
იგი დიდი და თვალუწვდენია,
მოკვდეს ის ლექსი, რომელიც კალამს
ჩემი ხალხისთვის არ უწერია!

და მართლაც, პოეტის თვითეული ლექსი შთაგონებულია მამულის, მშობლიური ხალხის, სახელოვანი კომუნისტური პარტიის უსაზღვრო სიყვარულით. იგი უმღერის კომუნიზმის მშენებლებს, რომლებიც განუხრელად მიდიან წინ დიდი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. თავიანთ კეთილშობილურ შრომაში მათ აღაფროთოვანებს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეები, იმის რწმენა, რომ კომუნიზმის საქმე გარდუვალად გაიმარჯვებს და თვითეული წარმატება ახალი საზოგადოების მშენებლობაში საამართლიანად მიაჩნიათ ერთგვარ პატაკად დიდი ლენინისადმი, რომლის ნათელ ხსოვნასაც სპეტაკად ინახავს გულში თვითეული საბჭოთა ადამიანი:

გზა ნათელია, — ხსოვნა სპეტაკი,
გული — აღსავსე იმედით, რწმენით,
ყოველ წლისთავზე შრომის პატაკით
პირისპირ ვხვდებით ლენინს.

ამიტომ საგსებით კანონზომიერია, რომ ნესტორ მალაზონიას შემოქმედებაში წამყვანი ადგილი დაიკავა შრომის თემამ, მშრომელი ადამიანის ფიქრებმა და განცდებმა. პოეტის ლირიკული გმირი — ეს არის ახლისათვის თავდადებული მებრძოლი, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, რომელიც მთელ თავის ენერგიასა და ცოდნას უანგაროდ ახმარს მშობლიური ხალხის ბედნიერებას და სამართლიანად თვლის, რომ მისი პირადი ბედნიერება განუყოფელია საერთო-სახალხო ბედნიერებისაგან. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის — ამ პრინციპით ცხოვრობს და ქმნის ნესტორ მალაზონიას ლირიკული გმირი. საბჭოთა ადამიანის შრომითს მამაცობასა და გმირულ შემართებას უმღერის პოეტი, მაგალითად, ისეთ ლექსებში, როგორიცაა „ელხიდმშენი“, „ახლა იმ ხევში ელსადგურია“, „სიმღერა ჩაის მკრეფავ-ებზე“, „თბილისი — სამგორი“, „ღამით სამგორში“ და სხვ. ამ ლექსებში შრომა წარმოგვიდგება როგორც პიროვნების ნიჭისა და უნარის გამოვლინების ერთადერთი პირობა, როგორც სახელისა და გმირობის საქმე. ჩაის ფოთლის მკრეფავი გოგონა თავისი მამაცური შრომით მთელ სოფელს, მთელ ქვეყანას უხვევს სახელს და გარემოსილია ხალხის ყურადღებითა და სიყვარულით.

ჩვენი ქვეყნის ქალიშვილო,
ჩვენი სოფლის თვალისჩინო,
ქება და სახელი ხარ!
მზის სხივებში ნაფერი ხარ,
ცის სივრცეში აფრენილხარ,
გულში ჩასახვევი ხარ!

მიმართავს პოეტი ჩაის მკრეფავ გოგონას და ამით გამოხატავს შრომის დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას ჩვენს ქვეყანაში, კომუნიზმის მშენებლობაში, მის გარდამქმნელ და ყოვლისმძლე ძალას. შრომის ეს სიდიადე განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს პატარა, მაგრამ მდიდარი და მრავალფეროვანი აპარის მაგალითზე. მთელ ქართველ ხალხთან, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი ულამაზესი მხარის მშრომელები თავდადებით შრომობენ პარტიის გრანდიოზულ წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად და სახეს უცვლიან თავიანთ საყვარელ აპარას. თუ წინათ აპარა მეფის რუსეთის ერთ-ერთი ჩამორჩენილი ვანაპირა კუთხე იყო, ახლა აყვავებული რესპუბლიკაა დიდად განვითარებული სახალხო მეურნეობითა და მაღალი კულტურით.

რა დარია ღადარივით,
ვარდობა და მაისია,
ფორთოხლის და მანდარინის
ბაღებს უბე გაუვსია.

აღტაცებით წერს პოეტი ლექსში „ამღერებული აპარა“. ასეთივე სიყვარულითაა გამთბარი ნესტორ მალაზონიას ლექსები აპარის დედაქალაქ ბათუმზე. და ეს საგანგებო ბუნებრივია, რადგან თავისი ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერი წლები პოეტმა აქ, ბათუმში გაატარა, აქ გაიფურჩქნა მისი შემოქმედება, აქ დავაკაცდა, იგი, როგორც ხელოვანი, და მის თვალწინ გაიზარდა და გამშვენიერდა მშობლიური ბათუმი. ამიტომ არის, რომ ესოდენ დიდი გულწრფელობით ეღერს პოეტის სიტყვები:

ჩემო კოპწია ბათუმო,
შენზე სიმღერა მომინდა,
ქალაქო, მარად განთქმულო
ბრძოლით, ლხინით და შრომითა.
სიხლი გიღვრია მრავალი,
ბევრი შავი დღე გინახავს,
ჩემი სამშობლოს ჯავარი
და ჩემი გულის ბინა ხარ.

განსაკუთრებით გაძლიერდა ნესტორ მალაზონიას შემოქმედების პატრიოტული მოტივები დიდი სამამულო ომის წლებში. მძიმე განსაცდელის ჟამს იგი, როგორც პატრიოტი პოეტი, მშრომელებს მოუწოდებდა თავდადებული შრომისა და ბრძოლისაკენ, უნერგავდა მათ მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების მტკიცე რწმენას:

აღდგეს ქვეყანა საბრძოლოდ მტერთან,
აღდგეს დევგმირთა უძლევი ჯარი!
მოვსპოთ ფაშიზმი ჰიტლერთან ერთად —
მტერი ვერაგი და საზიზღარი!

ამ პერიოდის ბევრ ლექსში პოემა აქო და ადიდა საბჭოთა არმიელების არნახული გმირობა და მამაცობა სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსებისათვის ბრძოლაში, გამოკვეთა არაერთი მებრძოლის დაუვიწყარი მხატვრული სახე. მათგან გამოირჩევა ლექსები, რომლებიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის გმირ ისრაფილ ჯინჭარაძეს, აზმედ ვერულიძეს, კოსარ აკაკი გიორგაძეს, უკრაინელ მებრძოლ ივანე სერედას, ქართველ ფრონტელ გოგონას ვენერა დვალს და სხვ. გმირი მფრინავის ისრაფილ ჯინჭარაძის პასუხში დედისადმი, რომელსაც სურდა გაეგო სად იყო, სად იბრძოდა ერთადერთი შვილი, ნათლად ჩანს საბჭოთა ადამიანის მაღალი მორალური თვისებები, მგზნებარე პატრიოტიზმი, უსაზღვრო ერთგულება მშობლიური ხალხისადმი, მზადყოფნა ყველაზე ძვირფასი — თვით სიცოცხლეც კი შეწიროს სამშობლოს, მის ბედნიერებას:

— შებმული ვარ ვერაგ მტერთან,
რომ დავლეწო შავი ფრთები,
და თუ მომკლეს დედისერთა,
მაინც ცოცხლად ჩავითვლები.
ასეთია ჩვენი ხეედრი,
ვაჟკაცის და გმირის ბედი.
არ შეფიქრდე, არ შეწუხდე,
არ იდარდო, ჩემო დედი!..

ფრონტისა და ზურგის ერთიანობა მშვენივრად გადმოსცა ნესტორ მალაზონიამ თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „წყვილი წინდა“. როგორც ცნობილია, სამამულო ომის დღეებში მშრომელები აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოთა არმიის მებრძოლთა მომარაგებაში ყველაფრით, რაც საჭირო იყო მტერზე გამარჯვებისათვის. ისინი ფრონტს უგზავნიდნენ არა მარტო საბრძოლო ტექნიკასა და საჭურველს, არა მარტო სურსათს, არამედ პირად საჩუქრებსაც. რითაც გამოხატავდნენ თავიანთ ღრმა სიყვარულსა და პატივისცემას საბჭოთა ხალ-

ხის ღვიძლი შვილის — შეიარაღებული ძალებისადმი. აი ეს სიყვარული, ეს განცდა გადმოგვცა პოეტმა უბრალო, მაგრამ გულში ჩაბეჭდომი სიტყვებით. ჭაღარა დედა ასე მიმართავს უცნობ მებრძოლს, რომელსაც გადასცემენ მის მცირე, თუმცა გულით მიძღვნილ საჩუქარს:

თითქოს ვხედავ როგორ იცვამ,
როგორ მოგწონს ჩემი წინდა,
როგორ მოგწყდა წამით რისხვა
და ტუჩები შეგიცინდა...
ასე ვქსოვე უტყუარად,
და მიხვდები, ალბათ, თვრთონ,
რომ მას მოაქვს მატყლის არა —
მილიონთა გულის სითბო!

სამამულო ომის პერიოდში დაწერილი სხვა ლექსებიდან გრძნობის სიწრფელითა და მხატვრული დახვეწილობით გამორჩეული ლექსი „მოდიან, შვილო, ჯარისკაცები“, სადაც პოეტი პირადი გრძნობის, პირადი განცდების გადმოცემისას დიდ განზოგადებას აღწევს. პოეტს უხარია, რომ სამამულო ომი ჩვენი ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა, მაგრამ მის სიხარულს თან ახლავს ჩრდილი, რადგან ომიდან აღარ დაუბრუნდა ერთადერთი ვაჟი:

უფრო ვიგრძენი მე უშენობა
და მაშინ უფრო მომინდა შვილი!

გულისტკივილით წერს პოეტი, მაგრამ ამ დიდმა მწუხარებამ იგი სულიერად ვერ დასცა, ვერ დაამაბუნა და ვერ გამოთიშა მშობლიურ ხალხს, რომელიც ზეიმობდა მტერზე გამარჯვებას:

დედაო მიწავ! სამშობლო-დედავ!
ჩაუქრობელო სინათლევ თვალთა.
მარადის გენთოს კაშკაშა მზე და
ჰყვაოდეს შენი ნათელი კალთა!
დედა იყავ და ახლა შვილიც ხარ —
მიწა მფარველი საყვარელ ძალთა,
და თუ გაბედოს მტერმა შერისხვა,
მკერდით დაგიცავ, მიხმე და მზად ვარ!
თან ვიამაყებ, რომ ხმალით ხელში
მეც მყავს დამცველი მშობელი მიწის,
რომ ჩემი ქვეყნის საკურთხეველში
ჩემი პატარა პატრუქიც იწვის.

ნესტორ მალაზონიას პატრიოტიზმი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანისა, განუყოფელია ხალხთა ძმობა-მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისაგან. პოეტი გატაცებით უმღერის დიდ რუს ხალხს, როგორც ქართველი ხალხის მეგობარსა და მოკავშირეს, როგორც საბჭოთა ხალხების ერთიანი ოჯახის უფროს ძმას. იგი იგონებს იმ დღეებს, როცა საქართველო, მტრების განუწყვეტელი თარეშითა და აოხრებით დასუსტებული, მიენდო რუსეთს და თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა დიდი რუსი ხალხის ბედს, დაუკავშირა და მოიპოვა ნანატრი მშვიდობა, წინსვლისა და აღფრთოვანებული აუცილებელი პირობები. ეს იდეა გასაოცარ ბით კარგად გადმოგვცა ნესტორ მალაზონიამ ლექსში „გარსევან ჭავჭავაძე“, რომელიც ასე მთავრდება:

და ეს უთქვამთ:
— ჭავჭავაძეს თერგი უსვამს,
მთის გადალმა ძმა უძმია საიმედო!
ახლა ხმალი გადაუტყდა ყველა დუშმანს,
მათ დღეიდან ვერაგობა ვერ გაბედონ.

მეორე ლექსი „მეგობრები“ ნესტორ მალაზონიამ მიუძღვნა უკრაინელი და ქართველი ხალხების საუკუნოებრივ მეგობრობას. ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი სიმბოლიურად გამოხატავენ ამ ძმობას, რუსეთის იმპერიის ყველა ხალხის მისწრაფებას განვმტკიცებინათ კავშირი ურთიერთშორის და დიდ რუს ხალხთან, როგორც თავიანთ უფროს ძმასთან, რომელიც მოწოდებული იყო გადამწყვეტი როლი შეესრულებინა საერთო განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ისინი ორივენი იმ აზრს ადგნენ, რომ წინაპრები სავსებით სწორად მოიქცნენ, როცა მძლავრ რუსეთს დაუკავშირეს თავიანთი ქვეყნის ბედი, მათი მომავალი.

დიდება რუსეთს!
ჩვენ ვართ სამი ძმა,
ჩვენი სავალიც ერთად გაშლილა...
და დიდხანს ლოცეს, ვინაც მათი გზა
რუსეთის დიდ გზას დაუკავშირა.

თავისი უსაზღვრო სიყვარული დიდი რუსი ხალხისადმი პოეტმა იმითაც გამოხატა, რომ სპეტაკი გრძნობებით აღსავსე ლექსები მიუძღვნა რუსული პოეზიის მზეს ალექსანდრე პუშკინს, დიდ რუს პოეტს ნეკრასოვს, საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელ ვლადიმერ მაიაკოვსკის და ა. შ. მანვე თარგმნა და ქართველ მკითხველებს მშობლიურ ენაზე გააცნო ლერმონტოვის, ნეკრასოვის, კრილოვის, ისაკოვსკის, მიხალკოვის, აგრეთვე პოლონელი პოეტების ადამ მიცკევიჩის, იულიან ტუვიმისა და სხვ. ცალკეული ნაწარმოებები.

შრომის, მშენებლობის, ხალხთა ძმობა-მეგობრობის მგზნებარე მომღერალი ნესტორ მალაზონია, ცხადია, გადაჭრით გმობს ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელთა ბოროტ საქმიანობას და თავდადებით იბრძვის მშვიდობისათვის. ამ თემაზე მან დაწერა არაერთი საინტერესო ლექსი, რომლებშიც გამოთქვა თვითეული საბჭოთა ადამიანის ფიქრები და ნება. პოეტს ღრმად სწამს, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს, და სამარცხვინო ბოძზე აკრავს იმპერიალისტებს, რომლებიც იარაღს აყღარუნებენ და ისწრაფიან მთელ მსოფლიოში გააჩაღონ ახალი ომის ხანძარი. განსაკუთრებით მძაფრად გადმოსცა პოეტმა საბჭოთა ადამიანების აღშფოთება იმპერიალისტთა საომარი

მზადებისა და გამალებული შეიარაღების გამო ლექსში „ომის გამჩაღებლებს“:

ჯერ რამდენია შვილუნახავი
მამა და ძაძით მოსილი დედა!
თქვენ კი კვლავ გინდათ ომი ახალი,
კიდევ ახალი ხოცვა და ქლეტა.
არა და არა! ეს არ მოხდება!
ჩამოგვეცალეთ მშვიდობის გზიდან!
თქვენ გასულდგმულებთ ომზე ოცნება,
ჩვენ კი შრომა და მშვიდობა გვინდა.

დიახ, საბჭოთა ადამიანებს სურთ შრომა და მშვიდობა, რათა წარმატებით შეასრულონ კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები. მათ ომი არ უნდათ და არც ესაჭიროებათ. ჩვენს წინაშე გადაშლილია ფართო პერსპექტივები, ჩვენს წინაშეა ფართო გზა, განათებული მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების შუქით. ჩვენ გვხელმძღვანელობს ნაცადი და ბრძოლებში გამოწრთობილი კომუნისტური პარტია, რომელსაც საბჭოთა ხალხმა თავისი ნებით მიანდო საკუთარი ბედი და უსაზღვროდ მადლიერია ხალხის ბედნიერებისათვის მისი დაუცხრომელი ზრუნვისა და მშრომელი მასების ეს განწყობილება, ეს სულიერი ეარული და ღრმა მადლობის გრძნობა მშვენივრად გადმოგვცა ნესტორ მალაზონიამ პარტიისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში:

ახლა ქვეყნის გზა
ნათელი და ეგზომ ფართოა,
დღეს კომუნიზმის
მოკაშკაშე მწვერვალებს ვხედავთ.
ეს — შენ გვისარდლე,
საყვარელო ჩვენო პარტიავ!
დიდო პარტიავ,
დიდება და მადლობა შენდა!

ასეთია ნესტორ მალაზონიას ლირიკის ძირითადი მიმართულება, მისი იდეური შინაარსი. იგი მოწმობს, რომ მთელი თავისი ნიჭი და უნარი პოეტმა უანგაროდ მოახმარა მშობლიურ ხალხს და სავსებით დაიმსახურა ის ყურადღება და სიყვარული, რასაც მისდამი იჩენს მკითხველი საზოგადოებრიობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაღიმ ნიქაარაძე

შთამაგონებელი ციფრები

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც მოიწონა და დამტკიცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობამ, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამლილი მშენებლობის დიადი პროგრამაა. მისი წარმატებით განხორციელება საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გზაზე, უზრუნველყოს სოციალისტური ეკონომიკის კიდევ უფრო მძლავრი განვითარება.

დიდი პერსპექტივები ისახება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის წინაშეც. ახალ შვიდწლედში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაბანდებული იქნება 16,8 მილიარდი მანეთი და მრეწველობის მთლიანი პროდუქცია თითქმის 75 პროცენტით გაიზრდება. აქედან ქიმიური მრეწველობის პროდუქცია გადიდდება დაახლოებით ექვსჯერ, ხოლო მანქანათმშენებლობის დარგებიდან ყველაზე მეტად განვითარდება ელექტროტექნიკური მრეწველობა და ხელსაწყოთმრეწველობა. შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ჩაისა და ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების, მებაღეობის, მეაბრეშუმეობის, მეევნახეობისა და მეღვინეობის შემდგომ განვითარებას.

გასულ ხუთწლედებში ეკონომიურად და კულტურულად განუხრელად იზრდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა აჭარა. სოციალისტურმა მშენებლობამ სახე უცვალა მას. აიგო ახალი ქარხნები და ფაბრიკები. ახლა აქაური ნავთობპროდუქტები, რთული მანქანები, თბომაგლები და გლისერები, ჩაი და ციტრუსები, კოფეინი და თვალბინი, კონსერვები და პაპიროსი, ფანერი და ავეჯი, ტყავი და ფეხსაცმელი, ღვინო და თევზი და ბევრი სხვა საქონელი საქვეყნოდაა ცნობილი. ზოგი მათგანი ამშვენებდა საკავშირო სამრეწველო გამოფენის სტენდებს, ხოლო ზოგი უფრო შორს — ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენის საბჭოთა ექსპონატებს შეემატა.

1965 წელს მრეწველობის საერთო პროდუქციის გამომუშავება აჭარაში გაიზრდება 1,3-ჯერ, ხოლო კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში წინა ხუთწლედთან შედარებით — სამჯერ. აშენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები, რეკონსტრუირებულ იქნება და ახალი ტექნიკით აღიჭურვება არსებული საწარმოები. კერძოდ, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდება პირველი ხუთწლედის პირმშოს — სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის საწარმოო სიმძლავრის გასაოცარად. მარტო ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოებაზე გათვალისწინებულია ათობით მილიონი მანეთი, რის შემდეგ იგი 1958 წელთან შედარებით 50 პროცენტით გაადიდებს ნავთობის პირველად გადამუშავებას. საწარმო მნიშვნელოვნად გაზრდის გამჭვირვალე პროდუქტებისა და დიზელის სათბობის წარმოებას, სამრეწველო გაზისა და გათხევადებული გაზის გამოშვებას.

არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ჩინეთის, კორეის, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკებსა და სხვა ქვეყნებშიც კარგად იცნობენ ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის პროდუქციას — ჩაის სახმობ ღუმელებს, როლერებს, ხილ-ბოსტნეულის სახეხ და წვენსახდელ მანქანებს. ქარხანა შვიდწლედის ბო-

ლოს ორნახევარჯერ და კიდევ უფრო მეტად გაზრდის მთლიანი პროდუქციის გამოშვებას 1958 წელთან შედარებით და იგი რესპუბლიკაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო მძლავრ და მოწინავე ტექნიკით აღჭურვილ მძიმე ინდუსტრიის კერად გადაიქცევა.

დიდი გეგმები დაესახა ბათუმის გემსაშენ ქარხანასაც. იგი 60 პროცენტით გაზრდის პროდუქციის გამოშვებას, აითვისებს და მასობრივად დაამზადებს შვიდი ახალი სახეობის თბომავალს, კატარღასა და ნავს. მთელ ჩვენს ქვეყანაში ქარხანა პირველი აითვისებს 300-ცხენისძალიანი სწრაფმავალი თბომავლის წარმოებას. ეს თბომავალი 220 კაკს დაიტევს და საათში 25 კილომეტრს განავითარებს.

შვიდწლედში რესპუბლიკის მანქანათმშენებლობას შეემატება ახალი დარგი — ელექტროტექნიკური მრეწველობა. ქალაქ ბათუმში უკვე საფუძველი ჩაეყარა ავტოკარების, ელექტროხელსაწყოებისა და ელექტროტექნიკურ ქარხნებს, რომლებიც შვიდწლედის ბოლოს 200 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ.

ბათუმის კოფეინის ქარხანა, რომლის კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 1959–1965 წლებში 28.900 ათას მანეთს მიაღწევს, გაფართოების შემდეგ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი სპეციალიზებული ქიმიურ-ფარმაცევტული საწარმო გახდება და 1965 წელს ათობით ტონით მეტ კოფეინს გამოუშვებს, ვიდრე 1958 წელს. ამავე დროს ქარხანა აითვისებს პროდუქციის ახალ სახეობებს.

მნიშვნელოვნად გაადიდებენ პროდუქციის გამოშვებას ტყავისა და ფანერის ქარხნები, ფეხსაცმლის, სამკერვალო, თამბაქოს ფაბრიკები, ციტრუსკომბინატი და აჭარაში განლაგებული საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სხვა საწარმოები.

შვიდწლედში სერიოზული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის განვითარებას. 170 პროცენტით გაადიდებენ პროდუქციის გამოშვებას აჭარის ასსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საწარმოები. შვიდწლედის მანძილზე ქალაქ ბათუმში ამუშავდება ავეჯის კომბინატი და ახალი მექანიზებული პურის ქარხანა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი საშენი მასალების წარმოებას. ქობულეთის რაიონში სამების საშენი ქვის საბადოს ბაზაზე აიგება ქვის დასამუშავებელი ქარხანა. ხოლო ხინოს საბადოების ბაზაზე — კირის ქარხანა.

რესპუბლიკის მეხილეობა-მევენახეობის რაიონებში — ქედაში, შუახევსა და ხულოში აშენდება მცირე სიმძლავრის საკონსერვო ქარხნები, ქედაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ღვინის ახალი ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად 700–800 ტონა ღვინოს დააყენებს.

ახალი სამრეწველო ობიექტების აგებასთან ერთად შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს ადგილობრივი მეურნეობის მოქმედი ქარხანა-ფაბრიკების რეკონსტრუქციას, მათს აღჭურვას ახალი, მაღალი წარმადობის მოწყობილობებით. მნიშვნელოვანი სახსრები დაიხარჯება სარემონტო-მექანიკური, სამსხმელო-მექანიკური და ხილეულის წყლების ქარხნების, აგრეთვე საკონდიტერო ფაბრიკის გაფართოება-რეკონსტრუქციაზე. ისინი საგრძნობლად გაადიდებენ პროდუქციის გამოშვებას და გაფართოებენ ასორტიმენტს.

უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიური და სატრანსპორტო-მოწყობილობით აღიჭურვება ოჩხამურის აგურ-კრამიტის ქარხანა, რის შედეგადაც არა მარტო გადიდდება აგურისა და კრამიტის გამოშვება, არამედ მკვეთრად გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხიც.

ამ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება. კიდევ უფრო დიდი პერსპექტივები ისახება შვიდწლიანი გეგმით რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის წინაშე. შვიდწლედის მანძილზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდება შიდარეზერვების გონივრული გამოყენებისათვის. ამასთან დაკავშირებით ფართოდ გაიშლება ირიგაციულ-მელიორაციული სამუშაოები. სახელდობრ, მთიან რაიონებში ათვისებული იქნება ოთხი ათასი ჰექტარი სარწყავი მიწა, ხოლო ქობულეთის რაიონში ჭაობების ამოშრობის მეოხებით მიწის ფონდს შეემატება რვაასი ჰექტარი ფართობი. ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების გაშენემ 135 კილომეტრზე დაირგვება ქარსაფარი ხოლი. მდინარე ჭოროხის დელტაზე იმის გამო, რომ მდინარე ვიწრო კალაპოტში ჩაიკეტა, 700–800 ჰექტარი მიწა გათავისუფლდა, სადაც მოეწყობა დიდი საბოსტნე მეურნეობა და დაითესება მეცხოველეობის საკვები კულტურები. შვიდწლედში კიდევ უფრო გაიზრდება სუბტროპიკულ კულტურათა პლანტაციები და მათი მოსავლიანობა.

საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად საბჭოთა ჩაის პირველი სამშობლო — აჭარა ჩვენს ქვეყანას აძლევს მაღალხარისხოვან ქართულ ჩაის. 1965 წლამდე აჭარის ჩაის პლანტაციებს კიდევ შეემატება ერთი ათასი ჰექტარი ჩაის ახალი ფართობი. შემდგომ გაიზრდება მისი მთლიანი და საშუალო საჰექტარო მოსავალი. შვიდწლედში გათვალისწინებულია საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიიღონ სულ ცოტა ხუთი ტონა ჩაის ფოთოლი, ხოლო 1965 წელს სულ დამზადდეს არანაკლებ 30 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად 1958 წლის 23.531 ტონისა.

ჩაის კულტურის შემდეგ დიდი შემოსავლია-

ნობით რესპუბლიკაში პირველი ადგილი ციტრუსოვნებს უჭირავს. ამჟამად აჭარა იძლევა მთელი საქართველოს ციტრუსოვანთა ნაყოფის ორმესამედს. შვიდწლიანი გეგმით ციტრუსოვანთა ფართობს კიდევ ერთი ათასი ჰექტარი მიემატება. გაიზრდება მოსავლიანობაც და 1965 წლისათვის დამზადდება ექვსასი მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ნაცვლად 1958 წლის 407 მილიონი ცალისა.

200 ჰექტარზე გაშენდება დაფნის პლანტაცია, ამასთან პლანტაციების მოვლა-გაუმჯობესებისა და მისი რაციონალური ექსპლოატაციით საგრძნობლად გადიდდება მოსავლიანობა.

მნიშვნელოვნად გაიზრდება ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების წარმოება. ქობულეთის რაიონში 200-250 ჰექტარზე გაშენდება სპეციალიზებული მებოსტნეობის მეურნეობა.

დიდი პერსპექტივები ისახება შვიდწლედში მთიანი რაიონების წინაშეც. ახლა, როცა ამ რაიონებს თვალს გადაავლებთ, უმალვე გაგახსენდებათ გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის ვახუშტის სიტყვები: „...და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი". ამჟამად ვაზს მთიან რაიონებში ოთხას ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია. შვიდწლედში კიდევ ექვსასი ჰექტარი ახალი ზვრები გაშენდება და 1965 წელს ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების მევენახეები ერთი ათას ჰექტარ ვენახში სულ ცოტა ოთხი ათას ტონა ძვირფას საღვინე და სასუფრე ყურძენს მოიწევენ.

1959-1965 წლებში ხეხილის ფართობი გაიზრდება ორი ათასი ჰექტარით, საგრძნობლად გადიდდება მოსავლიანობა და შვიდწლედის ბოლოს დამზადდება სულ ცოტა ოცი ათასი ტონა ხილი, განთქმული თავისი გამძლეობით, სიტკბოთი და სურნელებით.

მაღალი არომატულობითაა ცნობილი აჭარის თამბაქო; შვიდწლედში კიდევ 270 ჰექტარით გაიზრდება მისი ფართობი და 1965 წლის ბოლოს დამზადდება სულ ცოტა ორი ათას ხუთასი ტონა ხარისხოვანი თამბაქოს ფოთოლი.

ყურძენი, ხილი და თამბაქო კიდევ უფრო გაადიდებს მთიანი რაიონების კოლმეურნეობათა შემოსავალს, აამაღლებს და განამტკიცებს მათ ეკონომიკას.

შვიდწლიანი გეგმა ისახავს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ ზრდას. გაუმჯობესდება პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, დიდი ყურადღება დაეთმობა საკვები ბაზის შემდგომ განმტკიცებას, სერიოზული მუშაობა განხორციელდება საზაფხულო საძოვრების კეთილმოწყობისათვის, გაძლიერდება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

ამ ღონისძიებათა განხორციელებით შვიდწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება. ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიღებული იქნება ორმოცდაათი ცენტნერი ხორცი და 270 ცენტნერი რძე, საფურაქე ძროხის წველადობა გადიდდება საშუალოდ 1.700 კილოგრამამდე.

ახალი შვიდწლედი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღორძინებისა და აყვავების შვიდწლედია.

1959-1965 წლების მანძილზე სერიოზული ღონისძიებები განხორციელდება ტრანსპორტის დარგშიც. ახალი გზების გაყვანისა და მათი მოვლისათვის დაიხარჯება ათობით მილიონი მანეთი. მარტო ადგილობრივი მნიშვნელობის გზათა მშენებლობისა და რემონტისათვის ათვისებული იქნება 43,5 მილიონი მანეთი, გაყვანილ იქნება ასსამოცი კილომეტრი ახალი გზატკეცილი და გარემონტდება ორას ოცდათხუთმეტი კილომეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზა, საგრძნობლად გაიზრდება აეტოტრანსპორტის პარკი.

ბათუმის ნავსადგურს მთელ საბჭოთა კავშირში ნავთობის ექსპორტით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს. შვიდწლედში მის გაფართოება-რეკონსტრუქციაზე ორმოცდაათი მილიონი მანეთი დაიხარჯება. 1965 წლისათვის ნავსადგურის ტვირთბრუნვა 42 პროცენტით გაიზრდება. აშენდება ახალი სამგზავრო ვაგზალი, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი არქიტექტურული ნაგებობა იქნება.

შვიდწლედი კულტურის ყველა დარგის აყვავების, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამაა.

საგრძნობლად შეიცვლება აჭარაში სახალხო განათლების ქსელის სურათი. სკოლა უფრო მჭიდროდ დაუკავშირდება ცხოვრებას. გაფართოვდება ისეთი სკოლების ქსელი, რომლებიც წარმოებიდან მოუწყვეტლივ იძლევიან საშუალო განათლებას. თითქმეტჯერ გაიზრდება სკოლა-ინტერნატების რიცხვი. 1965 წლისათვის მოსწავლეთა რაოდენობა 53.800 მაიღწევს. ფართოდ გაჩაღდება სასკოლო მშენებლობა, ქალაქად და სოფლად აიგება სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სბავშვო ბაღების ოცდაცხრა ახალი შენობა.

1959-1965 წლების მანძილზე აჭარაში გაიხსნება ოცი კულტურის სახლი, ოცდაათი სასოფლო კლუბი, ორმოცდათხუთმეტი სასოფლო ბიბლიოთეკა. უახლოეს წლებში დამთავრდება შუახევის რაიონული კულტურის სახლის, ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის, ქობულეთის, ხულოსა და მახინჯაურის კინოთეატრებისა და „კინოპროკატის" აჭარის განყოფილების ფილმების ბაზის მშენებლობა. ქალაქ ბათუმში აიგება ექვსასადგილიანი კე-

თილმოწყობილი ფართოეკრანიანი კინოთეატრი.

სერიოზული ღონისძიებები განხორციელდება სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. 1959-1965 წლებში არსებული საავადმყოფოების გაფართოებისა და ახლის აგების ხარჯზე საწოლთა რაოდენობა გაიზრდება 2.740 ერთეულამდე, ორჯერ და მეტად გაიზრდება ადგილები ბავშვთა ბაგებში.

1958 წელთან შედარებით შვიდწლედში საქონლის ბრუნვა გაიზრდება 62,3 პროცენტით. მარტო აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო ოცდახუთ მილიონ მანეთს დახარჯავს ახალი სავაჭრო ობიექტების მშენებლობაზე, არსებული ქსელის კეთილმოწყობასა და ტექნიკურ აღჭურვაზე.

ხუთწლედების მანძილზე კომუნალური მეურნეობის დარგში ბევრი რამ გაკეთდა. ეს შეიმჩნევა განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში.

შვიდწლედში კიდევ უფრო გაიზრდება და გაფართოვდება კომუნალური მეურნეობა. არნახული ტემპით გაჩაღდება საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ორასი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. დანიშნულებისათვის მარტო ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომი დახარჯავს სამოც მილიონ მანეთს.

დიდძალი სახსრები მოხმარდება ქალაქ ბათუმისა და ქობულეთის წყალსადენის მშენებლობას, ბათუმის საცხოვრებელი ბინების გაზიფიკაციას, დამთავრდება ელექტროქსელის რეკონსტრუქცია და ყველა ბათუმელის ოჯახი ზამთარ-ზაფხულ შეუფერხებლად მიიღებს ელექტროენერგიას.

ფართოდ გაჩაღდება ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები. გაშენდება ახალი სკვერები და ბაღები, მოეწყობა გაზონები, დაიდგმება ახალი ლამპიონები და სხვ.

ასეთია ის პერსპექტივები, რომელთა განხორციელებით მნიშვნელოვნად განვითარდება აჭარის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და კულტურა.

ასეთია ის ციფრები, რომლებიც შვიდწლედის ბოლოს უზრუნველყოფენ ჩვენი რესპუბლიკის ახალ მძლავრ აღმავლობასა და აყვავებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჭანგურია

მოსწავლეთა გნეოგრივი აღზრდა პოლიტექნიკური სწავლებაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობაზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მთელი იდეოლოგიური მუშაობა მოწოდებულია განუვითაროს საბჭოთა ადამიანებს ახალი თვისებანი, აღზარდოს ისინი კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის, ახალი საზოგადოების მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით. კომუნიზმს, ყველაზე სამართლიან და სრულყოფილ საზოგადოებას რომ მივაღწიოთ, როცა მთლიანად გამოჩნდება თავისუფალი ადამიანის ყველა საუკეთესო ზნეობრივი თვისება, საჭიროა უკვე ახლა აღვზარდოთ მომავლის ადამიანი“. ამ დიდ და კეთილშობილურ საქმეს ემსახურება მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლებაც, რამდენადაც პოლიტექნიკური სწავლების სწორად წარმართვისას მოსწავლეებში ყალიბდება საბჭოთა ადამიანის საუკეთესო მორალური თვისებები.

არკვევდა რა შრომის რაობას, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი კ. მარქსი წერდა: „შრომა არის უწინარეს ყოვლისა პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიც ადამიანი თავისი საკუთარი მოქმედებით მოსაშუალეობს, აწესრიგებს და კონტროლს უწევს ნივთიერებათა ცვლას თავისსა და ბუნებას შორის. ბუნების ნივთიერებას თვით ადამიანი უპირისპირდება როგორც ბუნების ძალა. მას მოძრაობაში მოჰყავს თავისი სხეულის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი საკუთარი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს. როცა ის ამ მოძრაობის საშუალებით გარეშე ბუნებაზე ზემოქმედებას ახდენს და ცვლის მას, იგი იმავე დროს ცვლის თავის საკუთარ ბუნებასაც. იგი ავითარებს საკუთარ ბუნებაში მთელემარე სხვადასხვა უნარს და ამ ბუნების ძალთა ლაღ მოძრაობას თავის საკუთარ ნებას უმორჩილებს. ჩვენ აქ შრომის ცხოველისებურ პირველ ინსტინქტურ ფორმებს არ ვეხებით. საზოგადოების იმ მდგომარეობასთან შედარებით, როდესაც მუშა თავისი საკუთარი სამუშაო ძალის გამყიდველად გამოდის საქონლის ბაზარზე, პირველყოფილ ხანას მიეკუთვნება ის მდგომარეობა, როდესაც ადამიანის შრომას ჯერ კიდევ ვერ ჩამოუშორებია თავისი თავდაპირველი ინსტინქტური ფორმა. შრომას ჩვენ ვგულისხმობთ ისეთი ფორმით, რომლითაც იგი მხოლოდ და მხოლოდ ადამიანის კუთვნილებას შეადგენს. ობობა ასრულებს ისეთ ოპერაციებს, რომელნიც ფეიქრის ოპერაციებს მოგვაგონებენ, და ფუტკარი თავისი ფიჭის უჯრედების აშენებით ბევრ ხუროთმოძღვარს გააწბილებს. მაგრამ რაც ყველაზე მდარე ხუროთმოძღვარს იმთავითვე საუკეთესო ფუტკრისაგან განასხვავებს, ეს ის გარემოებაა, რომ ხუროთმოძღვარმა, ვიდრე ფიჭის უჯრედს აშენებდეს, უკვე თავის თავში აშენა იგი. შრომის პროცესის დასასრულს ვღებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე, იდეალურად, უკვე არსებობდა“.[1]

ამრიგად, შრომა ადამიანის არსებობის უპირველესი და ძირითადი პირობაა, მაგრამ კლასობრივად ანტაგონისტურ საზოგადოებაში იგი სასტიკ ექსპლოატაციას განიცდის. მხოლოდ

1 კ. მარქსი, „კაპიტალი“, 1954 წ., ტ. I, გვ. 227-228.

სოციალიზმმა გაათავისუფლა ადამიანის შრომა ექსპლოატაციისაგან და მისცა მას შემოქმედებითი ხასიათი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ადამიანის შეგნებაში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ძველებური დამოკიდებულება შრომისადმი, როცა შრომა მძიმე ტვირთად მიაჩნდათ და უგულებელყოფდნენ მას. შრომის უგულებელყოფა კი გზას უხსნის უსაქმურობას, პარაზიტიზმს, ხდება ბოროტმოქმედების წყარო. ამიტომ ახალგაზრდობის აღზრდას შრომისადმი ახალი, სოციალისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ცხადია, ამ საქმეში დიდია პოლიტექნიკური სწავლების როლი. ასეთი სწავლების პროცესში მოსწავლეებზე დადებით გავლენას ახდენს ზოგადი განათლება, კომუნისტური მსოფლმხედველობა, საზოგადოებრივი აზრი, ინტერესები, ჩვევები და თვით შრომა.

ჩვენი ზოგიერთი დიდაქტიკოსის აზრით, წამყვან როლს არა მარტო შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების, არამედ მოსწავლეთა ზნეობრივ აღზრდაშიც საერთოდ ასრულებს გონებრივი აღზრდა. მაგრამ ჩვენ ასეთი შეხედულება უმართებულოდ მიგვაჩნია. ხომ ფაქტია, რომ ბავშვი სკოლაში მისვლამდეც ყალიბდება მორალურად, თუმცა მას ცოდნა, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ გააჩნია. ის პრაქტიკულად არჩევს ავს კარგისაგან, ბოროტებას — სიკეთისაგან. რომ ცოდნა წყვეტდეს უმთავრესად ადამიანის მორალურ ჩამოყალიბებას, მაშინ უსწავლელ ადამიანს არ უნდა ჰქონოდა ზნეობა, რაც ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. ყველაფერს რომ თავი დავანებთთ, ბევრმა მშობლებზე დაკვირვებით ვიცით, რომ ისინი თუმცა უსწავლელი იყვნენ, მაგრამ უპატიოსნო ადამიანები არ ყოფილან.

ამიტომ მოსწავლეთა მორალურ ჩამოყალიბებაში უპირატესობა უნდა მიეანიჭოთ შრომას, პოლიტექნიკურ სწავლებას, მით უმეტეს, რომ პოლიტექნიკური სწავლების პროცესში შრომა მასწავლებლის სწორი ხელმძღვანელობის შედეგად თავის მხრივაც გავლენას ახდენს მოსწავლეთა საერთო განათლებაზე, ინტერესებზე, იდეურობაზე, ჩვევებსა და ჩვეულებებზე. ამით აიხსნება, რომ პოლიტექნიკური სწავლება არათუ შეიცავს შრომითს ელემენტს, რომელიც წამყვან როლს ასრულებს მოსწავლეთა ზნეობრივ ჩამოყალიბებაში, არამედ ორგანულად უკავშირდება შრომით აღზრდას. მოსწავლეთა მრავალფეროვანი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა I—X კლასებში, ხელგარჯილობა I — IV კლასებში, პრაქტიკული მეცადინეობანი სასკოლო სახელოსნოებში და სკოლის საცდელი მიწის ნაკვეთზე V—VII კლასებში, პრაქტიკუმები მანქანათმცოდნეობაში, ელექტროტექნიკაში და სოფლის მეურნეობის საფუძვლებში VIII—X კლასებში, მოსწავლეთა საწარმოო შრომა ქარხნებში, ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, — ყველაფერი ეს აუცილებელია მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისათვის, კერძოდ, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების გამომუშავებისათვის. მაგრამ საკმარისია მოსწავლეთა გადატვირთვა ფიზიკური შრომით, რომ მივიღოთ სრულიად საწინააღმდეგო შედეგები. ეს საშიშროება უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ.

სისტემატური და ხანგრძლივი პოლიტექნიკური სწავლების გავლენით პედაგოგიკურად, ტექნიკურად და ჰიგიენურად სრულყოფილი ფიზიკური შრომა, ორგანულად შეხამებული გონებრივ შრომასთან, მოსწავლეთა მოთხოვნილების საგნად იქცევა, მათ შეუყვარდებათ შრომა და ამავე დროს თანდათანობით ჩამოუყალიბდებათ ექსპლოატაციისაგან თავისუფალი სოციალისტური შრომის იდეა. თავისთავად ცხადია, რომ ეს ურთულესი მოვლენა არ ხდება მეტაფიზიკურად და სტიქიურად.

სოციალისტური შრომის იდეის გამომუშავებაზე გავლენას ახდენს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემა, მასწავლებელი მისთვის მინიჭებული წამყვანი როლით და მოსწავლეთა აქტიურობით. პოლიტექნიკურად აღზრდილ მოზარდ თაობას არათუ შერცხვება მოზრდილ ასაკში ფიზიკური შრომისა, არამედ მას მიიჩნევს ღირსებისა და მამაცობის საქმედ.

მოსწავლეთა შრომითს აღზრდასა და პოლიტექნიკურ სწავლებას განუყრელად უკავშირდება აგრეთვე შეგნებული დისციპლინის განმტკიცება. ამიტომ სამუშაო ოთახებსა და სასწავლო სახელოსნოებში, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებზე, საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსწავლეთა შესაძლისი და პედაგოგიკურად მიზანშეწონილი შრომის ორგანიზაცია უნდა განვიხილოთ როგორც მოსწავლეთა დისციპლინიანობის აღზრდის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება.

დაკას არ იწვევს ის გარემობა, რომ შეგნებული დისციპლინის აღზრდას ჩვენი სკოლა აღწევს არა ცალკეულ ღონისძიებათა ან საგანგებო საშუალებათა გამოყენებით, არამედ მეცნიერულად გამართული სასწავლო-აღმზრდელობითი და ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის გავლენით. მაგრამ მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის აღზრდის ფესვები უფრო შორს მიდის და მჭიდროდ უკავშირდება კომუნიზმის მშენებლობას, ცხოვრებას. კომკავშირის III ყრილობაზე ვ. ი. ლენინმა ეჭვის ქვეშ დააყენა ისეთი სწავლება,

აღზრდა და განათლება, რომელიც ჩაიკეტება მხოლოდ სკოლაში და მოწყვეტილი იქნება ცხოვრებას.

გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგის ა. ს. მაკარენკოს თეორია და პრაქტიკა შეგნებული დისციპლინის აღზრდის საკითხებზე გამომდინარეობს ლენინის სწორედ ამ დებულებიდან.

მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის აღზრდაზე გავლენას ახდენს პედაგოგიური პროცესი, მისი ფართო გაგებით, რომლის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს პოლიტექნიკური სწავლება.

შეგნებული დისციპლინის პირველი ელემენტი „შეგნებულობა" უპირველეს ყოვლისა გულისხმობს პიროვნების დამოკიდებულებას სოციალური გარემოსადმი. ვინაიდან ჩვენი გარემო სოციალისტურია, პიროვნების დამოკიდებულება ამ გარემოსადმი გამოიხატება კომუნისტურ იდეურობასა და კომუნისტურ საქმიანობაში. სწორედ ამით განსხვავდება შეგნებული დისციპლინა იძულებითი დისციპლინისაგან. მაგრამ შეშჩნეულია ტენდენციაც, როდესაც ცნებას „შეგნებული" დისციპლინის მიმართ აიგივებენ ცნებასთან „მოსაზრებული" ან „გააზრებული". მოსაზრებული და გააზრებული შეიძლება იქნეს როგორც დადებითი, აგრეთვე უარყოფითი მოვლენაც. მშრომელთა ექსპლოატაციას კაპიტალისტი აწარმოებს მოსაზრებულად, ბოროტმოქმედიც დანაშაულს სჩადის მოსაზრებულად. ამდენად მოსაზრებული ან გააზრებული მხოლოდ მაშინ გამოხატავს შეგნებულობას, თუ იგი წარმოებს კომუნისტური იდეურობის საფუძველზე. ამას ხაზი უნდა გაესვას.

მეორე ელემენტი დისციპლინისა, გულისხმობს პიროვნების ნებისყოფას და შრომითს აქტიურობას. შეიძლება პიროვნებას გააჩნდეს შეგნებულობა, მაგრამ ეს უკანასკნელი ატარებდეს მშვრეტელობითს ხასიათს. პიროვნების ნებისყოფა და შრომითი აქტიურობა კი ახდენს შეგნებულობის პასიურობის, მისი მშვრეტელობითი ხასიათის ნეიტრალიზაციას.

საკითხი, პოლიტექნიკური სწავლების რომელი ელემენტი როგორ გავლენას ახდენს შეგნებული დისციპლინის მხარეებზე, როგორც ვხედავთ, არც ისე ადვილია. ბუნების მოვლენების შესწავლა-განზოგადება საფუძველს უქმნის მოსწავლის დიალექტიკურ აზროვნებას, საზოგადოებრივ მოვლენებში გარკვევას და კომუნისტური იდეების გამომუშავებას, ე. ი. შეგნებულობის ელემენტებს. პრაქტიკუმები ხოფლის მეურნეობაში, მანქანათმცოდნეობასა და ელექტროტექნიკაში, შრომა საწარმოებსა და კოლმეურნეობებში იძლევა ბუნების მოვლენებისა და მათი კანონების კონკრეტიზაციას და უზრუნველყოფს თეორიის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. პოლიტექნიკური სწავლების ელემენტები — ხელოვნება, ხეზე და ლითონზე და სკოლის საუფლო ნაკვეთზე მუშაობა, აიარაღებენ რა მოსწავლეებს პრაქტიკული მუშაობის ჩვევებით, ამავეენ მათ მიზანშეწონილ, წინასწარ დაგეგმილ მოქმედებას, უვითარებენ აღებული ან ლოგიკურად დასაბუთებული დავალების შესრულების უნარს, დაბრკოლებათა გადალახვის შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ, განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მოსწავლის ნებისყოფაზე, მის გონებითარებაზე.

ამრიგად, პოლიტექნიკური სწავლების უმნიშვნელოვანესი ელემენტი — საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა წარმოადგენს მთლიანი პიროვნების ჩამოყალიბების ძლიერ მნიშვნელოვან საფეხურს, სადაც გრძნობები, აზროვნება, შეგნება და საქმიანობა, გონებრივი და ფიზიკური შრომა კოორდინაციას განიცდის.

ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტექნიკურ სწავლებას მოსწავლეთა აღზრდაში კოლექტივიზმის სულისკვეთებით. დიდი ლენინის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ნ. კ. კრუპსკაია პირველი იყო, რომელმაც მარქსისტულ-ლენინურ პედაგოგიკაში ყოველმხრივ განიხილა კოლექტივიზმის აღზრდის პრობლემა და საფუძველი ჩაუყარა პედაგოგიკის ისტორიაში გაუგონარი მასშტაბით მის რეალიზაციას. აღსანიშნავია, რომ მოზარდობის აღზრდისა და სწავლების კოლექტიური ფორმა საკლასო-საგაკვეთილო სისტემის სახით პირველად მთელ მსოფლიოში შემოილო ეფიმი მთაწმინდელმა 1060-1065 წლებში. მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ, მეჩვიდმეტე საუკუნეში საკლასო-საგაკვეთილო სისტემა ხელახლა დამოუკიდებლად აღმოაჩინა იან ამოს კომენსკიმ და დაუპირისპირა იგი სწავლა-აღზრდის იმდროინდელ ინდივიდუალურ ფორმას. რა თქმა უნდა, განსხვავება კოლექტივის გაგებაში ჩვენსა და კომენსკის შორის პრინციპულია. კომენსკის კოლექტივს განსაზღვრავდა იდეურობა ქრისტიანული კომუნიზმის სახით, ჩვენი კოლექტივისათვის კი იდეურობა მეცნიერულ კომუნიზმში მდგომარეობს.

მართალია, საბჭოთა პედაგოგიკამ ლენინურად შეისწავლა კოლექტივიზმის აღზრდის თეორია საერთოდ, მაგრამ მისი აღზრდა პოლიტექნიკური სწავლების ზეგავლენით ჯერჯერობით შეუსწავლელია. ამას ყველანი ვგრძნობთ, მაგრამ ამ ჩამორჩენის გამოსწორება არც ისე ადვილი საქმეა. სასკოლო სისტემის რეორგანიზაცია — ცხოვრებასთან სკოლის კავშირის გაძმტკიცება უსათუოდ აამაღლებს პედაგოგიური დარგების შემეცნებით უნარიანობას და მოსწავლეთა კოლექტივზე დღემდე ერთადერთი სიტყვიერი გავლენის მეთოდს ერთობლივ-

ში, სისტემაში მოიყვანს საქმიანობის მეთოდიან.

პოლიტექნიკური სწავლების პროცესში მოსწავლეთა ჯგუფები ერთმანეთთან დაკავშირებული უნდა იყონ არა მარტო მეცადინეობის დროს, არამედ შრომის პროდუქციის შექმნის პროცესშიც. მაღალ ტექნიკურ ბაზაზე გამართული თანამედროვე წარმოება თავისი ბუნების მიხედვით გამოსაშვები პროდუქციის შექმნის პროცესში აბამს ათასობით სხვადასხვა სპეციალობის ადამიანს, რომლებიც ამბავენ ბუნებისა და იდეურობის მიხედვით თანაშრომლობენ, ე. ი. ყალიბდებიან კოლექტივებად. ჩვენი აზრით, სწორედ ამ მომენტს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება და მივაღწიოთ იმას, რომ ამა თუ იმ მოსწავლემ მეტ შემთხვევაში იმუშაოს ისეთ დეტალზე, რომელსაც ამავე ჯგუფის მოსწავლეები გამოიყენებენ რომელიმე ნელსაწყოს, საგნის თუ აპარატის შესაქმნელად. ამისათვის მოსწავლეები ბუნებრივად ჩაებმებიან ერთიან საწარმოო პროცესში, ერთმანეთს ანგარიშს გაუწევენ, ერთმანეთს დაეხმარებიან, თანაც ერთმანეთს გააკონტროლებენ და როგორც თვითეული მოსწავლის, ისე მთელი ჯგუფის ქცევა ცხოველმყოფელ ხასიათს მიიღებს. ანალოგიურად უნდა ჩატარდეს პოლიტექნიკური მეცადინეობა სოფლის მეურნეობაშიც და უმცროსი ასაკის ბავშვებთანაც კი ხელგარჯილობის გაკვეთილებზე. წლების მანძილზე ასეთი შემოქმედებითი ვარჯიშის შედეგად აღნიშნული თვისებები ჯერ ჩვევებად იქცევიან, ხოლო შემდეგ ჩვეულებად და მოსწავლეთა ჯგუფის ნაცვლად ჩვენ მივიღებთ მთლიან შეკავშირებულ მოსწავლეთა კოლექტივს.

ეჭვი არ არის, პოლიტექნიკური სწავლების ასეთი ორგანიზაციით ჩვენ თანდათანობით დავნერგავთ მოსწავლეთა კოლექტივში იდეას — „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის!“ და ღირსეულად აღვზრდით კომუნიზმის მშენებელთა მომავალ თაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲐᲠᲒᲝ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ

აჭარის მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში გარკვეული როლი შეასრულეს ქალებმა. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ არალეგალური სტამბების მოწყობაში, ავრცელებდნენ რევოლუციურ ლიტერატურას, მუშათა შორის ეწეოდნენ პროპაგანდას მეფის მთავრობისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

თავდადებული ქართველი ქალის მაღალი მორალური თვისებები გამოამჟღავნეს დესპინე შაფათავამ, ნატალია კირთაძემ, კატო ავალიანმა, მაგდანა მგელაძემ, ვერა ლომჯარიამ, ნუცა მოდებაძემ და სხვებმა. მათ შორის საპატიო ადგილი უკავია თავდადებულ რევოლუციონერ ქალს დესპინე შაფათავას, რომელმაც თავისი შინაარსიანი სიცოცხლე თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა.

დ. შაფათავას გარევოლუციონერებაში დიდი როლი შეასრულა მისმა მეუღლემ ივლიანე შაფათავამ, რომელიც თავიდანვე მონაწილეობდა რევოლუციურ მოძრაობაში.

რევოლუციურმა გამოსვლებმა ბათუმში მასობრივი ხასიათი მიიღო 1901 წლიდან, როცა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია და გამოიყო ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტი.

რსდმპ ბათუმის კომიტეტი ხშირად აწყობდა კრებებსა და თათბირებს ივლიანე შაფათავას ბინაზე, რომელსაც ყოველთვის დესპინე მეთვალყურეობდა, ხოლო როდესაც მათი ოთახის მეზობლად, ძმების ილარიონ და დარისპან დარახველიძეების ბინაზე ბათუმის კომიტეტმა არალეგალური სტამბა გამართა, შრიფტის, სტამბის ნაწილების გადატანა და არალეგალური ლიტერატურის გავრცელება დესპინეს დაავალეს.

„დესპინე შაფათავა, საკმაოდ გარკვეული მუშათა მოძრაობის საკითხებში, დიდ დახმარებას უწევდა ბათუმის კომიტეტს. იგი არალეგალური მუშაობის თითქმის ყველა საკითხებთან იყო დაკავშირებული“.[1]

დესპინე შაფათავამ მონაწილეობა მიიღო 1902 წლის 9 მარტის პოლიტიკურ დემონსტრაციაში, რომელიც მოაწყო რსდმპ ბათუმის კომიტეტმა.

9 მარტს დილით პირველნი გამოვიდნენ როტშილდისა და მანთაშევის ქარხნის მუშები. მათ მალე შეუერთდნენ სხვა საწარმოთა მუშები. დემონს-

1 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 5, ს. 100.

ტრანტების გვერდით იყვნენ რევოლუციონერი ქალები, მათ შორის დესპინე შაფათავა.

ადგილობრივმა ხელისუფლებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყვანეს ჯარები. ისინი მხეცურად გაუსწორდნენ მუშებს — მოკლეს 15 მუშა, დაჭრეს 50.

დესპინე შაფათავა ხედავდა, თუ როგორ ეცემოდნენ ტყვიით განგმირული მუშები და ესმოდა მათი სიტყვები: „ეს ჩვენ, თქვენ კი, ძმებო, განაგრძეთ თქვენი საქმე". იგი, თითქოს ამას ელოდაო, არ დაიბნა, შემოიკრიბა იქ მყოფი ქალები და მათი დახმარებით დაჭრილები გაგზავნა სამხედრო ჰოსპიტალში, ხოლო დახოცილები ქალაქის საავადმყოფოში მიასვენა.

1902 წლის 9 მარტის დემონსტრაციით ბათუმის კომიტეტმა პრაქტიკულად განახორციელა გაფიცვის შეერთება პოლიტიკურ დემონსტრაციასთან. ამ დემონსტრაციამ ერთხელ კიდევ დაარწმუნა მშრომელი მასები, რომ თვითმპყრობელობაზე გამარჯვების ერთადერთი გზაა გადამწყვეტი შეიარაღებული ბრძოლა.

1902 წლის 12 მარტს ბათუმის კომიტეტმა მოაწყო 9 მარტის მსხვერპლთა დაკრძალვა, რომელიც გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. დაიბეჭდა პროკლამაცია, რომელიც სამარცხვინო ბოძზე აკრავდა თვითმპყრობელობას და მუშებს მოუწოდებდა, სისხლი აიღეთო.

დესპინე სხვა რევოლუციონერ ქალებთან ერთად მიჰყვებოდა პროცესიას და, ჟანდარმების მეთვალყურეობის მიუხედავად, გზადაგზა ავრცელებდა პროკლამაციებს.

პოლიციამ ოცდაერთ მოწინავე მუშასთან ერთად დააპატიმრა დესპინეს ქმარი ივლიანე და მოათავსა ბათუმის საპატიმროში.

ბათუმის კომიტეტმა პატიმარ მუშებთან კავშირის დამყარება და მათი სურსათ-სანოვაგით მომარაგება დესპინე შაფათავას დააკისრა. „აგრეთვე ეწევა აგიტაცია-პროპაგანდას ქალაქის მუშებს შორის, ატარებს კრებებს, თათბირებს. თათბირის მონაწილეებს აცნობს ბათუმის კომიტეტის გადაწყვეტილებებს".[1]

დესპინე ბათუმის კომიტეტის დავალებით არალეგალურ ლიტერატურას ავრცელებდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოს გლეხურ რაიონებში. ყოველდღიურად ახალ-ახალ დავალებას აძლევდნენ დესპინეს, რომელსაც ნათლად ესახებოდა მშრომელი ხალხის წმინდა საქმე და იგი თავისი შინაგანი რწმენით, გულითა და გონებით სამუდამოდ შეუერთდა იმ ადამიანებს, რომლებსაც მტკიცედ გადაეწყვიტათ უსამართლობის მოსპობა.

რსდმპ ბათუმის კომიტეტის პროკლამაციები საგონებელში აგდებდა ჟანდარმერია-პოლიციას. ისინი დაძრწოდნენ მუშათა უბნებში, რათა აღმოეჩინათ არალეგალური სტამბა. ეჭვი მიიტანეს შაფათავებისა და დარახველიძეების ბინაზე. პოლიცია-ჟანდარმერიის საეჭვო მეთვალყურეობა შეუმჩნეველი არ დარჩა დესპინეს და ამის შესახებ აცნობა ბათუმის კომიტეტის წევრებს. ბათუმის კომიტეტმა არალეგალური სტამბა დროებით გადაიტანა ი. კეჭეხმაძის ბინაზე.

„რაკი არალეგალური სტამბის აღმოჩენა ვერ შეძლეს, ჟანდარმებმა მთელი იერიში დესპინეზე გადაიტანეს. მათ იცოდნენ, რომ იგი დაკავშირებული იყო არალეგალურ სტამბასთან და იცოდა მისი ადგილსამყოფელი, რამდენჯერმე გაჩხრიკეს მისი ბინა, ბევრჯერ გამოიძახეს ჟანდარმთა სამმართველოში, სადაც სცემდნენ კიდეც დაკითხვის შემდეგ, მაგრამ თითონ ამის შესახებ არაფერს ამბობდა, რადგან იგი იყო ურყევი... მან გაიარა კონსპირაციის კარგი სკოლა".[2]

უკანასკნელად დესპინე საპოლიციო

1 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 5, ს. 196.
2 იქვე, ფ. 4, ს. 12.

სამმართველოში 1902 წლის მაისის ბოლო რიცხვებში გამოიძახეს. დაკითხვით რომ მიზანს ვერ მიაღწიეს, სასტიკად აწამეს. მაგრამ ამაოდ, არალეგალურ სტამბას ვერ მიაკვლიეს.

აუტანელი წამებით ფიზიკურად დაუძლურებული და დაავადებული რევოლუციონერი ქალი ორი წლის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 1904 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში ქალაქის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

რსდმპ ბათუმის კომიტეტმა დესპინე შაფათავას დაკრძალვის დღე გადააქცია პოლიტიკურ დემონსტრაციად.

„21 დეკემბერს, გასვენების დღეს აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი ქალაქის საავადმყოფოსთან. გამოასვენეს მიცვალებული, კუბო მიჰქონდათ ქალებს. ხალხი დაიძრა მარსელიოზას სიმღერით, რომელიც სასაფლაომდე არ შეწყვეტილა. ხალხი გზადაგზა ემატებოდა. სამგლოვიარო პროცესიას მთავრობამ ცხენოსანი სტრაჟნიკები გააყოლა. სასაფლაოზე ედუკი ფირცხალაიშვილმა წარმოთქვა სიტყვა. ჩაფრებმა სცადეს წინააღმდეგობის გაწევა და მუშების გაფანტვა, მაგრამ ამჯერად მუშებმა მათ წინააღმდეგობა გაუწიეს. დემონსტრაცია დამთავრდა მუშებსა და პოლიციის მოხელეებს შორის შეიარაღებული შეტაკებით“.[1]

დესპინე შაფათავას გარდაცვალებამ რევოლუციური მგზნებარებით აღანთო აჭარის მშრომელები. გაძლიერდა გაფიცვები, დემონსტრაციები, ემზადებოდნენ შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად.

ახლა, როდესაც საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული მიღწევებით აღფრთოვანებული ჩვენი ქვეყნის ქალები სულ უფრო ზრდიან თავიანთ წვლილს კომუნიზმის მშენებლობაში, მგზნებარე რევოლუციონერი ქალის დესპინე შაფათავას გმირული საქმეები მოგვიწოდებენ კიდევ მეტი თავდადებით ვიბრძოლოთ კომუნიზმის გამარჯვებისათვის, მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

1 ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 5, ს. 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნესტორ პაიჭაძე

ეგნატე ნინოშვილი ბათუმში

დაბადების ასი წლისთავის გამო

ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფიიდან, რაც შეტწილად სასკოლო სახელმძღვანელოებში ამოგვიკითხავს, ვიცით, რომ იგი ერთ დროს ბათუმში, როტშილდის ქარხანაში მუშაობდა, მაგრამ მისი აქ ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალები ფართო საზოგადოებრიობისათვის არც ისე ცნობილია. ძველ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა ლიტერატურულ წყაროებში მიმობნეული მასალები და არქივებსა და მუზეუმებში დაცული დოკუმენტები კი ამ მხრივ მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდიან.

ნინოშვილის ბათუმში ცხოვრების ეპიზოდები ემთხვევა გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დამლევს და ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგს. როგორც ცნობილია, ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი ჩვენი ხალხის ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების ისტორიაში, პერიოდი კაპიტალიზმის აღმავლობის, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა საქართველოში და, კერძოდ, ბათუმში. ეს არის პერიოდი, როცა თურქთა სამასწლოვანი ბატონობისაგან ახალგანთავისუფლებულ ჩვენს ქალაქში სწრაფად იწყეს აღმოცენება კერძო კაპიტალისტურმა საწარმოებმა. ზედიზედ იგებოდნენ ქარხნები როტშილდისა, მანთაშევისა, სიდერიდისისა და სხვათა.

დასავლეთ საქართველოს სოფლებში ხმა გავარდა, ბათუმს მუშახელი სჭირდებაო და გურიიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან დაიძრა სოფლად კაპიტალიზმის შეჭრის შედეგად გაპროლეტარების გზაზე დამდგარი გლეხები სამუშაოს საძებრად.

ქალაქს „ფულის საშუარში“ ჩამოვიდნენ უმეტესად ახალგაზრდები. ამ ტალღას ჩამოჰყვა ბათუმში ეგნატე ნინოშვილიც, თუმცა იგი არ ეკუთვნოდა გლეხობის იმ მასას, რომელიც ქალაქში მხოლოდდამხოლოდ ლუკმა პურისათვის მიდიოდა. მას უფრო დიდი მიზანი ჰქონდა: იგი, უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდა, უღარიბესი გლეხობის წრიდან გამოსული ინტელიგენტი, ბავშვობიდანვე უკიდურეს ხელმოკლეობაში აღზრდილი და მინიმალურ საარსებო საშუალებებს მოკლებული, თავისი ცოდნის გაღრმავებასა და უმაღლესი განათლების მიღებაზე ოცნებობდა და ბათუმი თავისი საწარმოებით მას ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ფულის დაგროვების წყაროდ ესახებოდა.

ამიტომ იყო, რომ 21 წლის ახალგაზრდამ თავი მიანება პირველ სამსახურს — სოფლის მასწავლებლობას და დაიწყო სამუშაოს ძებნა „იმ დროს ახალდაწყებულ ბათუმის რკინიგზაზე“.

არაფერი გამოვიდა. ფული ვერ დააგროვა. განზრახული სწავლის განგრძობა გადაიდო.

1886 წლის ნოემბერსა თუ დეკემბერში ეგნატემ წერილი მიიღო საფრანგეთიდან, ქალაქ მონპელიედან. იქ მყოფი ქართველი სალარიძე სწერდა — ჩამოდი მონპელიეში, ფულზე ნუ შეწუხდები, აქ სხვა ქართველებიც არიან და ჩემთან იცხოვრებო.

მართლაც, 27 წლის ეგნატე ინგოროყვა თავის მეგობარ სამსონ კანდელაკთან ერთად გამგზავრებულა საფრანგეთში. წავიდნენ ერთობ ხელცარიელნი, მხოლოდ გზის ფულის შეგროვება შეძლეს. მაგრამ ჩავიდნენ მონპელიეში და სალარიძე იქ არ დაუხვდათ, ყენე-

ვაში გადასულიყო. გაჭირდა საქმე. ახალჩასულთ იქაურმა ქართველებმა ფიზიკური საშუშაო უშოვეს, მაგრამ ეგნატემ მუშაობა ვერ შეძლო და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა.

„...რომ აქ დავრჩეთ, თვითეულს თვეში ოცდახუთმეტი მანეთი მოგვინდება. ამა იფიქრე, ოცდახუთმეტ მანეთს მე ვინ გამომიგზავნის“, — წერდა ეგნატე თავის მოამაგე ბიძას ალექსი ინგოროყვას და თან სთხოვდა, თუ გაახერხო, შინ რომ მომიყვანოს, იმდენი ფული გამომიგზავნეო. პირველ წერილს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე.

სხვა საბუთები რომ არ იყოს, ალექსი ინგოროყვასადმი გამოგზავნილი ეს წერილებიც ნათლად მეტყველებენ, რომ ეგნატეს ამ დროს ბათუმში ჰყოლია ახლო მეგობრები და ეს მეგობრები ყოფილან ძმები სიო და ბესარიონ კალანდაძეები. „კალანდაძეებთან (ბესარიონთან და სიოსთან) მიდი ბათუმში და ისინი ყველაფერს გასწავლიან“. „კალანდაძეებთან ჩადი ბათუმში და ისინი გაახერხებენ რამეს“. „კალანდაძეებმა, საზოგადოებამ ან ვინმემ შემწეობა თუ არ აღმომიჩინოს, არ იფიქრო, გულში არ გაივლო, შენ ჩემი აქ დარჩენა შეგეძლოს“, — იწერებოდა ეგნატე.

ასე, ბიძასადმი მინაწერ თითქმის ყველა ბართში ახსენებს ეგნატე ამ კალანდაძეებს.

ვინ იყვნენ ეს კალანდაძეები, რომლებზეც ესოდენ დიდ იმედებს ამყარებდა ეგნატე ნინოშვილი?

როგორც ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში მომზადარ მოწაფეთა გაფიცვის თაობაზე სასწავლებლის ადმინისტრაციის მიერ შედგენილი დაკითხვის ოქმიდან ჩანს, სიო, ბესარიონ, გერონტი კალანდაძეები ეგნატეს სკოლის ამხანაგები ყოფილან, შემდეგში ბათუმში წამოსულან და როტშილდის ქარხანაში მოწყობილან. იმ დროის კვალობაზე ისინი საკმაოდ განათლებული პირები ჩანან. თანამედროვენი მათ იგონებენ, როგორც მოწინავე იდეებით გამსჭვალულ ახალგაზრდებს, რომლებიც ინტერესს იჩენდნენ იმ დროის პოლიტიკური, ეკონომიური და ქართულ-რუსული ლიტერატურის საკითხებისადმი, იცნობდნენ ხალხისსურ იდეებს და თანაუგრძნობდნენ მათ. უფრო გვიან მონაწილეობდნენ რუსეთიდან გადმოსახლებული სოციალ-დემოკრატების ლუზინისა და ფრანჩესკის მარქსისტულ წრეში, ხოლო შემდეგ, ახალგაზრდა სტალინის ბათუმში მოღვაწეობის პერიოდში, გერონტი კალანდაძე უკვე მოწინავე რევოლუციონერად ითვლებოდა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აქტივში შედიოდა.

სხვათაშორის, ბესარიონ და გერონტი კალანდაძეები ძმები იყვნენ ნადასი კალანდაძესა, ლამაზი და იმ დროის კვალობაზე კულტურული ქალიშვილისა, რომელსაც ცოტა ადრეც გვიან, 1892 წლის იანვარში პირველს და უკანასკნელს თავის ცხოვრებაში სიყვარული განუცხადა ეგნატე ნინოშვილმა.

როგორც ჩანს, კალანდაძეებს ვერაფერი დახმარება ვერ გაუწევიათ ამჯერად ეგნატესათვის, ვერც სხვებს, ვისი იმედიც ჰქონდა, და იგი 1887 წლის 25 მარტს დაბრუნდა საქართველოში.

1889 წლის ოქტომბრიდან ე. ნინოშვილი კვლავ ბათუმშია. პირველი ათი დღე მას „პრისტანზე“ უმუშავნია შავ მუშად, შემდეგ რამდენიმე დღე ვიღაც „ბურგდარდის ზავოდში“, ხოლო ოქტომბრის დამლევიდან გადასულა როტშილდის ქარხანაში, იმავე. ბესარიონ და გერონტი კალანდაძეების დახმარებით. აქვე მსახურობდა დავით კუბლაშვილი, შემდეგში ეგნატეს უგულითადესი მეგობარი. კუბლაშვილიც განათლებული, ნაკითხი კაცი ყოფილა, თბილისის სასულიერო სემინარიის მეექვსე კლასიდან დათხოვნილი ცნობილი დეკანოზის ჩუდეცკის მიერ. სხვა სამსახური რომ ვერ უშოვნია, 1889 წლის მაისში როტშილდის ქარხნის კანტორაში დაუწყია სამსახური დღიურ სამუშაოზე.

ჩვენ ხელთა გვაქვს დ. კუბლაშვილის „მოგონებანი ეგნატე ნინოშვილზე“, რომელიც 1926 წელს დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ (მაშინ იგი სოფელ ნიკორწმინდის დაწყებითი სკოლის გამგედ მუშაობდა).

„ერთმანეთთან გაცნობის დღიდან ჩვენ ვიყარიდით თავს კალანდაძეების ბინაზე. სადაც ეგნატე ხშირად ღამეებსაც კი ათევდა. — წერს კუბლაშვილი. — ჩვენი ბაასის საგანს შეადგენდა საზოგადო მნიშვნელობის კითხვები: პოლიტიკური, ეკონომიური და საზოგადო ქართულ-რუსული ლიტერატურის საკითხები. უნდა შევნიშნო, რომ ეგნატე ამ საკითხებში საკმაო ცოდნას იჩენდა; ეტყობოდა, რომ ნაკითხი იყო და მაშინაც თვალყურს ადევნებდა რუსულ-ქართულ ლიტერატურას. ამასთანავე ეტყობოდა, რომ ეგნატემ რუსული ენა კარგად იცოდა“.

ბათუმში ცხოვრების ამ ეტაპზე ეგნატე ნინოშვილი ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული მწერალი. თუმცა მისი პირველი ნაწარმოები 1887 წელს დაიბეჭდა „ივერიაში“, მაგრამ ეს („გურიის ამბები“) და სხვა მომდევნო ნაწერები ჯერ კიდევ კორესპონდენციების ხასიათს ატარებდა, თანაც ფსევდონიმით („ეგ-ინ“) იბეჭდებოდა და მას არ შეეძლო პოპულარობა მოეპოვებინა ავტორისათვის.

მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა ე. ნინოშვილს ცხოვრება ბათუმში. „ერთი წლის განმავლობაში, — წერდა ეგნატეს უახლოესი

მეგობარი, შემდეგში ცნობილი რევოლუციონერი და სახელმწიფო მოღვაწე მიხა ცხაკაია გაზეთ „კვალში“ 1894 წელს, — იტანდა შრომა-ჯაფას ქარხნის მუშისას თანაბრად ბრგე და ზორბა რაჰველებისა და არზუმელი სომხებისა. ის ხან ფიცრებს ეზიდებოდა ქარხნის ერთი საწყობიდან მეორეში და ხან ნავთის ყუთებს სჭედდა... მისი სუსტი და გამხმარი ხელები სკდებოდა და სისხლი სდიოდა“...

„იმ წელიწადს, — წერს თვითონ ეგნატე, — ბათუმში ზამთარი მეტად ცუდი, ქარიანი, წვიმიანი იყო. მე დაცვეთილი საზაფხულო ტანსაცმელი მქონდა. უნდა ავმდგარიყავი დილის ოთხ საათზე, ამ საშინელ დარში გამევლო კარგა დიდი მანძილი და მივსულიყავ ზავოდში. ხან ზავოდის კარი დაკეტილი დამხვდებოდა და უნდა მეცადნა გარეთ...“

„მე მგონია, — განაგრძობს ე. ნინოშვილი,— ჩემი ჯანი და სიჯანმრთელე დავღუპე ბათუმში და კანტორაში[1] მუშაობით. ამ დროიდან მოწყებული შემეჩვია ავადმყოფობა და მას შემდეგ იშვიათად ვყოფილვარ კარგად“...

ე. ნინოშვილს როტშილდის ქარხანაში მუშაობა მოუხდა იმ დროს, როცა მუშათა რევოლუციური მოძრაობა ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ცალკეულ პროტესტებსა და მღელვარებებს სტიქიური, არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა.

აი რასა წერს მუშათა ერთ-ერთი ასეთი მღელვარების შესახებ ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი, რომელიც 1890 წელს მუშათა არტელის დასაარსებლად ჩამოსულა ბათუმში:

„...ასე, წირვის დრო იქნებოდა, რომ როტშილდის ქარხნის მუშები ერთიანად შემოვიდნენ ჩემი არტელის კანტორაში და მთხოვეს შუამდგომლობა გამეწია სამხედრო გუბერნატორის თანაშემწესთან, ო. ნ. ერისთავთან, როგორც ქართველ კაცთან. ისინი თხოვდნენ მას პატრონობას როტშილდის ქარხნის უფროსის ზრდილობასის მიერ შეგეწროებისაგან. ერთმა ამ მუშათაგანმა ამოიღო ქაღალდის ნახევი და იქიდან მაგიდაზე გადმომიყარა ორი წაკრილი თითი: „ა, ბატონო, ჩვენი გაჭირვება ამით დაიანახე: თითები აღარ შეგვრჩენია და მკლავებიო. დღენიადაგ ასე წვალებაში ვართ, თერმეტი საათი ვმუშაობთ ქარხანაში, ჩექმები, ტანისამოსი ნავთის ცეცხლში გვეხრაკება, რასაც ჭირას ვიღებთ, ტანისამოსსა და მაშინისაგან მოჭრილ თითების წამალში არ გვყოფნის ლ... იმასაც კი გვინახავრებენო“.

— სად არის ახლა ჩვენი ეგნატე ინგოროყვა, რომ ამას არ ხედავს, მეთაურათ, პატრონად გაგვიხდებაო. — წამოიძახეს მუშებმა, ერთ-ერთმა ჩემ წასაქეზებლად.

— ვინ არის-მეთქი ეგნატე ინგოროყვა?

— იგი ჩვენი ძმაკაცია, ჩვენი ჭირში და ლხინში მოზიარე, ჩვენი მასწავლებელიო. იგი რომ გვყოლოდა, ამას ვერ გვიზამდა ეგ ავი კაცი ზრიდლავსკია თუ ვინცხაა...

— მერე რა იქნა ეგ ინგოროყვა, — ვკითხე მუშებს.

— ავათ გახდა და ქე წავიდა სახლში, თვარა კაი მოგცეს ღმერთმა, კაი მოთავე იგი ჩვენ გვეყოლებოდა ახლა“.

ასე თავიანთ მეთაურად და მასწავლებლად მიაჩნდათ ეგნატე ნინოშვილი ბათუმელ მუშებს გ. წერეთლის გადმოცემით.

ამ შეხედულებას ადასტურებს სხვა წყაროებიც, კერძოდ, ბათუმის რევოლუციის მუზეუმის ფონდებში დაცული ძველ მუშათა, ჩვენი დროის პერსონალურ პენსიონერთა მოგონებები.

ბათუმიდან წასვლის შემდეგ (1890 წ.) ეგნატე რამდენიმე თვეს ზესტაფონში მუშაობდა, ჭიათურის მარგანეცის მრეწველ ღოღობერიძის კანტორაში. აქედან ის ე. წ. „საფილოქსერო დასში“ შევიდა და დაღისტნის პროვინციები და რაჭა-ლეჩხუმი მოიარა, ხოლო შემდეგ ისევ ღოღობერიძის კანტორას დაუბრუნდა გომის სადგურში. ამ პერიოდშიც ეგნატე კავშირს არ წყვეტს ბათუმთან. იგი დროდადრო ჩამოდის აქ და მიწერ-მოწერა აქვს ბათუმელ მეგობრებთან, კერძოდ, იმავე კალანდაძეებთან და დავით კუბლაშვილთან.

გომიდან ეგნატე ისევ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და იქიდან თბილისში წავიდა, სადაც დაახლოებით ერთი წელიწადი ცნობილ მწერალ-მოღვაწეებთან ახლო ურთიერთობაში გაატარა, ხოლო 1892 წლის აპრილში საბოლოოდ დაუბრუნდა ჯუმათს მძიმედ დაავადებული.

ეგნატეს ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. 1894 წლის გაზაფხულის დამდეგს მისი დღეები უკვე დათვლილი იყო. ავადმყოფს აღარ შეეძლო ლოგინიდან წამოდგომა.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ეგნატე 1894 წლის 20 მარტს ჩამოჰყავთ ბათუმში.

აი როგორ აღწერდა ნინოშვილის ამ უკანასკნელ ჩამოსვლას ბათუმში კ. ბ. (კოტე ბერეკაშვილი) თბილისის გაზეთ „მუშაში“ 1923 წლის 13 ივნისს[1]:

„მარტის სუსხიანი დღე იყო.

---

1 ლაპარაკია ჭიათურის შავი ქვის მრეწველის ღოღობერიძის კანტორაზე ზესტაფონში, რომლის გამგედაც ეგნატე მუშაობდა ბათუმიდან წასვლის შემდეგ.

1 ამ დღეს თბილისში, კომუნარების (ყოფილ ალექსანდროვის) ბაღში დაიდგა ეგნატეს ძეგლი. ეს ფაქტი თბილისი გაზეთებმა ფართოდ აღნიშნეს.

აღელვებული ზღვის ტალღები ეხეთქებოდნენ ნაპირებს.

ქალაქის გარშემო მთა-გორაკები თოვლით იყო დაფარული.

ბათუმის ერთ მიყრუებულ ქუჩაზე პატარა სასტუმრო, ნესტიანი და ვიწრო ოთახებით.

ამ სასტუმროს ერთ პატარა ოთახში უნდა მოეთავსებიათ მეგობრებს ავადმყოფი ეგნატე...

სანამ სადგურიდან სასტუმრომდე მოიყვანდნენ, წვიმამ დაასველა იგი.

ავადმყოფს გამხდარი ხელები გულზე ეჭირა. ალბათ იმისათვის, რომ სიცივისაგან დაეფარა.

— რა უჭირს, ჩემთვის კარგი! — ამ სიტყვებით შევიდა ეგნატე გამზადებულ ოთახში და ჩამოჯდა ლოგინზე...

ოთახს ერთი პატარა ფანჯარა ჰქონდა და მის მორთულობას ერთი კროატი, პატარა მაგიდა, სკამი და ლამპა შეადგენდა.

ნესტი და სიცივე კაცს ძვალ-რბილში უჯდებოდა და ოთახში ცეცხლის დასანთები ფეჩიც არ იყო.

სასმელ-საჭმელს იქვე დუქნიდან უზიდავდნენ.

შავ-ბნელი დრო იყო. პოლიცია თვალყურს ადევნებდა, ვინც ეგნატესთან მოდიოდა.

ვერაფერი გავლენა ვერ მოახდინა ბათუმის ჰაერმა ეგნატეს ჯანმრთელობაზე.

მეგობრები დარწმუნდნენ, რომ მას აღარაფერი ეშველებოდა.

თვითონ ეგნატეს ძალიან სურდა თავის სოფელში ჯუმათში დაბრუნება.

სევდით, ჩუმის მწუხარებით გააცილეს მუშებმა და მეგობრებმა ბათუმიდან საყვარელი მასწავლებელი, დიდი კაცი.

„ჩვენ მაგის ნახვას ვეღარ ვეღირსებითო“, მწუხარებით ჩაილაპარაკა ქარხნის ერთმა მუშამ და გადმოღვარა ცრემლები.

მატარებლის ფანჯრიდან ეგნატე ეთხოვებოდა იქაურობას.

ეს იყო მისი უკანასკნელი ყოფნა მის საყვარელ ბათუმში“...

თვითონ ეგნატემ ეს ჩამოსვლა ასე აღწერა ახლო მეგობრის სილიბისტრო ჯიბლაძისათვის გაგზავნილ წერილში:

„20-ს ამ თვეს, როგორც იყო გამოვემგზავრე ბათუმისაკენ, ვესტუმრე ბათუმს, მაგრამ ვაი ამ სტუმრობას. სახლები ბლომათ არის ბათუმში, რომ გვეგონა, სულ მთელ ბათუმში ოთხი ოჯახი აღმოჩნდა ცალკე გასაქირავებელი, ისიც ჩვენი გემოვნების არა. მაგრამ გაიგეს თუ არა, რომ მე ავადმყოფი ვარ, უარი თქვეს, ავადმყოფს ჩვენ სახლში ვერ დავაყენებთო... მივმართეთ „გასტინიცას“. პირველ ღამეს, ღამე იყო რომ მივედით და მიგვიღეს, მაგრამ მეორე დღეს, როცა მიტკლისფერ თეთრს ჩემს „სახესკელეტს“ შეხედეს, გამოგვიცხადეს, შიბრძანდით, ავადმყოფს ნომერს ვერ მივაქცევთ, რადგანაც სხვა პასაჟირები დაგვიფრთხობენ. რაღა გვექნა, მოვიცადეთ დაღამებამდის „ვითომდა კარგა ვერ დაგვინახავენ სახესო“ და დაღამებულში შევატყუეთ თავი ერთ სასტუმროს პატრონს“.

ეს სასტუმრო, რომელსაც მაშინ „გოსტინიცა მოსკვას“ ან „მოსკოვსკიე ნომერას“ ეძახდნენ, ახლაც „ცოცხალია“, მაგრამ იგი სასტუმროს, რასაკვირველია, აღარ წარმოადგენს. ახალი, კეთილმოწყობილი სასტუმროების გვერდით ვეღარ გაუძლია და კარგა ხანია საბინაო ფონდში გადასულა.

აი აქ, ამ სახლის ერთ პატარა ოთახში, რომელზეც ახლა სათანადო მემორიალური დაფაა, 1894 წლის მარტში რამდენიმე დღე დაჰყო სასიკვდილო სარეცელზე მიკრულმა ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა.

დ. კუბლაშვილის ცნობით, სასტუმროში დაბინავებისთანავე ეგნატესთან მოუყვანიათ ექიმი გიორგი ელიავა. მას ყურადღებით გაუსინჯავს ავადმყოფი და უთქვამს: რაღა დაგიმალოთ, მაგას ერთი თვის სიცოცხლე თუ ექნება, მეტს ვერ გასძლებსო...

ავადმყოფის მოვლა თავს უდვიათ დავით კუბლაშვილს და გერონტი კალანდაძეს. „თუ ორივე არა, ერთ-ერთი ჩვენთაგანი უსათუოდ მასთან ვიყავით მუდამ და მარტო ძვირათ ვტოვებდითო“, — წერს კუბლაშვილი.

სასტუმროში ავადმყოფი ეგნატე ხან თავის მომავალ სამოქმედო გეგმებზე ოცნებობდა და ხანაც თავისი ნაწერების შემდგომ გადამუშავება-სრულყოფაზე მუშაობდა. მას თან ჩამოეტანა „კვალის“ ის ნომრები, რომლებშიც „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ იყო დაბეჭდილი. აკითხებდა ამ მოთხრობას გერონტი კალანდაძეს და გზადაგზა აჩერებდა — ზოგან ცალკე სიტყვებს ცვლიდა, ზოგან მთელ ადგილებს ასწორებდა და ამნაირად შეუკეთებია მთელი მოთხრობა. შესწორებები ეგნატეს კარნახით გერონტი კალანდაძეს შეჰქონდა თორმე უკვე დაბეჭდილი მოთხრობის ტექსტში. შესწორებული მოთხრობის გაგზავნას ის აპირებდა ი. გოგიბაშვილთან, რომელსაც განზრახული ჰქონია ნინოშვილის თხზულებათა გამოცემა.

აქიდან, ამ სასტუმროდან, ე. ნინოშვილმა უკანასკნელად მისწერა გულითადი მადლობის წერილები ორ დიდ ქართველ მოღვაწეს — იაკობ გოგებაშვილსა და გიორგი წერეთელს, რომლებმაც მას უკიდურესი ხელმოკლეობის ჟამს გამოუგზავნეს იმ დროის კვალობაზე საკმაოდ მოზრდილი თანხა, პირველმა როგორც „პაწია სამაგიერო იმ დიდი კმაყოფილებისა“, რასაც ნინოშვილის მოთხრობების კითხვა აგრძნობინებდა, ხოლო მეორემ როგორც გაორკეცებული

ჰონორარი „კვალში“ დაბეჭდილი „ჩვენი ქვეყნის რაინდისათვის“.

„ასე სინდისიერად, როგორც თქვენ მომეჭეცით, მე ჯერ არსად არ მომქცევიანო“, სწერდა ავადმყოფი ეგნატე გ. წერეთელს და დასძენდა: „თუ კი რისიმე დაწერა შეეძელი, რა თქმა უნდა, თქვენ გამოგგზავნით. მაგრამ ამ ხანად კი ვერაფერს შეეძლებ. თუ რა ძლიერ ავად ვარ, როცა ვოლსკი ამოვა თბილისს გეტყვის“.

ცნობილი ქართველი პოეტი გრიგოლ ვოლსკი პროფესიით ექიმი იყო და ეგნატეს შეუთვლია, მოდი მნახეო. ეს უკანასკნელიც დაუყოვნებლივ წასულა მასთან... ეგნატესთან მიმავალს გზად შეხვედრია დავით კლდიაშვილი — გამოჩენილი ქართველი მწერალი, რომელიც ბათუმში მსახურობდა. „მითხრა წამოდიო, — იგონებს დ. კლდიაშვილი თავის მემუარებში, — მაგრამ მე საქმე მქონდა და ვეღარ წავყევი, ხვალ წავიდეთ, ხვალ ვინახულოთ, ვუთხარი“.

მეორე დღეს მართლაც მისულა კლდიაშვილი ვოლსკისთან, რათა ორივენი წასულიყვნენ ნინოშვილის სანახავად.

„რა კარგი ქენი, რომ გუშინ არ წამოდი, — უთქვამს ვოლსკის კლდიაშვილისათვის. — გული მომიკვდა მისი ნახვით. ახალგაზრდა კაცი უკანასკნელ დღეშია. თითონაც გრძნობს ამას და ცხარე ცრემლით ტირის, მიშველეთო... რათი უშველოს კაცმა — ჭლექი მორეულია მთელი სიძლიერით. ვინ ოხერი არ დააკედებოდა ზედ, რომ გადარჩენა შესაძლებელი ყოფილიყო, ტირის, რომ ბევრი რამ მირჩება განზრახული, დაუმთავრებელი, დაუბოლავებელი... სიკვდილი კი არა, მუშაობა მწადია, მუშაობა... და ამას ისეთნაირად ამბობს, რომ გული მოგეხარშება. ბევრი ვამშვიდე, მაგრამ ვერ დავამშვიდე ვერასგზითო“.

„მან (ვოლსკიმ — ნ. ჯ.) გადადო საქმეები გვერდზე, — განაგრძობს დ. კლდიაშვილი, — და გავეშურეთ სასტუმროსაკენ, სადაც იწვა ნინოშვილი. მივედით სასტუმროში. მაგრამ ნინოშვილი იქ აღარ დაგვიხვდა, უკანასკნელი მატარებლით იგი სილიბისტრო ჯიბლაძეს წაეყვანა ბათუმიდან თავის სოფელ ჩოჩხათში, რადგან არავითარი იმედი აღარ იყო მისი სიცოცხლის გაგრძელებისა“.

ბათუმიდან წასვლის ორი კვირის შემდეგ ეგნატემ წერილი გამოუგზავნა დ. კუბლაშვილს, თანდათან უარესად ვარ და ექიმი მომაშველეო. კუბლაშვილმა და გერონტი კალანდაძემ მიმართეს გრიგოლ ვოლსკის. მეორე დღეს ვოლსკი და კუბლაშვილი ავიდნენ ჩოჩხათში.

ვოლსკიმ ვერაფერი საიმედო ვეღარ უთხრა ეგნატეს მოამაგე ბიძას ალექსი ინგოროყვას, რომელიც თავისი სახელოვანი ძმისწულის სულთმობრძანებას სასოწარკვეთილებაში ჩაეგდო.

ნინოშვილის ავადმყოფობის ამბავი გავრცელდა მის ნაცნობ-მეგობართა წრეებში. გაზეთებშიც კი აქვეყნებდნენ ცნობებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

„...ნინოშვილი, ეს ჩვენი შესანიშნავი ბელეტრისტი, რომელიც დიდს იმედებს გვაძლევდა, — წერდა „კვალი“, — დღეს ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდნილა. ეს არის ჯიბლაძიდან მივიღეთ მისი ამბავი: „ეგნატე ნინოშვილი ახლა სოფელშია, აქ არჩია დალიოს უკანასკნელი დღეები თავის მწარე სიცოცხლისა. თხუთმეტი დღეა, რაც დავაქერით მის აუტანელ ტანჯვას. ბათუმის ექიმების სიტყვით ის ამ გზაფხულზე ვერ გაატანს...“

მართლაც, ეგნატე ნინოშვილი იმ გაზაფხულზევე გარდაიცვალა — 1894 წლის მაისში.

ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალება მწვავედ განიცადა მთელმა ქართველმა ხალხმა. გაზეთებმა „კვალმა“, „ივერიამ“, „მოამბემ“ და სხვებმა ფართოდ აღნიშნეს ნინოშვილის გარდაცვალება. დაიბეჭდა ბევრი ნეკროლოგი, სტატია, ლექსი, სამძიმრის დეპეშა. საქართველოს ყოველი კუთხიდან იწყო დენა ხალხმა ჯუმათისაკენ საყვარელი მწერლისა და რევოლუციონერი მოღვაწის პატივსაცემად.

„ასეთი საზეიმო დამარხვა, რაც წილად ხვდა ნინოშვილს, ჯერ საქართველოში არ მოსწრებოდა ღარიბ-ღატაკი გლეხის ოჯახიდან გამოსულ მოღვაწესა და მწერალს“ — წერდა ფილიპე მახარაძე 1930 წელს.

ნინოშვილის დასაფლავებაზე ბათუმიდანაც გაიგზავნა დელეგაცია.

მწერლის ცხედართან სიტყვები წარმოთქვეს ძველი თუ ახალი თაობის წარმომადგენლებმა და ეგნატე ნინოშვილი დაახასიათეს, როგორც მშრომელთა გულის მესაიდუმლე, მაშინდელი ახალთაობის მედროშე და ბაირახტარი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აქ, სოფელ ჩანჩეთში, ნინოშვილის ცხედართან მოხდა საქართველოს მარქსისტული ახალგაზრდობის პირველი საჯარო საპროგრამო გამოსვლა.

ახალგაზრდობის ამ ჯგუფს ისტორიამ „მესამე დასი“ შეარქვა, ხოლო „მესამე დასი“ ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი მარქსისტული ორგანიზაცია, რომელმაც დაიწყო მარქსიზმის პროპაგანდა საქართველოში.

ეგნატე ნინოშვილმა, როგორც უახლესი პერიოდის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა და ნიჭიერმა წარმომადგენელმა, თავის მხატვრულ ნაწარმოებებში შესანიშნავად დაგვიხატა ყოველმხრივ დაჩაგრული და

შევიწროებული ქართველი გლეხობის ცხოვრება, მაგრამ მუშათა კლასსა და კაპიტალისტებს შორის არსებული კლასობრივი წინააღმდეგობების ამსახველი ნაწარმოები არ შეუქმნია. ეს კი მისგან ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი, როგორც საქალაქო წარმოებასთან და მუშათა კლასთან ყველაზე უფრო მჭიდროდ დაკავშირებული და მარქსისტულ-რევოლუციური იდეებით გამსჭვალული მწერლისაგან.

მართალია, როგორც ამ ბოლოს უკვე ცნობილი გახდა, ეგნატე ნინოშვილს განუზრახავს დაეწერა ასეთი მოთხრობა, გაშლილი ბათუმის მუშათა ცხოვრების ფონზე, მაგრამ ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. დასაწყისი ამ მოთხრობისა („მუშათა თავშესაფარი") უკვე დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა უკანასკნელ გამოცემებში. ეჭვი არ არის, ნინოშვილის შემოქმედება შემდგომში ამ გზით წარიმართებოდა და იგი სოფლის თემატიკიდან ქალაქის თემატიკაზე — სამრეწველო პროლეტარიატის ცხოვრებისა და ბრძოლის მხატვრულ ასახვაზე გადავიდოდა.

რაც შეეხება ეგნატე ნინოშვილის ადგილს ბათუმის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში, უნდა ითქვას, რომ იგი ბათუმში მუშაობდა იმ დროს, როცა ეს მოძრაობა ჩასასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მუშათა პროტესტები და უკმაყოფილებანი, რასაც მათი აუტანელი ექსპლოატაცია იწვევდა, ჯერ კიდევ სტიქიურ, არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა.

ხალხისათვის თავდადებულ მებრძოლ მწერალს იმის გამო, რომ იგი აქ დიდხანს არ დარჩენილა, საშუალება არ მიეცა სათავეში ჩასდგომოდა ბათუმის მუშათა ორგანიზებულ ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ეს ბრძოლა, ნამდვილი მარქსიზმთან შეერთებული მუშათა მოძრაობა ბათუმში გაჩაღდა ცოტა უფრო გვიან, როცა ბათუმელი მუშები დაირაზმნენ ლენინურ-ისკრული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დროშის ქვეშ ახალგაზრდა სტალინის ხელმძღვანელობით. ეს კი, როგორც ცნობილია, მოხდა ცხრაასიანი წლების დამდეგს, ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებიდან ხუთი-ექვსი წლის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარია თანამედროვეობა

გათუმელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენის გამო

ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მტკიცედ დაიმკვიდრეს ადგილი სამხატვრო გამოფენებმა. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ სამ წელიწადში თანმიყოლებით მოეწყო სამი სამხატვრო გამოფენა. მათგან უკანასკნელი, რომელიც წელს გაიმართა, მიეძღვნა პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობას.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვნახეთ ისეთი სამხატვრო გამოფენა, რომელიც თავისი თემატიკური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით, ნამუშევართა შესრულების მაღალპროფესიული დონით შესამჩნევად გამოირჩეოდა წინათ გამართული ყველა გამოფენისაგან. მისასალმებელია ისიც, რომ გამოფენის კატალოგში გვხვდება ახალი სახელები.

ყველაზე უხვად გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფერწერა, ამასთან თუ წინათ ჩვენი ფერმწერები ძირითადად ერთფეროვანი ეტიუდებით კმაყოფილდებოდნენ, ამჟამად ბევრი მათგანი უკვე ნიჭიერად შესრულებული ფართო თემატიკური ტილოების ავტორად მოგვეელინა.

ფერმწერთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია შ. ხოლუაშვილი. მან ხუთი წლის წინათ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის განყოფილება და ამ ხნის განმავლობაში საკმაო რაოდენობით შექმნა დიდი და პატარა ზომის მხატვრული ტილოები, რომლებიც საშუალებას იძლევიან საკმაო წარმოდგენა ვიქონიოთ მასზე, როგორც საკუთარი მანერისა და ინდივიდუალური სტილის მხატვარზე. შემოქმედების გაელილ გზაზე მხატვარმა შეძლო გამოეელინებინა თავისი მხატვრული ინტერესების სფეროც. ერთი მხრივ, იგი გატაცებულია ისტორიულ-რევოლუციური წარსულით და ამ თემებზე დაწერილ ტილოებში გამოამეღლავნა კომპოზიციისა და ფერწერული ამოცანების საკმაო ცოდნა. მეორე მხრივ, მხატვარი ცდილობს მთელი შესაძლებლობით დაუკავშირდეს თანამედროვეობას, თავისი შემოქმედებითი ძალღონე მიმართოს ჩვენი დღეების მჩქეფარე ცხოვრების ასახვისაკენ. აღსანიშნავია ისიც, რომ შ. ხოლუაშვილს ძლიერ იტაცებს პორტრეტის ჟანრი. ცნობილია, რომ ყველა დროის გამოჩენილი მხატვარი თავს ვერ იკავებდა თანამედროვეთა პორტრეტების ხატვისაგან, რადგან პორტრეტში ყველაზე უკეთესად შეიძლება გამოიხატოს ადამიანის შინაგანი განცდები, მისი მისწრაფებები და სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული განწყობილებები. როდესაც უცქერით შ. ხოლუაშვილის ამ ჟანრის ნაწარმოებებს, თვალნათლივ გრძნობთ იმას, თუ რამ გამოიწვია, რა სურვილმა აღუძრა ამათუიმ ტიპის გამოსახვის ინტერესი. ბევრ შემთხვევაში მხატვარმა ადამიანის ხასიათის სიმართლით გადმოცემის, შინაარსის გამხსნელი პოზების მიკვნებისა და პორტრეტის კომპოზიციური გააზრების თვალსაზრისით თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. კერძოდ, მაყურებლების მეხსიერებაში დიდხანს დარჩება საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის მოცეკვავე კობალაძის (1956 წ.), სტუდენტი ქალიშვილის (1956 წ.), მოხუცის (1955 წ.) და ზოგიერთი სხვა პორტრეტი.

ახლანდელ გამოფენაზე მხატვარმა 13 ნამუშევარი გამოიტანა. მათგან ორი კომპოზიცია საკმაოდ მეტყველებს მხატვრის უნარზე — ჩანაფიქრი გამოსახოს მიმზიდველი ფერებით. ამ ორი კომპოზიციისაგან ერთი ეხება თანამედროვე თემას, ხოლო მეორე — ისტორიულს. ეს უკანასკნელი გადმოგვცემს თურქ დამპყრობთაგან აჭარის განთავისუფ-

ლებას და „ბნელეთის დასასრული“ ჰქვია. სურათი ფერწერულად მიმზიდველია, მაგრამ იმის გამო, რომ დაუმთავრებელია, სქემატურობის ელფერი დაჰკრავს.

შედარებით უფრო სრულყოფილია მხატვრის მეორე ტილო „მზადება ოლიმპიადისათვის“. იგი მხატვარს გადაუწყვეტია გამჭვირვალე, მსუბუქ, ღია ფერებში, რაც კარგად გადმოსცემს პლენერის თვისებებს. ეს თემა, ჩანს, ძლიერ აღელვებს ავტორს, რადგან ამ კომპოზიციის რამდენიმე ვარიანტი გააკეთა. ერთი მათგანი ექსპონირებული იყო თბილისში რესპუბლიკურ გამოფენაზე და ერთმანეთის გამომრიცხველი შეფასება დაიმსახურა. ბოლო ვარიანტში მხატვარმა ფერწერული და კომპოზიციური გადაწყვეტის ერთგვარ სიმაღლეს მიაღწია, თუმცა ზოგი ფიგურა ნატურიდან დახატულის შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

ფერწერულ პორტრეტში „საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. კობალაძე დ. შევარდნაძის როლში (გრ. ბერძენიშვილის პიესა „დაჭრილი არწივი“)“ შ. ხოლუაშვილს ორი ამოცანა დაუსახავს: ერთი მხრივ, ეჩვენებინა პოპულარული დრამატული მსახიობის ი. კობალაძის არტისტული ძალა, ხოლო, მეორე მხრივ, გადმოეცა მეფის წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო გმირის სახე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კომპოზიციურად საკმაო სიძლიერით გაზრებულ სურათში მხატვარი მაინც ვერ აღმოჩნდა მისივე საუკეთესო პორტრეტების პროფესიული შესრულების დონეზე.

თუ ეს ნამუშევარი არ შეიძლება მივიჩნიოთ შ. ხოლუაშვილის წინსვლის მაჩვენებლად, სამაგიეროდ, მისი მხატვრული გემოვნება და ნახატის სიძლიერე კარგად გამომჟღავნდა გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკით განხორციელებულ პორტრეტებში. მათგან უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს „ჩემი მეგობარი“ (სანგინი და ტუში) და „ქეთევანი“ (ნახშირი). მართალია, მხატვარმა თავი აარიდა გამოსახულ პიროვნებათა ვინაობის აღნიშვნას, მაგრამ ნათელია, რომ ისინი კონკრეტული, მხატვრის ახლობელი ადამიანები არიან. ძირითადად ამ გარემოებამ განაპირობა ის გამარჯვება, რასაც შ. ხოლუაშვილმა მიაღწია ადამიანთა შინაგანი ბუნებისა და ფსიქოლოგიურ განწყობილებათა გადმოცემაში. უცქერით „ქეთევანს“ და თქვენს წინაშე ცოცხლდება პატარა მოსწავლე გოგონას სახე. იგი ბავშვური მიამიტი თვალებით გიყურებთ, მის გულუბრყვილო სახეზე კმაყოფილების იერი კრთის, მაგრამ ოდნავ ფიქრებსაც შეუპყრია პატარა. ალბათ, გულის სიღრმეში ინახავს მომავლის რაღაც, სხვებისათვის უცნობ ოცნებას და გატაცებულია მისი განხორციელების ფარული სურვილით.

ჩვენში არ მოიპოვება ისეთი მხატვარი-პორტრეტისტი, რომელსაც არ დაესახოს მუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის დიდი ლენინის სახელოვნების ენით გადმოცემის საპატიო ამოცანა. ამასთან ყოველი მხატვარი ცდილობს ბელადის მხატვრულ სახეზე მუშაობის დროს ამომწურავად გამოიყენოს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და მიაღწიოს ნაწარმოების ორიგინალური შტრიხებით გამოხატვის განსაკუთრებულ ძლიერებას.

გამოფენაზე ექსპონირებული შ. ხოლუაშვილის ვ. ი. ლენინის პორტრეტი, განხორციელებული პასტელის ფერებში, უთუოდ წარმოადგენს ორიგინალურ კომპოზიციაში გადაწყვეტის გაბედულ ცდას.

ბიუსტში ანფასით მოცემულ ბელადის პორტრეტს მხატვრულ ძლიერებას ანიჭებს არა მთლიანად ღია, მაგრამ ნათელი და ღრმა განცდებით აღბეჭდილი თვალები, დამაჯერებლად გადმოცემული სახის იერი ოდნავ დანაოჭებული ფართოდ გაშლილი შუბლითა და განიერი ვაჟკაცური მხარ-ბეჭით.

მხატვარი გ. მეგრელიძე ბათუმში დაიბადა და აღზარდა. 1946 წლიდან მოკიდებული იგი მუდმივად მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. თავდაპირველად მან თავი გაგვაცნო, როგორც მშობლიური ბუნებით გატაცებულმა ფერმწერმა. ვის არ ახსოვს მისი პოეტური ლირიზმით გაჟღენთილი ეტიუდების სერიები, დაწერილი პეიზაჟის თემებზე. იგი ამავე დროს ერთ-ერთი პირველია, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა შავი ზღვის ლამაზი სანაპირონები. ამ ბოლო წლებში მხატვარს განსაკუთრებით იზიდავს პეიზაჟები, უპირველეს ყოვლისა პლაჟის თემები.

გ. მეგრელიძემ არ უღალატა ტრადიციულ გზას და ამჯერადაც გამოფენაზე ზღვისა და პლაჟის თემაზე შექმნილი ხუთი ნამუშევარი გამოიტანა.

ერთი მათგანი „პლაჟზე“ თემატური სურათია, რომელიც კარგად გადმოგვცემს გარკვეულ განწყობილებას. ახალგაზრდა გოგონებსა და ვაჟებს ერთად შეუყრიათ თავი. აი ერთ მათგანს ეს-ეს არის ბანაობა დაუმთავრებია და ფართო ქოლგის ქვეშ ისვენებს, ერთი ვაჟი კი, რომელსაც ცალ ხელში ბურთი აუტაცნია. სათამაშოდ იწვევს დანარჩენებს. გვერდით დგას ლამაზფიგურიანი გოგონა. იგი თითქოს ამ ჯგუფის. წევრი არაა, მაგრამ მთელი არსებით მათთან არის. მხატვარმა უთუოდ მოახერხა ცალკეული ხასიათების გადმოცემა და სურათი მდიდარი ახალგაზრდული განწყობილებით გაჟღინთა. მაგრამ ნაწარმოებს აკლია ფერწერული დამუშავება და კომპოზიციური დახვეწა. სურათის ზოგიერთი ადგილი ნედლია და დაუმთავრებელი. ერთი შენიშვნაც — პლაჟისათვის დამახასიათებელი არ არის ხის

ბოძები და ამიტომ გაუმართლებლად მიგვაჩნია, როდესაც მხატვარმა სურათში ყუთის ფორმის გათლილი ხის ბოძი გამოიყენა.

გ. მეგრელიძის დანარჩენი თემატური ტილოებიდან ყურადღებას იქცევს „შესვენება". შრომით დაღლილი სამი მშვენიერი გოგონა წყაროსთან ისვენებს. ერთი მათგანი ყვავილს მოსაკრეფად დასწვდენია და ტუჩებზე კმაყოფილების ღიმილი უკრთის, დანარჩენი ორი ქალიშვილი კი მოპირდაპირე მხარეებისაკენ იცქირებიან და ნათელი მომავლისაკენ მისწრაფების ოცნებას მისცემიან. როგორც ვხედავთ, მხატვარს არცთუ ისე პატარა თემის დამუშავება განუზრახავს. ამ სურათში მთავარია არა დასვენების ჩვენება, არამედ სამი ახალგაზრდა საბჭოთა ქალიშვილის ფიქრები მომავალზე. ასაკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნაწარმოების გმირები საშუალო სკოლის კურსდამთავრებული არიან, რომელთაც ხელთ აქვთ სიმწიფის ატესტატი და ახლა იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ მოაწყონ საკუთარი ცხოვრება, როგორ განსაზღვრონ თავიანთი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ექვი არ არის, გ. მეგრელიძემ ძირითადად შეძლო დასახული ამოცანის განხორციელება. მის გმირებს თითქმის არ აკლიათ ფსიქოლოგიური დახასიათება, მაგრამ სურათი არ შეიძლება სრულყოფილად მივიჩნიოთ, განსაკუთრებით ფერწერული გამის დამუშავების თვალსაზრისით.

გ. მეგრელიძის სხვა ნამუშევრები — ეტიუდები და პორტრეტები მისი ამ ციკლის ნაწარმოებთა ძირითადი ფონდის ზრდის ნიმუშად ჩაითვლება. რაც შეეხება მოზრდილ ფერწერულ ტილოს „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი", ჩვენი აზრით, იგი იმდენად დაუმთავრებელია, რომ აჯობებდა ავტორს გამოფენაზე არ გამოეტანა.

ახალგაზრდა მხატვარი შ. ზამთარაძე მხოლოდ მესამეჯერ მონაწილეობს გამოფენაში. მიუხედავად ამისა, იგი ბათუმელ მხატვრებს შორის საკმაოდ პოპულარული გახდა და კანონიერად დაიკავიდრა ნიჭიერი ფერმწერის სახელი. სასიამოვნოა, რომ მხატვარ ხოლუაშვილთან ერთად მისი სახელი მოსკოვში საკავშირო სამხატვრო გამოფენის კატალოგში შეტანის ღირსი გახდა (1957 წ.), ხოლო გამომცემლობა „სოვეტსკი ხუდოჟნიკმა" დიდი ტირაჟით დაბეჭდა ერთი ნამუშევრის („ბათუმის ნავსადგური") ფერადი რეპროდუქცია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახალგაზრდა მხატვრის ასეთი სასიამოვნო წინსვლის მიზეზი შემოქმედებითი მუშაობის სწორად მოწყობაა. სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, დამოუკიდებელი შემოქმედებითი ძიების პროცესში შ. ზამთარაძემ მართებულად გადაწყვიტა დაეწყო პატარათი და მარტივით. ფერწერული ამოცანის თვალსაზრისით ასე ვიწროდ ძმოფარგლულ ნამუშევრებში მაყურებელი ამჩნევდა გამოხატვის იმ ახალი ხერხების ძიებას, სინამდვილის მხატვრული აღქმის იმ თავისებურებას, რაც მაღალი ხელოვნების აუცილებელი პირობაა.

შოთა ზამთარაძეს ძლიერ იზიდავს ზღვის, განსაკუთრებით ნავსადგურის თემები და ჩვენი ლამაზი, თვალწარმტაცი პეიზაჟი. მხატვარი სქელი მონასმით სუფთა და გამჭვირვალე ნახევარტონებით ქმნიდა ისეთ ლამაზსა და ემოციურ კოლორიტს, რაც მის გააზრებულ ეტიუდებს სიმართლესა და დამაჯერებლობას აძლევდა.

ამჟამად მხატვარი მოსაწონი გემოვნებითა და საინტერესო გამით შესრულებულ ეტიუდებთან ერთად გამოფენაზე წარსდგა ისტორიულ თემაზე დაწერილი ფართო ტილოთი. ბათუმის ისტორიულ-რევოლუციური წარსულის მოვლენები ბევრი ქართველი და არაქართველი მხატვრის გატაცების საგანი იყო და ამჟამადაც არის. მაგრამ ყველა მათგანი ძირითადად 1905 წლის რევოლუციის ამბებით იფარგლებოდა. აჭარაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის თემები კი თითქმის დაუმუშავებელია და ტილოებზე გადატანას ელოდება. წითელი ჯარების ლეგენდარული მეთერთმეტე არმიის ნაწილების ზამთრის პირობებში გოდერძის უღელტეხილის გაუვალი გზით აჭარაში შემოსვლა და წითელი არმიის იმ პოლკების მოქმედება, რომლებმაც ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინეს მეწშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ მშრომელებს, ყველა მხატვარს შესანიშნავ მასალას აძლევს. ამიტომ მისასალმებელია, რომ შ. ზამთარაძეს უცდია ამ კეთილშობილურ თემაზე შეექმნა კომპოზიცია. მაგრამ როგორ შეძლო მხატვარმა თემის დაძლევა? მიუხედავად კარგი სიუჟეტური ჩანაფიქრისა და გარკვეული წარმატებისა სურათის ცალკეული დეტალების დამუშავებაში, მთლიანად ნამუშევარი ჯერ კიდევ ნედლი, მშრალი და უსიცოცხლოა. უცქერით ზამთარაძის ამ ნაწარმოებს და ერთგვარი სინანულის გრძნობა გიპყრობთ, რომ მხატვარმა მთლიანად არ გამოიყენა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. სასურველია, ავტორმა ამ სურათზე მუშაობა დამთავრებულად არ მიიჩნიოს.

ახალგაზრდა მხატვრის ვ. ტროფიმოვის „კვირა დღე ზღვაზე" ავტორის ერთგვარი პროფესიული ზრდის მაჩვენებელია, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ნაწარმოები მოკლებულია დროისა და ადგილის აუცილებელ ნიუანსებს. ასეთი განწყობილების შექმნას ხელს უწყობს ტიპაჟის უხეირო შერჩევაც.

ფერწერის განყოფილებაში წარმოდგენილი

სხვა ნამუშევრები, მცირე გამონაკლისის გარდა, ეტიუდური ხასიათისა იყო. მათგან არ შეიძლება არ აღინიშნოს ს. ართმელაძის „სოფელი ოქტომბერი“ და ა. ეფტეევის პეზაჟების სერია.

წინა გამოფენებზე სახვითი ხელოვნების ისეთი საინტერესო დარგი, როგორიც გრაფიკაა, წარმოდგენილი იყო მხოლოდ აკვარელის ტექნიკით შესრულებული ნიმუშებით. ამჯერად საშუალება მოგვეცა აკვარელის მსუბუქი და სათუთი ფერების გვერდით გვეხილა გუაშითა და სანგანით დაწერილი ნამუშევრები, აგრეთვე გრავიურები ხეზე და ლითოგრაფიული წესით აღბეჭდილი ნაწარმოებები.

მხცოვანი ბათუმელი მხატვარი გ. სეჩინიანი საინტერესო გრაფიკოსია. მას ძლიერ უყვარს აკვარელი და „მსუქანი“ ფანქარი. ბევრ ჩვენგანს კარგად ახსოვს მისი ფაქიზი გემოვნებით დახატული პორტრეტები და პეიზაჟები. ამჟამად სეჩინიანმა გამოიტანა ხეზე შესრულებული გრავიურები, უმთავრესად პორტრეტები. ყველა ეს ნამუშევარი—ავტოპორტრეტი, საბჭოთა კავშირის გმირის ი. ჯინჭარაძისა თუ მოხუცი კოლმეურნის სახეები აღბეჭდილია მისთვის ჩვეული ოსტატობით, რაც შერწყმულია ადამიანის შინაგანი ბუნების გადმოცემის უნართან. გ. სეჩინიანს კარგად ესმის გრავიურის ძალა, რაც მის სილუეტობაში მდგომარეობს, და ყოველთვის ცდილობს არ უღალატოს ამ წესს. მაგრამ გრაფიკოსისათვის სილუეტი არ უნდა წარმოადგენდეს თვითმიზანს, იგი გამოხატვის ერთგვარი საშუალებაა, ისიც იმდენად ფაქიზი, რომ ცოტაოდენი ზედმეტობა სავსებით დაუკარგავს ნახატს გამოსახულების ძალას. სეჩინიანის გრავიურები საკმაო ლაკონიურობითა და ზომიერი სიძუნწით გადმოგვცემს თემას. მისასალმებელია, რომ მხატვარი ხანგრძლივი „შესვენების“ შემდეგ ისევ დაუბრუნდა გრაფიკას და საკმაოდ მდარე ფერწერული სურათების გატაცების შემდეგ კვლავ გაგვახარა თავისი მაღალი გემოვნებითა და სინაზით აღსავსე გრაფიკული ნაწარმოებებით.

თუ წინათ აკარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. იმნაიშვილი ნაკლებად მუშაობდა იმ შესაძლებლობის მიხედვით, რომელიც მის შემოქმედებით მონაცემებს ეყრდნობოდა, ამჟამად იგი თანდათან უბრუნდება პირვანდელ ფორმას და ყოველნაირად ცდილობს მტკიცედ დამკვიდრდეს თანამედროვეობის სიმაღლეზე. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მისი ეტიკეტი „ხორუმი“ და პლაკატი „მივცეთ ქვეყანას მეტი ჩაი“. შემდგომში მხატვარმა თავისი ნიჭი ინტენსიურ შრომას უნდა შეურწყოს და გრაფიკის მრავალფეროვანი ტექნიკის გამოყენებით შექმნას მონუმენტური ნაწარმოებები.

გრაფიკაში მუშაობის პარალელურად დ. იმნაიშვილი დეკორაციულ ფერწერაშიც ცდილობს თავის უნარს და გემოვნებით შესრულებული რამდენიმე სპექტაკლის დეკორაციებით [illegible] ბის ავტორია. გამოფენაზე ექსპონირებული იყო ბათუმის დრამატული თეატრის სპექტაკლის „ხიხანის ძახილის“ მხატვრული გაფორმების ესკიზები. ცნობილია, რომ ბათუმელი მწერლის ფ. ხალვაშის პიესამ და თეატრის წარმოდგენამ მაყურებლის კანონიერი მოწონება დაიმსახურა.

მხცოვანი მხატვრის აკარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. ილუშინის აკვარელები თუ შესრულების ტექნიკითა და მაღალი მხატვრული კულტურით გეხიბლავენ, სამაგიეროდ ბევრ შენიშვნას იმსახურებენ ვამოსახული ნატურის ცუდად შერჩევის გამო. მათში არ ჩანს სინამდვილისადმი მხატვრის გააზრებული დამოკიდებულება, რასაც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან გადახვევამდეც კი მივყავართ. საქმე ის არის, რომ მხატვარი ილუშინი შარშან მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ მოწყობილ კომპლექსურ ექსპედიციაში. რომელმაც მუზეუმის საჭიროებისათვის შეასრულა წმინდა ეთნოგრაფიული ხასიათის რამდენიმე ჩანახატი და ეტიუდი („აკახანა“, „მოხერხებული წყალსადენი“ და სხვ.). ამ ნამუშევრებს გარკვეული სამუზეუმო ღირებულება გააჩნიათ, მაგრამ ისინი არ შეიძლება ხელოვნების ნიმუშებად მივიჩნიოთ. ამიტომ გამოფენაზე მათი გამოტანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა გრაფიკოსების რ. ჩხიკვიშვილისა და ვ. კვერნაძის ნაწარმოებები.

წინათ ვ. კვერნაძეს საზოგადოებრიობა იცნობდა, როგორც მხატვარ-კერამიკოსს, როგორც ქართული ორნამენტებით ლამაზად მოხატული რამდენიმე ვაზისა და სუფრის სხვადასხვა სერვიზის ავტორს. ამჟამად ჩვენ ვიხილეთ მისი ორი ვაზა — ერთი საკმაოდ მოზრდილი, ხოლო მეორე უფრო პატარა ზომისა, რომელზეც ბათუმის ხედია აღბეჭდილი. კერამიკული ხელოვნების ეს ნაწარმოებნი, რომლებიც დამშვენებულია ფაქიზი გემოვნებით შესრულებული ქართული ორნამენტით და ბათუმური პეიზაჟით, მხატვრის წინსვლას მოწმობს.

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო დროს ვ. კვერნაძემ თავი გაგვაცნო, როგორც გრაფიკოსმა. მან ტუშითა და აკვარელით შექმნა საქართველოს დედაქალაქის თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი რამდენიმე ნაწარმოები. სასიხარულოა, რომ ისინი მოწმობს ავტორის არა მარტო კარგ მხატვრულ გემოვნებას, არამედ ხაზის მეტყველი პლასტი-

ტური ხერხებისა და სახვით საშუალებათა ლაკონიურობით გამოყენების უნარსაც („ქალაქისაკენ", „გარეუბანში" და სხვ.).

3. კვერნაძის ნამუშევრები იმ მხრივაც არის აღსანიშნავი, რომ მხატვრული ფორმის პირობითი გადმოცემისა და ერთგვარი სტილიზაციის მიუხედავად ხასიათდება ცხოველსტატული შტრიხებით.

რ. ნ ნ ი ბ ე ვ ი, რომელიც პირველად მონაწილეობს გამოფენაში, მომხიბვლელ კომპოზიციებში ამყარებს თეთრისა და შავის კონტრასტული ურთიერთობის გზით სხვადასხვა განწყობილების გადმოცემის უნარს. მას გამოფენაზე ჰქონდა ლითოგრაფიული სერიის ხუთი ფურცელი. მათ უმრავლესობას ახასიათებს სპეციფიკურად გამოხატული გრაფიკულობა, ძლიერი ნახატი და საკმაო დახვეწილობა, ხაზის პლასტიკურობის გრძნობა. მხატვარი ცდილობს თავის ნაწარმოებებში ისე გამოიყენოს შტრიხი და შუქჩრდილი, რომ არც ერთს არ მისცეს უპირატესობა. რაც მიხასიათებელია, ახალგაზრდა გრაფიკოსმა შეძლო მკაფიოდ ეჩვენებინა თავისი გამოსახვითი ენის, ხერხების თავისებურება, ინდივიდუალობა.

გამოფენაზე იყო დეკორაციული ფერწერის ნიმუშებიც.

აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ფილიპოვის დეკორაციებს ყოველივის გააჩნიათ კომპოზიციური ცენტრი, წინა და უკანა პლანი, სიღრმე და ფერადოვნება. დეკორატორი სავსებით შეგნებულად გაურბის მძიმე კონსტრუქციებსა და ფორმებს. მას ღრმად სწამს, რომ სცენაზე ყოველმა ნიუანსმა გარკვეული აზრი უნდა გამოხატოს. ამიტომ იგი შეგნებულად გაურბის ზედმეტობას და სცენის დატვირთვას დეკორაციული დეტალებით, რაც მხოლოდ ზიანს მოუტანდა სპექტაკლს. ამის გამო მხატვარი თავისი ხელოვნებით კარგად ეხმარება მაყურებელს ჩასწვდეს სცენაზე დატრიალებული ამბების არსს. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებენ „მეფე ერეკლეს", „მეუღლენისა" და სხვა სპექტაკლების მხატვრული გაფორმება.

გამოფენის საერთო მხატვრულ დონეს ღირსებას ანიჭებდა ქანდაკება. სასიამოვნოა, რომ ჩვენში მოქანდაკეებმა დაარღვიეს დამკვიდრებული შაბლონი და შტამპი, რაც ერთფეროვანი ბრტყელი და მრგვალი სკულპტურული პორტრეტებით გატაცებაში გამოიხატებოდა, და ხელი მოკიდეს მრავალფიგურიანი კომპოზიციური ნაწარმოებების შექმნას.

როგორც ცნობილია, აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ტ. ჭანტურია აჭარაში ქანდაკების პიონერად ითვლება. 1938 წლიდან დღემდე იგი მთელი მონდომებით და კეთილსინდისიერებით მუშაობს. ბათუმელები ტ. ჭანტურიას იცნობენ, როგორც ბევრი ნიჭიერად გაკეთებული სკულპტურული პორტრეტის ავტორს. ჩვენ ყველას გვახსოვს დამაჯერებელი სკულპტურული ფორმებით გამოსახული კონკრეტულ პიროვნებათა პორტრეტები, რომლებშიც მოქანდაკე კარგად ამჟღავნებდა მოდელის განზოგადების უნარს (მეჩაიე გ. ჯინჭარაძის, დამსახურებული მასწავლებლის ა. ქავთარაძის, მწერალ პ. ლორიას, ძველი რევოლუციონერის კ. კარპოვის ქანდაკებები). ისიც საჭიროა გავიხსენოთ, რომ ტ. ჭანტურიამ სკულპტურული კომპოზიციაც შექმნა, რომელშიც თვალნათლივ ჩანდა მოქანდაკის მისწრაფება რთულ სკულპტურულ ამოცანათა განხორციელებისაკენ. მისი უკანასკნელი ნამუშევარი, რომელიც გამოფენის დარბაზში იდგა, ორფიგურიან კომპოზიციას წარმოადგენს და ხალხთა მეგობრობის კეთილშობილურ თემას ეხება. ქანდაკების ცალკეული ნაწილები კარგად არის დამუშავებული, მაგრამ ნაწარმოებში ჩაქსოვილი იდეის გახსნა ერთგვარ დავას იწვევს. ავტორმა თემას ამკარად ვერ მოუძებნა მიმზიდველი სიუჟეტი, ამ გარემოებამ კი ნაწარმოების ზემოქმედების ძალის შესუსტება გამოიწვია. ორი, რატომღაც სხვადასხვა სიმაღლის, მკლავებგადახვეული ქალი, ნაჩვენები ერთნაირ მოძრაობაში, საკმარისი არ აღმოჩნდა მოქანდაკის ჩანაფიქრის გადმოსაცემად. ნაწარმოებს ემჩნევა ნაჩქარევი მუშაობის კვალი.

ახალგაზრდა მოქანდაკემ მ. ბოლქვაძემ გამოფენაზე გამოიტანა ხუთი ნამუშევარი. თუ მის შემოქმედებით შესაძლებლობას გავითვალისწინებთ, ბოლქვაძეს საკმაოდ რთული ამოცანის გადაწყვეტისათვის მოუკიდნია ხელი, როდესაც ნატურალურ ზომაზე მეტი სამფიგურიანი ჯგუფური ქანდაკების შექმნა განუზრახავს. უნდა ვაღიაროთ, რომ მისი განზრახვა ძირითადად განხორციელებული და ხორცშესხმულია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მონუმენტური ქანდაკება „ხორუმი". უდავოა, რომ თითქმის ფრონტალურად გადაწყვეტილ ქანდაკებაში ავტორმა მოახერხა გადმოეცა ამ ცეკვისათვის დამახასიათებელი მძლავრი ექსპრესიულობა, ვაქაციური ეერი და სპეციფიკურად გამართული ფეხების გრაციულობა.

დანარჩენი სკულპტურული პორტრეტები, ჩვენი აზრით, არ მოწმობს მოქანდაკის მხატვრულ ზრდას. განსაკუთრებით ნაკლები შრომა დაუხარჯავს ავტორს ახალი ფორმების ძიების თვალსაზრისით კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის მ. დუნდუას ბიუსტის გამოქანდაკებისას. ავტორი ვერ ამაღლდა შრომის ორგანიზაციის ახალი კომუნისტური ფორმების გაგების სიმაღლემდე. ამიტომაც გამოუვიდა ერთფეროვანი, დაშტამპული ქანდაკების ნიმუში, რომლის მსგავსი წარსულ-

ში თითქმის ყოველ გამოფენაზე გვინახავს.

ჩვენს ქალაქში პირველად გამოჩნდა მონუმენტურ-დეკორაციული ხელოვნების ნაწარმოებები. მოზაიკისა და კერამიკული ქანდაკების მშვენიერი ნიმუშები გამოიტანა ახალგაზრდა ბათუმელმა მხატვარმა ნელი ნოვიცკაიამ. მან ორი წლის წინათ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და უკვე ათამდე დამოუკიდებელი ნაწარმოების ავტორია. გამოფენაზე იყო მისი ოთხი მოზაიკური ნიმუში, ერთი მაიოლიკის ფენა და ერთი კერამიკული ქანდაკება. მხატვრის თემატიკური ინტერესები მრავალფეროვანია. იგი გატაცებულია როგორც ადამიანთა კომპოზიციური სახეების გამოკვეთით, ისე მშობლიური კუთხის პეიზაჟით. მისასალმებელია, რომ ახალგაზრდა მხატვარმა სხვადასხვა თემის დამუშავების დროს გამოძებნა სხვადასხვა მხატვრულ-ტექნიკური საშუალებები. ნელი ნოვიცკაიას განსაკუთრებული გემოვნება და მხატვრული სინატიფე აღბეჭდილია „ქალის პორტრეტსა“ და „ნატურმორტში“. კერამიკული მასის ნაჭრების სხვადასხვა ელფერის მოზაიკისაგან აწყობილი ყველა ეს ნახელავი ხასიათდება ნაზ ხატის გამოსახულების სიძლიერით, სასიამოვნო კოლორიტითა და განზოგადებული ფორმებით.

გამოფენის მონაწილე ნ. პელიპენკოს, ვ. რუდის, ს. ტაკიძის, ა. აირაპეტოვის, ჰ. იუსტინსკაიას, ო. გიორგაძის, ნ. ჯალაღანიას ნამუშევრები მეტნაკლები სიძლიერით ამჟღავნებდნენ პროფესიული დაოსტატებისათვის ბრძოლის წყურვილს. მნახველს განსაკუთრებით იზიდავდა ა. აირაპეტოვისა და ნ. ჯალაღანიას გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული ნიმუშები და ო. გიორგაძისა და ს. ტაკიძის ფერწერული ეტიუდები და ნატურმორტები.

საბჭოთა ხელოვნების ძირითადი თემა, მისი აზრი და შინაარსი ყოველთვის იყო და ამჟამადაც არის თანამედროვე ადამიანი, მისი მრავალმხრივი და მდიდარი განწყობილებანი, აღსავსე ცხოვრება. და სოციალისტური რეალიზმით, ამ ყოვლისშემძლე უნივერსალური შემოქმედებითი მეთოდით შეიარაღებული თანამედროვე მხატვარი მოწოდებულია შექმნას ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც საბჭოთა ადამიანს გადაუხსნის ახალ ჰორიზონტს, ეტყვის რაღაც ახალს, სულიერად აამაღლებს და გამსჭვალავს პროგრესული იდეალებისაკენ მისწრაფებით.

თუ ასეთი მკაცრი საზომით მივუდგებით ბათუმელი მხატვრების გამოფენას, უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი ნაწარმოები ჯერ კიდევ მოუმწიფებელი, სქემატური, ნაკლებად ამაღელვებელია. ზოგი მათგანი მოკლებულია იმ აუცილებელ თვისებას, რაც სინამდვილის, დღევანდელი დღის, დღევანდელი ცხოვრების სულისკვეთების ნათელ, ცოცხალ და ხალისიანად გადმოცემას გულისხმობს. ჩვენმა მხატვრებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ ისეთი ნაწარმოების შექმნა, რომელიც უპასუხებს საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარების დღევანდელ დონეს, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხატვარი თავის ნამუშევარს სასურათო ამოცანას დააკისრებს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შეუპოვარი და სისტემატური შემოქმედებითი მუშაობის გზით ბათუმელი ფერმწერები, მოქანდაკეები, გრაფიკოსები, მონუმენტალისტები გაგვახარებენ ისეთი ნაწარმოებებით, რომლებშიც სრულყოფილად აისახება ჩვენი მრავალფეროვანი და მდიდარი ცხოვრება.

ვლადიმერ შარაშიძე,

აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბორის ფროლოვი

ნირწამხდარი მივდივარ ქუჩაში. არცაა გასაკვირი, ეს-ესაა რადიოში ფეხბურთის რეპორტაჟი მოვისმინე. თბილისის „დინამო“ კვლავ დამარცხდა. მოდი და კარგ ხასიათზე იყავი. ცხელ გულზე ისეთ ეპითეტებს ვეძებ, ჩემი სიბრაზე უკეთ რომ გამოიხატოს. „ეჰ, რა გუნდი გვყავდა!.. პაიჭაძე, შავგულიძე, ჯეჯელავა, ფროლოვი...“

თითქოს გახსენებაზე, მოსახვევში ბორის ფროლოვს შევხვდი.

— რა ქნეს ჩვენებმა? — მეკითხება იგი მისალმების შემდეგ. — სამსახურში შემაგვიანდა და რეპორტაჟი ვეღარ მოვისმინე.

— რას იზამდნენ...

წინადადებას არ ვამთავრებ, მაგრამ ისედაც ყველაფერი გასაგებია.

ბორისმა გულისტკივილით ხელი ჩაიქნია.

— კი, მაგრამ სანამდე შეიძლება წაგება?

— რა ვიცი, ძველები აღარ არიან და...

— ნუ იცით ეს ამოჩემება, ძველები, ძველებიო, — მეუბნება ბორისი, — ახალგაზრდებსაც შეუძლიათ თამაში.

— მაშ რატომ აგებენ, რა აკლიათ?

— მონდომება, სპორტული ჟინი. პასუხისმგებლობის გრძნობა. ფეხბურთის უგულოდ, სხვათაშორის თამაში არ შეიძლება. აი პაიჭაძე, დიდი ფეხბურთელი იყო, არა? ყოველთვის თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებდა, როგორც იტყვიან, „სულს დებდა თამაშში“, მაგრამ წაგებას როგორ განიცდიდა! ლამის ტიროდა კაცი.

ბორის ფროლოვი გატაცებით ჰყვება თავისი ამხანაგების, „ძველი გვარდიის“ შესახებ. ოღონდ ესაა, საკუთარ თავზე ძალიან ცოტას ლაპარაკობს. სულ „პაიჭაძე, დოროხოვი, ბერძენიშვილი“, ან „ჩვენ, თბილისის „დინამო“...

ვიხსენებთ წარსულს, გონების თვალით ერთხელ კიდევ გადავხედეთ ტყავის ბურთის დიდოსტატების განელილ გზას.

დიდი ფეხბურთის სარბიელზე თბილისის „დინამო“ 1936 წლის გაზაფხულზე გამოჩნდა. ქართველი ფეხბურთელების დებიუტი საკავშირო პირველობაზე ბრწყინვალე წარმატებით აღინიშნა. მათ დაუმარცხებლად ჩაატარეს „ბ“ კლასის გუნდების ტურნირი და „ა“ კლასში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ამ ასპარეზობის შემდეგ დინამოელები ახალ პასუხსაგებ შეჯიბრებაში ჩაებნენ. ეს იყო საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება. თავიანთი პირველი შეხვედრა საკავშირო თასზე თბილისელებმა ჩაატარეს ბათუმში ადგილობრივ „დინამოსთან“. მოედანზე გამოვიდნენ ტყავის ბურთის ისეთი ოსტატები, როგორიც იყვნენ ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე. ბათუმელთა შორის, მართალია, ასეთი „ვარსკვლავები“ არ ჩანდნენ, მაგრამ მთელი კოლექტივი ისე კარგად თამაშობდა, რომ თბილისელებს თანაბარი სიძლიერის გუნდთან მოუხდათ ბრძოლა. ამას მოწმობს პირველი დღის ანგარიში. დამატებითი დროის მიუხედავად, შეხვედრა ფრედ — 1:1 დამთავრდა. სტუმრების თავდასხმის ხუთეულმა ვერაფერი გააწყო მოწინააღმდეგის დაცვასთან. განსაკუთრებით მჭიდროდ იყო ჩაკეტილი თავდასხმის ცენტრი ბორის პაიჭაძე. სადაც არ უნდა გამოჩენილიყო ბორისი, მუდამ წინ ეღობებოდა მასპინძელთა შუა დამცველი — მაღალი, ქერათმიანი ჭაბუკი, რომელიც იშვიათად ტყუვდებოდა ცრუ მოძრაობებზე, ხოლო „საჰაერო“ ბრძოლაში თითქმის ყოველთვის იმარჯვებდა.

— ვინ არის ბათუმელთა სამი ნომერი, ჩრდილივით რომ დაგდევს? — შეეკითხნენ ბორისს ამხანაგები თამაშის შემდეგ.

— ჩემი სეხნიაა, — ბორის ფროლოვი, — უპასუხა პაიჭაძემ, რომელიც ბათუმელს კარგად იცნობდა.

განმეორებითი თამაში თბილისელთა სასარ-

გებლოდ წარიმართა და მალე მათ ანგარიშიც გახსნეს. მაგრამ ბათუმელთა გუნდი თავგამოდებით იბრძოდა და ძნელი იყო იმის თქმა, ვის დარჩებოდა გამარჯვება. შეხვედრის ბედი საბოლოოდ თერთმეტმეტრიანმა საჯარიმო დარტყმამ გადაწყვიტა, რომელიც ბათუმელთა კარში დაინიშნა: 2:0. ამ მოგებით თბილისის „დინამომ“ თასის გათამაშების შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. დამარცხების მიუხედავად, ყველამ აღიარა ბათუმელთა კარგი თამაში. სტუმრებს განსაკუთრებით ბ. ფროლოვი მოეწონათ და შეხვედრის დამთავრებისთანავე წინადადება მისცეს მათ გუნდში გადასულიყო. ბორისი დათანხმდა და, უკვე როგორც თბილისის „დინამოს“ წევრი, მორიგი თამაშის ჩასატარებლად გაემგზავრა.

დანარჩენ შეხვედრებში დინამოელებმა მოუგეს ბაქოს „ტემპს“, სტალინგრადის „ტრაქტორს“, ნოგინსკის „კრასნოე ზნამიას“ და მხოლოდ თასის ფინალში დამარცხდნენ მოსკოვის „ლოკომოტივთან“.

იმავე წლის შემოდგომაზე გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობა, რომელშიც „ა“ კლასის დებიუტანტმა თბილისის „დინამომ“ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. მან მოსკოვის „დინამოსთან“ ერთად გათამაშებაში 16 ქულა მოაგროვა და გამარჯვებულ მოსკოვის „სპარტაკს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა. საქართველოს გუნდი ერთხმად აღიარეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კოლექტივად, ხოლო მისი წევრები ფეხბურთის მრავალრიცხოვანმა გულშემატკივრებმა „დიდ ურუგვაელებად“ მონათლეს. სხვებთან ერთად ეს საპატიო „ტიტული“ დაიმსახურა თბილისელთა ახალმა დამცველმა ფროლოვმა.

1936 წლიდან 1947 წლამდე ბ. ფროლოვი თითქმის უცვლელად თამაშობდა თბილისის „დინამოში“. მისი ოსტატობა აღაფრთოვანებდა თბილისისა თუ მოსკოვის, კიევისა თუ ლენინგრადის, მინსკისა თუ სტალინგრადის მაყურებლებს. „გაუვალი დამცველი“, „მაღალი ბურთების მეფე“, „მუდამ შეუცდომელი“ — ასე წერდნენ ბორისზე სპორტული კომენტატორები. ბორის ფროლოვის დამსახურება სათანადოდ აღინიშნა თბილისის „დინამოს“ სახელოვანი გზის ამსახველ წიგნში, რომელსაც ამშვენებს ისეთი სახელები, როგორიცაა ბორის პაიჭაძე, შოთა შავგულიძე, გაიოზ ჯეჯელავა, ავთანდილ ღოღობერიძე და სხვები. მათთან ერთად უვლია ბორისს საქართველოს ფეხბურთის დიდების გზებზე, მათთან ერთად გაუზიარებია წარმატებები და უგემია ცალკეული დამარცხების სიმწარე...

— ჩატარებული შეხვედრებიდან ... მიგაჩნიათ ყველაზე ღირსსახსოვრად ... ხები ბ. ფროლოვს.

— მოსკოვის ცდკა-სთან, — მიპასუხებს ბორისი, — 1939 წლის საკავშირო პირველობაზე. ეს განუმეორებელი მატჩი იყო. თქვენ, ალბათ, დაწვრილებით იცით მის შესახებ. არმიელებს ფრეც შველოდათ მეორე ადგილზე გასასვლელად, ჩვენთვის კი მხოლოდ გამარჯვება იყო საჭირო. ვთამაშობდით თბილისში. პირველი ტაიმი 1:4-ზე წავაგეთ. იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა არმიელებმა მოსკოვში დეპეშა გაგზავნეს, დიდი ანგარიშით ვიგებთო. უნდა გენახათ, ჩვენი ბიჭები გასახდელში რა დღეში იყვნენ, განსაკუთრებით დამცველებს ვერ გვიღებდა დანა პირს. გაგვამხნევეს. გეგმა დავსახეთ და, როცა მეორე ტაიმი დაიწყო, ჩვენი გუნდი მთლიანად გარდაიქმნა. საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში თბილისელებმა ამ თამაშში პირველად გამოიყენეს ადგილების შეცვლა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენს „მოხეტიალე ფორვარდს“ ბორის პაიჭაძეს. ძლიერად ითამაშეს ბიჭებმა და ეს თითქმის უიმედო შეხვედრა მოვიგეთ 5:4-ზე. დანარჩენი ორი თამაშიდანაც კიდევ ოთხი ქულა მოვაგროვეთ და მეორე ადგილზე გავედით.

შემდეგ ბ. ფროლოვი იგონებს თბილისის „დინამოს“ მიერ 1944 და 1945 წლებში ირანსა და რუმინეთში ჩატარებულ შეხვედრებს.

— პასუხისმგებლობა დიდი იყო და სწორედ ამით აიხსნებოდა ჩვენი მღელვარება ირანის ნაკრების წინააღმდეგ თამაშის დაწყების წინ. აღელვება მაშინვე გაქრა, როცა პირველსავე წუთზე ა. ღოღობერიძემ ბურთი გაიტანა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მეორედ აიძულა ირანელები თამაში ცენტრიდან დაეწყოთ. 5:1 თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ — ასე დამთავრდა ეს თამაში. მეორე შეხვედრაც დიდი ანგარიშით — 4:1 მოვიგეთ.

რუმინელი ფეხბურთელები ირანელებს გაცილებით სჯობნიდნენ და მათთან შეხვედრები დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. აქვე უნდა ვთქვა, რომ თამაში მოგვიხდა თოვლით დაფარულ მოედანზე, ეს კი ტექნიკური გუნდისათვის არახელსაყრელია. სულ სამი შეხვედრა ჩავატარეთ და სამივე მოვიგეთ საერთო ანგარიშით 17:6. რუმინელებმა სათანადოდ შეაფასეს ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობა. „ჩვენ ბევრი საზღვარგარეთული გუნდი გვინახავს, — განაცხადეს მათ, — თვითეულს თავისი კარგი და დამახასიათებელი მხარე აქვს. ყოველივე, რაც ჩვენ გვინახავს, თქვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შია გაერთიანებული: უნგრელების ტექნიკა, იტალიელების ტემპი, ჩეხოსლოვაკიელების ფიზიკური გამძლეობა, ინგლისელების ტაქტიკა".

რუმინეთში ევროპელებმა პირველად ნახეს ბორის პაიკაძე და მას „ფეხბურთის კარუზო", „ევროპული კლასის ცენტრალური თავდამსხმელი" უწოდეს.

...ბორის პაიკაძისა და მისი ამხანაგების სპორტული კარიერა ეზოებისა და ქუჩების ფეხბურთელთა გუნდებიდან იწყება. ამავე ეზით მოვიდა დიდი ფეხბურთის სარბიელზე ბორის ფროლოვიც.

— ისე ვიყავით გატაცებული, რომ დილიდან საღამომდე შეგვეძლო გვეთამაშა, — იგონებს ბორისი.—აბა სად იყო მაშინ ნამდვილი ბურთი ან მოედანი. ჭინჭის ბურთით ვატარებდით „ჩემპიონატებს". მერედა, არ იკითხავთ რამდენი კარგი მოთამაშე აღიზარდა ამნაირად? აი, თუნდაც ჩემი თანატოლები: პეხლევანიდი, ა. ანიკინი, დ. ბეჟანიძე, ... კელენჯიანი და სხვები. ბათუმში ფეხბურთი მუდამ პოპულარული იყო და მას მდიდარი ისტორია აქვს. საკმარისია თუნდაც აღინიშნოს, რომ ბათუმელმა ფეხბურთელებმა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველებმა ჩაატარეს საერთაშორისო შეხვედრა. საქართველოს პირველ გუნდში — თბილისის „დინამოში" თითქმის ყოველთვის თამაშობდნენ ბათუმში აღზრდილი ფეხბურთელები, ახლაც არიან ზოგიერთები. მათ და საერთოდ ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელს ჩვენ მთელი პასუხისმგებლობით უნდა მოვთხოვოთ თბილისის „დინამოს" სახელოვანი ტრადიციების დაცვა და გამარჯვება.

ალ. დავითაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაშის „სიმღერა შენზე“

აჭარაში მომუშავე ქართველ მწერლებს თვალსაჩინო წვლილი შეაქვთ ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. ამას მოწმობს ფრიდონ ხალვაშის ლექსების ახალი კრებული „სიმღერა შენზე“, რომელიც თბილისში გამოსცა „საბჭოთა საქართველომ“.

ფრიდონ ხალვაში პოეტური მღელვარებით წარმოსახავს იმ მძიმე დროს, როცა აჭარაში ქართველობის სულ მცირე გამოვლინებასაც კი სასტიკად უსწორდებოდნენ თურქები. ლექსი „ბალადა მეჩონგურეზე“ შთაგონებულია ხალხში შემონახული თქმულებით. გაძარცული, უსახლკარო, უვენახო, თავის სამშობლოში უსამშობლოდ დარჩენილი ქართველი ქართველობის ერთ-ერთ სახსოვარს — ჩონგურს უზიარებს თავის გულისტკივილს:

მთებო, რომ აღსდგეს ქართველობა
დამწვარ მდელოზე —
სთქვით, როგორ მოგვკლეს სიმღერისთვის
საქართველოზე...
სთქვით, როგორ მოგვკლეს სიმღერისთვის
მე და ჩონგური.

ფრიდონ ხალვაშმა ბევრ ლექსში გამოხატა აჭარელთა მრისხანება და სინანული სისხლიანი, გამწარებული წარსულის გამო. ასეთი ხასიათის ლექსებია „აჭარა“, „ეს მთები“ და სხვ.

საქართველოსთან აჭარის ორგანული ერთიანობის იდეას კარგად გამოხატავს პოეტი ლექსში „მე არ ვიქნები შენი სტუმარი“, რომელიც დაიწერა აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში.

ეს ლექსი ღრმად პატრიოტულია. მის ლირიკულ გმირს, ამ შემთხვევაში პოეტს, პირველ სტრიქონებშივე ცვლის აჭარა:

ნუ დამიძახებ სტუმარს იმიტომ,
რომ უშენობა მწვავდა ასწლობით,
შვილი მშობელთან ვეღარ მივიდა,
ვეღარ იცნობდა ნაცნობს ნაცნობი.

პოეტი აჭარის სახელით აცხადებს, რომ მისი სულიერი ცხოვრება განუყოფელია ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრებისაგან:

მე შენი ჩანგის ერთი სიმი ვარ
და შენი ზეცის ერთი მერცხალი,
მე საქართველოს დიდი სიმღერა
გულში ჩავინთე, ვით ნაკვერცხალი.

ფრიდონ ხალვაში ოპტიმისტური მსოფლმხედველობის პოეტია. მას წამს, რომ ადამიანისათვის არაფერი არ არის ისე ტიპობრივი, როგორც მისი მუდმივი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, სულიერი და ზნეობრივი სრულყოფისაკენ, ინტელექტუალური ზრდისაკენ.

ლექსი „ტყეში“ ალეგორიულად გამოატავს პოეტის რწმენას ადამიანის წინმიმსწრაფი ბუნების შესახებ. ტყეში ყველაფერი — ბუმბერაზი ხე თუ ჯუჯა ბალახი შთააგონებს პოეტს, რომ მთელი ცოცხალი სამყარო მიისწრაფის წინ, განვითარებისაკენ, საკუთარი გვარის სრულყოფისაკენ:

აქ ხის, ბალახის და წყაროს სიტყვით
ტყე მეუბნება ისევ და ისევ,
რომ ყველაფერი მუდმივად ილტვის
სინათლისაკენ და სიმაღლისკენ.

პოეტი უმღერის თავდადებისა და გმირობის იდეას. ეს იდეა კარგად არის ჩაფიქრებული ლექსში „არწივი“. თავისთავად პოეტური მეთოდი არ არის ორიგინალური. ვაჟა-ფშაველას შემდეგ ქართულ ლიტერატურაში არწივის სახე მტკიცედ დამკვიდრდა, როგორ ვაჟკაცური შემმართებლობისა და კეთილშობილების სიმბოლო. ფრ. ხალვაში აგვიწერს სიბერისაგან ფრთებჩამოყრილ არწივს. იგი მოწყენილი ზის კლდეზე და სინანულით იგონებს იმ დროს, როცა მძლავრი ფრთებით აპობდა სივრცეს. ახლა კი უმწეოა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს უშხამავს იმის დარდი, რომ ბუდეში ჯერ აუფრენელი პატარები რჩება. მაგრამ როგორ შეუძლია ამქვეყნიური სტიქიის შვილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალმოუხდელი დარჩეს თავისივე პატარების წინაშე? იგი იკრებს უკანასკნელ ძალღონეს, ფრთებზე შეისვამს ბარტყებს და ზეცისკენ გააქროლებს. შვილები ფრენას სწავლობენ, მშობელი კი უფსკრულში ვარდება.

ფრ. ხალვაშის ლექსების ახალ წიგნში მოიხსმის წარსული ომის გამოძახილი. ეს საკითხი პოეტს საკმაოდ ორიგინალურად დაუყენებია. ომის ნაკვალევს პოეტი მხატვრულად გაიაზრებს იმგვარად, რომ შექმნას მისი კვლავ განმეორების შეუძლებლობის რწმენა.

ადამიანის დანშნულებას ფრ. ხალვაში ჭეშმარიტების მუდმივ ძიებაში ხედავს. მაგრამ ძნელია ადამიანმა სრულად გამოიყენოს თავისი სულიერი ძალები, თუ იგი სიკვდილ-სიცოცხლისა და ყვალაფრის წარმალობის პესიმისტურ საკითხებს გამოედევნება. არ არის საჭირო ფიქრი სიკვდილსა და ნგრევაზე. ასეთი ფიქრი მხოლოდ ენებს ადამიანს:

ნუ ამბობთ — არის სიკვდილი ქვეყნად,
ამაზე ფიქრი არ დაიხარჯოს,
თორემ ვიფიქრებ, არა ღირს შექმნად,
რასაც სიცოცხლე აკეთებს ქვეყნად,
არ ღირს აპრილი რომ შეიფარჩოს.

ფრიდონ ხალვაშისათვის პოეზია არ არის თვითდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების წყარო. პოეტი იბრძვის იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი ლექსისათვის. თვითეული მდარე მხატვრული ღირსების ლექსი ავტორს დიდ სულიერ ტკივილებს განაცდევინებს. ეს მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი კარგად გამოხატა პოეტმა შემდეგ სტრიქონებში:

ლექსის ქვეშ იყოს ჩემი სახელი,
მე ლექსი ჩემზე მაღალი მინდა,
ცუდი სიმღერა, როგორც ნახმლევი,
ვზიდო, მიჭირდეს იმისი ზიდვა.

ასეთი შემოქმედებითი კეთილსინდისიერება მუდამ იკაფავს გზას ახალი წარმატებებისაკენ. და, უეჭველია, ფრიდონ ხალვაშიც ახალ წარმატებებს მოიპოვებს მხატვრული სიტყვის სრულყოფის დარგში.

ჯემალ შარაშიძე.

აჭარაში სახალხო განათლების ისტორიის შესახებ

აჭარის სახელგამმა გამოსცა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის უფროსი მასწავლებლის გრ. ბაბილოძის ნაშრომი „სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1957 წ. წ.)“.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი მიზნად ისახავს გააცნოს მკითხველს შშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აჭარაში სახალხო განათლების დარგში მოპოვებული მიღწევები, ის პირობები, რომლებმაც უზრუნველყვეს სამხრეთ საქართველოს არნახული აღორძინება და აყვავება.

ნაშრომში სათანადო ადგილი ეთმობა სახალხო განათლების მდგომარეობას აჭარაში მეფის მთავრობის დროს. ამ საკითხიდან რელიეფურადაა მოცემული საქველმოქმედო საზოგადოების სკოლების მუშაობა. 1910-იან წლებში მკაფიოდ იჩენს თავს მოწინავე აჭარლების, მათ შორის სოფლელების, ბრძოლა აჭარაში სწავლა-განათლების შეტანისათვის.

მაშინდელ პრესაში გაცხოველებული კამათი წარმოებდა იმის თაობაზე, თუ როგორ დახმარებოდნენ ქართველი მოღვაწეები თავიანთ ძმებს — აჭარლებს. ამ საქმიანობაში აჭარიდან ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო ჰაიდარ აბაშიძე, რომელსაც გაზეთების ფურცლებზე ამ სტრიქონების ავტორიც ეხმაურებოდა სხვადასხვა ფსევდონიმებით გამოქვეყნებული წერილებით.

ნაშრომში დამაჯერებლადაა ასახული ქართული ენის დევნა-შევიწროება საქართველოში და კერძოდ აჭარის სოფლებში. ეს ის დრო იყო, როდესაც წავაწყდით ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექციის ერთი მოხელის საიდუმლო მიმოწერას. „რუსეთის პოლიტიკა მოითხოვს სვანების გარუსებას, გაქართველებას „ი არავითარ შემთხვევაში“. ასეთივე იყო რუსეთის ცარიზმის პოლიტიკა ახლადშემოერთებული აჭარის მიმართ და ამიტომ მოჰყავს ავტორს მეფის მოხელეთა გვარები და მათ შორის ასახელებს ქუთაისის გუბერნიის მესამე რაიონის ინსპექტორს გარეგინ ფადეს-ძე ტერ-გასპარიანცს, რომელიც ყოველმხრივ დევნიდა და ავიწროებდა მასწავლებელთა პროგრესულ ნაწილს. ასევე იქცეოდნენ თურქეთის აგენტები — ხოჯები, მოლები და ხალხის სხვა ჯურის მტრები.

გრ. ბაბილოძე ასახელებს რუსი შოხელეების მიერ დასჯილ მასწავლებელთა პროგრესულ ნაწილს. მათ შორის შ. მეგრელიძეს და ალ. მეგრელაძეს, რომლებიც ქართული ენის ფარულად სწავლებისათვის მოხსნეს ხელოს ორკლასიანი სასწავლებლიდან.

პედაგოგთა პროტესტმა სკოლებში გამეფებული მკაცრი რეჟიმის გამო განსაკუთრებით იჩინა თავი 1916 წელს მასწავლებელთა კონფერენციაზე, რომელიც მოიწვია ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორმა ვიშნევსკიმ ქალაქ ბათუმის ქალაქის საბჭოს ახლან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელ დიდ დარბაზში. აქ თავი მოიყარეს მესამე რაიონის (გურიის და აჭარის) სკოლების მასწავლებლებმა.

ჩოხატაურის რაიონის მასწავლებელთა არალეგალური კავშირის „კორპორაციის" მეთაურობით მასწავლებელთა ერთი ნაწილი მომზადებულად შეხვდა ამ კონფერენციას. აქ იდგა მასწავლებელთა კავშირის საჭიროების, სკოლის ნაციონალიზაციის და სახელმძღვანელოთა გადამუშავების საკითხები. პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა აწ განსვენებული საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი სამუელ ხონელიძე. მოხსენება თემაზე „ლაბორატორიული მეთოდით ბუნებისმეტყველების სწავლების შესახებ" გამოვიდა მე. ვაკრიტიკებდი ვახტეროვების სახელმძღვანელოს „მირ ბოჟი". ამავე საკითხებს მიეძღვნა ჩემი სტატია ბათუმის გაზეთში „მომზადებულად შეეხვდეთ მასწავლებელთა კონფერენციას". სტატიიდან ცენზურამ ამოიღო ბევრი ადგილი, ზოგი სვეტი თეთრად იყო დატოვებული.

სახალხო განათლების მრავალ თვალსაჩინო მოღვაწეთა შორის ნაშრომში სამართლიანადაა ნახსენები მესამე რაიონის სკოლების ინსპექტორი კონსტანტინე დავითის-ძე მაჭავარიანი. ჩვენ კარგად ვიცნობდით აჭარის სკოლებისა და მასწავლებელთა ამ მეცენატს, რომელიც გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის" ფურცლებზე გაბედულად მოითხოვდა მოსწავლეთა შრომითს აღზრდას. „...გიმნაზიელ გოგონას აცვია ნაცრისფერი კაბა, გიმნაზისტ ვაჟს — სტუდენტის ფორმა და მშობლები ფიქრობენ, რომ მათი შვილები იდეური ადამიანები არიან. მწარე თავისმოტყუებაა! განა ტანსაცმლით მოიპოვება გონებრივი ჰორიზონტი?". გ. ბაბილოძეს თავის ნაშრომში მოჰყავს ნაწყვეტი მაჭავარიანის ბროშურიდან მასწავლებელთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვის შესახებ: „...მასწავლებელს ეუბნებიან, იცხოვრე 28 მანეთად და 20 კაპეიკად".

კარგადაა აღწერილი მეფის მოხელის ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორის ლევიცკის ეგრეთწოდებული „ბუნებრივი" მეთოდი, რომელიც რუსული ენის სწავლების დროს მთელ რიგ უხეშ დამახინჯებებს იწვევდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდანვე წარმოებდა ბრძოლა სწავლებაში სიახლის შეტანისათვის, მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის. ახალი გზების ძიების პროცესში იყო დამახინჯებანი, მიმართავდნენ მავნე ექსპერიმენტებს. ეს მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა და სწავლება სწორად წარიმართა.

ამ საკითხს ნაშრომში ჯეროვანი ყურადღება ეთმობა.

წიგნში კარგადაა გაშუქებული ... ხალხო განათლების სწრაფი ტემპით განვითარება, ადგილობრივი კადრების — მასწავლებლების, ექიმების, ინჟინრებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაკების შეუნელებელი ზრდის საკითხი. ეს ნაჩვენებია ქედის რაიონის დანდალოს სასოფლო საბჭოს მაგალითზე. აქ 1955 წელს ადგილობრივ მცხოვრებთაგან უმაღლესი განათლებით იყო 16, მათ შორის დანდალოს რვაწლიან სკოლაში ასწავლიდა 14. ეს მაშინ, როცა რევოლუციის პირველ წლებში მთელ აჭარაში სამი უმაღლესდამთავრებული იყო და ისიც შეძლებულთა ფენიდან.

გრ. ბაბილოძე თავის წიგნში უტყუარი ფაქტებით ასახავს ადგილობრივი კადრების მომზადების სწრაფ ტემპს. თუ წინათ სკოლებში ძნელად შეჰყავდათ აჭარელი გოგონები, ახლა ისინი მასობრივად წარმატებით ამთავრებენ რვაწლიან და საშუალო სკოლებს, ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებს და მშობლიურ სოფლებს უბრუნდებიან, რათა კიდევ უფრო აამაღლონ ხალხის კულტურული დონე. მაგალითად, ხიხაძირის საშუალო სკოლაში. რომლის დირექტორიც ხიხაძირელი დ. ხოხრეველიძეა, დიდი ენთუზიაზმით მოღვაწეობენ ხიხაძირელი ქალები ემინე და მზეკანარ ცაბიძეები.

ბევრი ღირსების მიუხედავად, სარეცენზიო ნაშრომი არაა დაზღვეული ზოგი ნაკლისაგან.

როგორც ნაშრომის სათაურიდან ჩანს, ავტორი მიმოიხილავს აჭარაში განათლების 1921-1957 წლების პერიოდს, წიგნში კი ლაპარაკია 1878-1921 წლებზეც. მაშასადამე, სათაურში აღნიშნული მონაკვეთი არ შეესაბამება წიგნში განხილულ პერიოდს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიღწევები მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში არ უპასუხებს მთავარ თემას და ამ საკითხისათვის, რომელსაც ოთხ გვერდამდე უკავია, შეიძლებოდა სავსებით აგვეცლო გვერდი.

წიგნში არაფერია ნათქვამი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის აჭარის ფილიალის შესახებ, რომელსაც გარკვეული ღაწლი მიუძღვის მასწავლებელთა მომზადება-გადამზადების საქმეში. ფილიალის გაუქმების შემდეგ, 1942 წლიდან ქ. ბათუმში ყოველწლიურად მუშაობდა მასწავლებელთა დახელოვნების კურსები, რომელიც გაიარა აჭარის მასწავლებელთა საგრძნობმა ნაწილმა. ამასთან, მართალია, პედოლოგია ცრუ მეცნიერებად იქნა აღიარებული, მაგრამ პედოლოგიური კაბინეტი აჭარაში მუშაობდა და ამ კაბინეტის უარყოფით მხარეებთან ერთად დადებითის აღნიშვნაც შეიძლებოდა.

ავტორს გვერდი არ უნდა აევლო მეთოდური წერილების სერიისათვის, რომელიც აჭა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის განათლების სამინისტრომ გამოსცა. წიგნში უგულებელყოფილია აგრეთვე საჯარო გაკვეთილები, რომლებსაც 1934-1935 წლებში ქ. ბათუმის სკოლებში ატარებდა განსახკომი. ამ სახის მუშაობამ კარგი შედეგი მოგვცა. ნაშრომში არ არის გამოყენებული აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატის საკოლო სამმართველოს წიგნი „ბათუმის სკოლებში ჩატარებული სანიმუშო გაკვეთილების აღწერა" (აჭარის განსახკომის გამოცემა, ბათუმი, 1934 წელი, რედაქტორი გრ. კიკნაძე). საჯარო გაკვეთილებს ატარებდნენ მოსკოვიდან ჩამოსული პროფესორი აფანასიევი, გრ. კიკნაძე, გ. ნორაძე, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ჩხაიძე, გ. ესიავა, მიხ. კვაკაძე და ბევრი სხვა მოწინავე პედაგოგი.

არ შეიძლებოდა აგრეთვე იმ ფაქტის გამოტოვება, რომ აჭარის განათლების სახალხო კომისარიატი საზოგადოებრივ ინსტრუქტორებად იყენებდა ბათუმის მოწინავე პედაგოგებს, რომლებიც სისტემატურად ამოწმებდნენ ღალმთიანი რაიონების სკოლებს და უწევდნენ მასწავლებლებს საქმიან დახმარებას. ამ მუშაობაში ჩაბმული იყო თვით წიგნის ავტორი გრ. ბაბილოძე.

სკოლების გვერდით მიზანშეწონილი იქნებოდა ნაშრომში მუზეუმების მოხსენიება, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ სკოლებში თვალსაჩინოების მეთოდის დანერგვისათვის.

ეფიქრობთ, გრ. ბაბილოძის ნაშრომი „სახალხო განათლება აჭარის ასს რესპუბლიკაში (1921-1957 წ. წ.)" ძვირფასი შენაძენია პედაგოგიურ მეცნიერებათა საგანძურში და მას სიამოვნებით წაიკითხავს აჭარაში განათლების ისტორიით დაინტერესებული ყველა მკითხველი.

სერგო გოლაძაძე,
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი.

„საქართველოს ისტორიის" დამხმარე სახელმძღვანელო და აჭარის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

„საქართველოს ისტორიის" დამხმარე სახელმძღვანელოს გამოქვეყნება დიდი მოვლენაა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. მასში შეჯამებულია ჩვენი ისტორიოგრაფიის მიღწევები უკანასკნელი 15-20 წლის მანძილზე, გათვალისწინებულია აგრეთვე ქართველოლოგიის საკითხებზე უცხოეთში წარმოებული კვლევის შედეგებიც. ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდა არაერთი, მანამდე ბურუსით მოცული საკითხის მეცნიერული გაშუქება და მარქსისტული სახელმძღვანელოს შექმნა.

სხვა ბევრ ღირსებასთან ერთად სახელმძღვანელოს დადებითი მხარეა ისიც, რომ მასში სათანადოდაა განხილული საქართველოს პროვინციების ისტორია, მათ შორის აჭარის წარსული.

სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ „აჭარის დღევანდელი ტერიტორია ქართული მიწა-წყლის ნაწილებისაგან შეიქმნა" (გვ. 288). ეს დებულება აჭარის ადრეული ისტორიის ამოსავალი პუნქტია, რადგან უკანასკნელ დრომდე სამეცნიერო ლიტერატურაში ჭეროხის ხეობა სომხურ თემად იყო გამოცხადებული. სახელმძღვანელოს დამსახურებაა, რომ ეს ყალბი შეხედულება საბოლოოდ უკუაგდო. მართლაც, უძველეს ხანაში აჭარის მიწა-წყალი ქართველ ტომთა (ჰენიოხები, კოლხები) ძლიერ გაერთიანებათა ფარგლებში შედიოდა, ხოლო II საუკუნიდან (ძვ. წ.) იბერიის სამეფოში ერთიანდებოდა. თუმცა აუცილებელი იყო აქ ისტორიული აჭარის საზღვრების ჩვენებაც. რადგან დღევანდელი აჭარის ასს რესპუბლიკის ტერიტორია, ძირითადში, ქვემო გურიის (ბათუმ-ქობულეთის მხარე) და საკუთრივ აჭარის (მდ. აჭარისწყლის ხეობა) ნაწილებისაგან შეიქმნა.

სახელმძღვანელო გვაცნობს აჭარის ისტორიის ძირითად მომენტებს, ვიდრე მას ოსმალეთი მიიტაცებდა. X საუკუნიდან იგი ცალკე საერისთოს სახით ფეოდალური საქართველოს სამეფოს შემადგენლობაშია და „აქტიურად მონაწილეობდა მთელი საქართველოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში" (გვ. 289). და მართლაც, მატერიალური კულტურის ძეგლები (ხიხანის ციხე, სხალთის ეკლესია...) და ამბუსერიძე ტბელის შესანიშნავი ნაწარმოები მკაფიოდ მოწმობს აჭარის ეკონომიურ სიძლიერეს და მაღალ კულტურას. მაგრამ XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან არასელსაყრელი ვითარების გამო მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა და განვითარებაც შეფერხდა. საქართველოს ერთიანი მონარქია ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა და აჭარაც მეფე-მთავრებს შორის ცილობის საგანი გახდა. ამ კუთხეს ხან გურიელი, ხან კიდევ მესხეთის მთავარი ეუფლებოდა, ხოლო XVII საუკუნის პირველ მეოთხედში იგი ოსმალეთმა მიიტაცა.

სახელმძღვანელოში საინტერესოდაა გაშუქებული ოსმალთა ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ აჭარის საბოლოო დაპყრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასა და ისლამის სარწმუნოების გავრცელებას. „ამ მხარის სანჯაყად გამოცხადება და მისი ჩილდირის ვილაეთში (უნდა ეიალეთი — ა. ს.) შეყვანა იმას მოწმობდა, რომ ოსმალეთი აჭარის დამორჩილებას ახალციხის ფაშების შემწეობით აპირებდა. ამიტომ იყო, რომ საუკუნეთა განმავლობაში ებრძოდნენ ერთიმეორეს ახალციხის ფაშები და აჭარელი ბეგები, ხიმშიაშვილები“ (გვ. 289). მაგრამ მთავარი მაინც ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობის („ქართველობის“) მოშლისა და მის ნაცვლად ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის („ოსმალობის“) დანერგვისათვის მიმართული ღონისძიებანი იყო, რასაც ამ მხარის დაპყრობა და მოსახლეობის გამაჰმადიანება უნდა გამოეწვია. ამიტომ ქართული ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილი ერთნაირი სიმტკიცით ებრძოდა ამ საშიშროებას. ამის გამო „XVI ს. მიწურულში დაწყებული ქართველთა გაოსმალების პროცესი XIX ს. დასაწყისში ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული“ (გვ. 290). და ეს მარტო ქართველთა თავგანწირული წინააღმდეგობით კი არ აიხსნება, არამედ. „ქართველობის“ პროგრესულობითა და გამძლეობით. მისი თავისებურებით. მაჰმადიანობა შედარებით სწრაფად მოსახლეობის ზედა ფენაში გავრცელდა, ვინაიდან ფეოდალთა ნაწილი „მიწას გაჰყვა ოსმალეთში“ (მათ მიწები ჩამოართვეს, მაგრამ უბრუნებდნენ, თუ გამაჰმადიანდებოდნენ). გლეხობას კი გამუსლმანების ტალღა მაინცდამაინც არ შეხებია, რადგან მიწა არ ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ XIX საუკუნის 30-იან წლებში ოსმალებმა ქრისტიანობისათვის ფულადი გადასახადი შემოიღეს. ნატურალური მეურნეობის ბატონობის ვითარებაში ასეთი ღონისძიება მძიმე ტვირთად დაწვა აჭარის გლეხობას და იძულებული გახდა გამაჰმადიანებულიყო (თუმცა ქართული ენა და ზნე-ჩვეულებანი მაინც შეინარჩუნა).

ოსმალთა მიერ აჭარის მიტაცება საგარეო მტრებთან ბრძოლაში ქართველი ხალხის მარცხს მოასწავებდა. ამის მიუხედავად, იგი მაინც მედგრად იბრძოდა დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებისათვის (თვით აჭარაც არაერთხელ აჯანყდა დამპყრობელთა წინააღმდეგ), მაგრამ საზოგადოებრივი დაჩიხულობისა და მაჰმადიანური გარემოცვის ვითარებაში მოძალადეთა ბატონობისაგან მისი გამოხსნა შეუძლებელი იყო. ამ ამოცანის განხორციელება მხოლოდ რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ გახდა შესაძლებელი. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვებათა შედეგად აჭარა დედა-საშშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა.

აჭარის განთავისუფლების საკითხს სახელმძღვანელოში საკმაო ადგილი უკავია. სათანადოდაა აღნიშნული ამ საქმეში ქართველი ხალხის ღვაწლიც. აქვე ნათქვამია, რომ „საშშობლოს მოწყვეტილი ქართველობაც... ომის დროს ყოველი ღონისძიებით ცდილობდა თავი დაეღწია თურქეთის ბატონობისაგან და გადმოსულიყო რუსეთის მხარეზე“ (გვ. 522). სასურველი იქნებოდა აქ საამისო ფაქტების აღნიშვნაც, მით უმეტეს, რომ ქობულეთის მხარე 70-იან წლებში მღელვარებათა ნამდვილ ბუდეს წარმოადგენდა.

საქართველოში XIX საუკუნის დამლევს კაპიტალიზმის განვითარების განხილვასთან დაკავშირებით სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ცნობებიც ბათუმის სამრეწველო ზრდის შესახებ (თუმცა არაფერია ნათქვამი აჭარის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაზე, უფრომლისოდაც ძნელია ბათუმის ეკონომიური დაწინაურების ახსნა). თბილის-ბაქოსთან რკინიგზით დაკავშირებამ (1883 წ.) დიდი გავლენა მოახდინა ბათუმის სამრეწველო ზრდაზე. „განსაკუთრებით ფართოდ ვითარდება მრეწველობის ის დარგები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ბაქოდან მიღებული ნავთის საზღვარგარეთ ექსპორტთან“ (გვ. 504). ეს აზრი სავსებით სწორია, რადგან ბათუმის სამრეწველო განვითარება, ძირითადში, ბაქოს ნავთობის ხარჯზე ხდებოდა.

საქართველოში მარქსიზმის პროპაგანდის საქმეში დიდი როლი შეასრულეს მარქსისტულმა წრეებმა. ამ მხრივ დაუფასებელია ღვაწლი ბათუმის მარქსისტული წრისა (1896-1898 წ. წ.), რომელმაც ქართულ ენაზე, 1897 წელს, პირველად თარგმნა (გრ. სოღორაშვილმა) და გაავრცელა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. სამწუხაროდ, წიგნში ამაზე არაფერია ნათქვამი.

საერთოდ, „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში განხილული აჭარის წარსულის პრობლემატური საკითხები იძლევიან ამ კუთხის ისტორიის გაღრმავებული მეცნიერული შესწავლის სწორ გზს. ამიტომ ისინი უთუოდ უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა მკვლევარებმა, რომლებიც აჭარის ისტორიას ამუშავებენ.

აბელ სურგულაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალენტინა ნაზარიშვილი

როგორ მივატოვე პაპიროსის წევა

მას აქეთ თითქმის ერთი თვე გავიდა. ისეთი კმაყოფილი ვარ, რომ ნუღარ იკითხავთ —მე პაპიროსს აღარ ვეწევი.

დიახ, ასეა. მე ვარ გმირი და ის დღე, როცა ეს გმირობა ჩავიდინე, მარად დაუვიწყარი იქნება ჩემთვის.

თქვენც დამეთანხმებით — ეს დიდი ვაჟკაცობაა, მაგრამ ამ გმირობაზე ადრე ისეთი რამ გავაკეთე, რომ ჩვენი შვილიშვილები მას ლეგენდად ჩათვლიან და ადვილი შესაძლებელია ძეგლიც ამიგონ.

ახლავე გეტყვით, რაც მოხდა: მე სიყვარული ავუხსენი ერთ ქალს, რომელსაც ზინა ქვია. ეს რა გმირობაა? მოითმინეთ, თქვენ ხომ მე არ მიცნობთ და, რაც მთავარია, არ იცნობთ ზინას. თუ დამიჯერებთ, ზინას მეც არ ვიცნობ ხეირიანად. თვითონ არ მეუბნება და მე საიდან გავიგო, ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ.

ბოლოს, გადავწყვიტე, რაც არის არის-მეთქი და ჩემი დაფლეთილი გული გადავუშალე.

— ო, ზინა, ზინაიდა...

შემდეგ რა მოხდა, დეტალურად აღარ დაგიხატავთ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ზინამ ცხელ გულზე ცივი წყალი გადამასხა. ათასი მიზეზი მოიგონა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მე პაპიროსს ვეწევი და ისეთი სუნი მდის, რომ ჩემთან გაჩერება შეუძლებელია.

— პაპიროსის წევა რომ მივატოვო, მაშინ? — გულის კანკალით ვკითხე მე.

— მაშინ ვნახოთ, — მომიჭრა ზინამ.

აქედან დაიწყო ყველაფერი. სიყვარული დიდ მსხვერპლს მოითხოვს და მეც ჩემ თავს ფიცი მივეცი უყოყმანოდ გამეღო ეს მსხვერპლი.

გათენდა კვირა დღე. უპირველეს ყოვლისა ცეცხლში ჩავყარე სახლში არსებული პაპიროსის მთელი მარაგი. ინკვიზიტორივით შევყურებდი, როგორ ეკიდებოდა ცეცხლი „ყაზბეგის“ კოლოფებს — ჯერ ცხენის კუდს მოედო, შემდეგ მხედრის ფაფახსაც წაეკიდა ალი...

წვერი გავიპარსე, ვისაუზმე, შემდეგ წიგნის კითხვა მოვინდომე, მაგრამ ჩამეძინა. როცა გავიღვიძე, არ ვიცოდი რა გამეკეთებინა. დრო კუს ნაბიჯით მიდიოდა. აა, გამახსენდა, უნდა ვისადილო. სასადილოდან როცა გამოვდიოდი, ამაყად ჩავუარე ვიტრინაში გამოფენილ პაპიროსის კოლოფებს. სახლში დავბრუნდი თუ არა, ისე შემო-

მენთო მოწვევის სურვილი, რომ კინაღამ გავგიჟდი. უპირველეს ყოვლისა ჩავკეტე კარები და გასაღები გადავმალე, რომ გარეთ ვეღარ გავსულიყავ. ჩემი არსება ორად გაიყო: ერთი — სულ კვამლში გახვეული, ხანჯალივით მიქნევდა პაპიროსს და მიყვიროდა: „წადი! მოიტანე! მოსწიე!“ მეორე ხმა კი მაფრთხილებდა: „არსად წახვიდე! მოითმინე!“

ვინ იცის, რამდენჯერ ავადუღე ჩაი, შევჭამე ხაჭაპურიც, მაგრამ ამაოდ. უმიზნოდ დავბორიალობდი ოთახში, რის გაკეთება არ მოვინდომე! თქვენ წარმოიდგინეთ, სიმღერაც კი დავაპირე. არაფერი მეშველა. მინდოდა არაფერზე არ მეფიქრა, მაგრამ ჩემი ტვინი თამბაქოთი იყო გაჟღენთილი. ყელი გამიშრა, ცხვირში თითქოს ჭიანჭველები შემოძვრნენ. მთელი სხეული ნიკოტინს მოითხოვდა — პაპიროსის ბოლი, თუნდაც ერთი ნაფაზი!

როგორც იქნა, დაღამდა, მაგრამ ჩემი მოთმინებაც საპნის ბუშტივით გასკდა. მეტის ატანა აღარ შემიძლია! მე უნდა მოვწიო! ძიროს სიყვარული! გაუმარჯოს ნიკოტინს!

ეზოში გამოვედი. ცივმა ჰაერმა, ცოტა არ იყოს, გამომაფხიზლა. „რას აკეთებ?“ ჩამძახა იდუმალმა ხმამ, „სიტყვას რატომ ტეხ, ვაჟკაცი არა ხარ?“ ვარ, როგორ არა ვარ! ვთქვი და შევასრულებ, პაპიროსს არ გავიკარებ, მხოლოდ მაცალეთ, ვუყურებ ერთხანს სხვები როგორ ეწევიან. აგერ, მეორე სართულზე ბუღალტერმა მოუკიდა, მგონი „პრიმა“ უნდა იყოს. წარმომიდგენია რა სიამოვნებას გრძნობს ახლა. ისე აბოლებს, ვითომც თურქეთის სულთანი იყოს, ცოლი არაფერს ეუბნება და შვილი. მე კი უნდა ვიდგე დაბლა და ნერწყვი ვყლაპო.

— ო, ზინა, ზინაიდა!

მაპატიე ძვირფასო, მაგრამ უნდა მოვწიო, მხოლოდ ერთი და მეტი არა! აი ავალ ზევით და ბუღალტერს პაპიროსს ვთხოვ. მაგრამ ეს რაა, სინათლე ჩააქრეს. ნუთუ ასე ადრე წვებიან? თუმცა რა ადრეა, 12 საათი გამხდარა. ახლა ბევრიც რომ ირბინო, ვერსად იშოვი. მაღაზიები დაკეტილია. სჯობს, ქუჩაში გავიდე და ვინმეს ვთხოვო. აი თუნდაც იმ მოხუცს.

— ბოდიში, პაპიროსი ხომ არ გექნებათ?

— პაპიროსი?

ღმერთო ჩემო, როგორ მიყურებს ეს კაცი, მე ხომ არაფერი დამიშავებია, უბრალოდ პაპიროსს ვთხოვ.

— მომშორდით, თორემ მილიციელს დავუძახებ! — მეუბნება მოხუცი და მეც იძულებული ვარ დავემორჩილო ამ მუქარას.

მივდივარ, მაგრამ სად უნდა იშოვოს კაცმა პაპიროსი? ვაშა! მოვიგონე — სადგურში! ბუფეტი იქნება ღია.

მებუფეტეს ავუხსენი ჩემი მისვლის მიზეზი.

— „ყაზბეგი“ მინდა.

— არც „ყაზბეგი“ და არც „პრიმა“, გათავდა ყველაფერი.

— როგორ თუ გათავდა?

— შენს გარდა, არავინ წევს თუ?

— შენი ჭირიმე, ერთი ცალი მაინც გექნება, კაცი ხარ ქვეყანაზე.

ალბათ, ცრემლებმა მოალბო მებუფეტის გული.

— შენ აქ მომიცადე, საწყობში მოვნახავ.

მე უკვე ვგრძნობდი პირველი ნაფაზის გემოს. რატომ აგვიანებს, ნუთუ ვერ ნახა? არა, მოაქვს, მოაქვს!

— ბედი გქონია, ჩემო ძმაო, ერთადერთი კოლოფი ეგდო სადღაც. — მითხრა მებუფეტემ და „ბელომორი“ გამომიწოდა.

კი არ გამოვართვი, ხელიდან გამოვტაცე და კოლოფი გავხიე. მოულოდნელობისაგან ელდა მეცა.

— ეს რაა, კაცო, პაპიროსი გთხოვე, ობი კი არ მითქვამს.

— არ გინდა და ვინ გეხვეწება! — მითხრა მებუფეტემ.

რა გაეწყობა! სულ არარაობას ეს

ჯობია. რაც არის არის, მოვწევ, გემოს თუ ვერ ჩავიტან, თავს მაინც შევიქცევ. ნახევარი კოლოფი ასანთი დავწვი, სანამ მოვუკიდებდი. ბოლოს მოვქაჩე და...

თქვენ გეკითხებით, რას გრძნობთ, როცა იმედი გაგიცრუვდებათ? სინანულს, სიმწარეს ხომ? მეც ეს ვიგემე, როცა დაობებული პაპიროსის მყრალი ბოლი გადავყლაპე. ამივარდა ხველა, ამტკივდა თავი, მერევა გული...

ნუთუ ვერ უნდა მივხვდე — პაპიროსს კი არა, შხამს ვსვამ. ნიკოტინი მტერია ჩემი და მე მასზე შური უნდა ვიძიო!

გაბრაზებულმა ფეხით მოვსრისე კოლოფი და გამარჯვებული სარდალივით სახლში დავბრუნდი.

წყეული პაპიროსი არც ძილში მომეშვა. მესიზმრა თეთრი ზღვის არხი, რომლის ორივე მხარეს სიგარეტებს ტყე აღმართულიყო. არხში კი ტიკებივით მიცურავენ ყველა მარკისა და ყალიბის პაპიროსები, მე კი ვდგევარ და უდარდელად ვუყურებ პაპიროსების ამ ფლოტილიას. ჩემთვის სულ ერთია, მე ხომ აღარ ვეწევი!

გათენდა დილა მზიანი და ხალისიანი. წინა დღით გადატანილი ბრძოლების შემდეგ მე თავს ბედნიერად ვგრძნობდი.

ასე დავამარცხე ჩემი უბოროტესი მტერი.

იმ დღიდან მე პაპიროსს აღარ ვეწევი. თქვენ იკითხავთ, შემდეგ რა მოხდა? ცოლი ჯერ არ მომიყვანია. ვნახოთო, მეუბნება ზინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/IV 1959 წ. საბეჭდ ფორმათა რაოდენობა 6. შეკვეთის № 3124. ემ 01553. ქაღალდის ზომა 70X108. ტირაჟი 3000.

* * *

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია (ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми, ул. Люксембург, 22.

ᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
6-95/108

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара"

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ